პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

4 აპრილი **ოთხშაბათი** 2012 №079 (13685) ფასი 80 თეთრი

## დღეს ელიტას დააჯგუფებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა




↳2

# დამსახურებული, მაგრამ...

### მსაჯს ზედმეტი მოუვიდა

## 14

ლეონელ მესიმ მე-11 წუთზე გატანილი პენალტით ჩემპიონთა ლიგის ახალი რეკორდი დაამყარა ერთ გათამაშებაში გატანილი გოლების რაოდენობით. მიმდინარე ტურნირში ეს იყო არგენტინელის მე-13 ბურთი. წინა რეკორდი რუუდ ვან ნისტელროის ეკუთვნოდა, რომელმაც 2002-03 წლების სეზონში „მანჩესტერის“ შემადგენლობაში 12 გოლი შეაგდო, მესიმ კი ეს შედეგი შარშან გაიმეორა. ლეომ მოგვიანებით კიდევ ერთი პენალტი შეაგდო და ახალი რეკორდი, ჯერჯერობით, 14 გოლს უდრის.
გარდა ამისა, მესის გუშინდელი დუბლის შემდეგ ჩემპიონთა ლიგაზე 50 გოლი (66 მატჩში) დაუგროვდა.

## 50



↳9

## იტალია დამარცხებულია

### მეხუთე ადგილისთვის ვითამაშებთ



↳13

## ანამ მოგებით დაიწყო

### ჩარლსტონის პირველი წრე გავლილია



↳11



## რობენის გარეშეც მოიგეს

### ბაიერნის მეორე 2:0

**დღეს სუპერწყვილი შედგება:**

**რეალი-ბაიერნი**

4 აპრილი, 22:45
ჩელსი-ბენფიკა
რეალი-აპოელ

## დიდი ტრეიდი - აგუერო იგუაინში იცვლება?



↳6

## მარადონა სიძეს ურჩევს

## ქართული ფეხბურთი

U 17. ელიტრაუნდი

# ელიტრაუნდის სტატისტიკა წილისყრის წინ

დღეს ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატის ფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართება და საქართველოს ნაკრების მეტოქეები გაირკვევა. შეგახსენებთ, ფინალური ეტაპი 4-16 მაისს სლოვენიაში გაიმართება, ევროპის ჩემპიონატზე კი რვა გუნდი იასპარეზებს:

სლოვენია

საქართველო

გერმანია

ჰოლანდია

საფრანგეთი

ბელგია

პოლონეთი

ისლანდია



საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრები

რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, რომ ფინალურ ეტაპზე უნგრეთი გავიდა, მაგრამ მის ჯგუფში რუსეთს ბელგიასთან ტექნიკური წაგება 0:3 ჩაეთვალა და ბელგიელებმა უნგრელებს ბურთების შეფარდებით გადაუსწრეს.

წილისყრისა და საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქეების შესახებ "ლელოს" ხვალინდელ ნომერში ვრცელ ინფორმაციას მოგაწვდით, დღეს კი ჩვენი გუნდის სტატისტიკურ მონაცემებს გაგაცნობთ.

სათადარიგო მეკარის, **ნიკოლოზ შერმადინის** გარდა, თბილისურ ელიტრაუნდში თამაშის საშუალება 18-კაციან განაცხადში შეყვანილ ყველა ფეხბურთელს მიეცა. სამივე მატჩი შეუცვლელად ჩაატარეს **ალექსანდრე ადამიამ, ოთარ კაკაბაძემ, ნიკოლოზ ჭანტურიამ, გიგა სამხარაძემ, გიორგი პაპუნაშვილმა და ალექსანდრე მზევაშვილმა.** მათ გარდა, სამივე შეხვედრაში, ოღონდ არასრულად, მონაწილეობა მიიღეს **ვანო წილოსანმა** და **დავით ჯიქიამ.**

საქართველოს ნაკრებმა ელიტრაუნდში სამი გოლი გაიტანა – **ჭიაბერ ჭეჭელაშვილმა,** გიორგი პაპუნაშვილმა და ალექსანდრე მზევაშვილმა. ჭეჭელაშვილმა შესარჩევი ტურნირის ორ რაუნდში სამი გოლი გაიტანა და სამივე – თერთმეტმეტრიანით. ელიტრაუნდში ქართველებმა ორი საგოლე გადაცემა გააკეთეს: **დავით დარციმელიამ** და ვანო წილოსანმა.

ახლა კი ორი შესარჩევი ეტაპის ჯამურ სტატისტიკას წარმოგიდგენთ.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირები 7-7 გოლით ესპანელი **სანდრო რამირესი** და ფრანგი **ანტონი მარტიალი** არიან. აღსანიშნავია, რომ რამირესმა შვიდივე გოლი პირველ ეტაპზე გაიტანა, ელიტრაუნდში მას ტრავმის გამო არ უთამაშია. ქართველთა საუკეთესო ბომბარდირი 3 გოლით ჭეჭელაშვილია.

ყველაზე მეტი, 5 საგოლე პასი ირლანდიელმა **გარი ონილმა** მიითვალა. ქართველთაგან ერთზე მეტი შედეგიანი გადაცემა არავის გაუკეთებია.

მეტოქის კარის მიმართულებით ყველაზე მეტჯერ, 13-ჯერ, გერმანელმა **საიდ ბენკარიტმა** დაარტყა. საქართველოს ნაკრების წევრთაგან ამ მხრივ საუკეთესო მაჩვენებელი გიორგი პაპუნაშვილს აქვს – 5.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობიდან არავინ გაუძევებიათ, ჩვენგან ყველაზე მეტი, 3 გაფრთხილება, **ნიკოლოზ ჭანტურიამ** მიიღო.

შესარჩევი ტურნირის ყველაზე უხეში ფეხბურთელი ლუქსემბურგელი **დუაიტ ჰოლტერია.** მან თამაშის წესები 21-ჯერ დაარღვია. ქართველთაგან ყველაზე მეტჯერ, 12-12-ჯერ, ჭეჭელაშვილი და კაკაბაძე დააჯარიმდნენ.

ყველაზე მეტჯერ, 28-ჯერ, პორტუგალიელი ივო როდრიგესის წინააღმდეგ დააჯარიმდნენ, ქართველებიდან კი 9-ჯერ ეუხეშნენ კაკაბაძეს.

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში 6 მატჩი ჩაატარა, საიდანაც 4 მოიგო, ერთი ფრედ ითამაშა და ერთში დამარცხდა. ბურთების შეფარდება – 8-6.

ყველაზე მეტი დარტყმაა გერმანიის ნაკრების ანგარიშზე – 44. ქართველები 27 დარტყმით მე-14 ადგილზე არიან.

45-45 კუთხურით ინგლისი და ირლანდია ლიდერობენ, საქართველოს ნაკრების ანგარიშზე მხოლოდ 16 კუთხურია, რაც მატჩში საშუალოდ 2,67-ია.

ყველაზე უხეში გუნდი 110 ჯარიმით ლუქსემბურგია, ქართველები 101 ჯარიმით მეოთხე ადგილზე არიან.

ყველაზე მეტჯერ იტალიელებს ეუხეშნენ – 107-ჯერ. ქართველთა წინააღმდეგ მეტოქეებმა თამაშის წესი 76-ჯერ დაარღვიეს.

გაფრთხილებათა რაოდენობით კი ევროპაში პირველ ადგილზე ვართ – ქართველთა ანგარიშზე საერთო ჯამში 21 ყვითელი ბარათია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ელიტრაუნდში ჩვენი ნაკრების წევრთა მონაცემები კი ასეთია:

| № ფეხბურთელი | პოზიცია | მატჩი | ძირ. | გოლი | საგ.პ. | გაფრ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ალექსანდრე ადამია | მეკარე | 3 | 3 | -1 | - | - |
| 2. ოთარ კაკაბაძე | მცველი | 3 | 3 | - | - | 1 |
| 3. ლაშა დვალი | მცველი | 2 | 2 | - | - | 2 |
| 4. ნიკოლოზ ჭანტურია | მცველი | 3 | 3 | - | - | 1 |
| 5. გიგა სამხარაძე | მცველი | 3 | 3 | - | - | 1 |
| 6. ჭიაბერ ჭეჭელაშვილი | ნახევარმც. | 2 | 2 | 1 | - | 2 |
| 7. გიორგი აბურჯანია | ნახევარმც. | 2 | 1 | - | - | - |
| 8. გიორგი პაპუნაშვილი | ნახევარმც. | 3 | 3 | 1 | - | 1 |
| 9. ვანო წილოსანი | თავდ. | 3 | 2 | - | 1 | 1 |
| 10. ნიკოლოზ ახვლედიანი | ნახევარმც. | 2 | 2 | - | - | - |
| 11. დავით დარციმელია | თავდ. | 2 | - | - | 1 | 1 |
| 12. ნიკოლოზ შერმადინი | მეკარე | - | - | - | - | - |
| 13. მათე ცინცაძე | ნახევარმც. | 2 | 1 | - | - | - |
| 14. დავით ჯიქია | თავდ. | 3 | 3 | - | - | - |
| 15. ალეკო მზევაშვილი | თავდ. | 3 | 3 | 1 | - | 1 |
| 16. ალექსანდრე გურეშიძე | მცველი | 1 | 1 | - | - | - |
| 17. არჩილ მესხი | მცველი | 2 | - | - | - | 1 |
| 18. გიორგი გოროზია | ნახევარმც. | 2 | 1 | - | - | 1 |

*შენიშვნა: ძირ - ძირითადში; საგ.პ - საგოლე პასი; გაფრ - გაფრთხილება*

U 19. ინტერვიუ ოთარ კორღალიძესთან

# ახლა უკეთესი შემადგენლობა გვყავს

**საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ელიტ რაუნდისთვის ემზადება. მთავარმა მწვრთნელმა ოთარ კორღალიძემ 24 მოთამაშე გამოიძახა და მალე გუნდი პორტუგალიაში ოთხთა ტურნირზე ითამაშებს. 19-წლამდელთა პირველი შეკრებისგან განსხვავებით, ამჯერად კორღალიძემ ლეგიონერები გამოიძახა, მაგრამ მხოლოდ არნემის "ვიტესის" ნახევარმცველს, ვაკო ყაზაიშვილსა და ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგას" მცველი დავით კოხიას ელის. ჩვენი ინტერვიუც ამ თემაზე ლაპარაკით დავიწყეთ.**



ოთარ კორღალიძე

**- ყველა ლეგიონერის გამოძახება რატომ ვერ მოხერხდა?**

- ცხადია, ბოლოსწინა შეკრებაზე ყველა წამყვანი მოთამაშის ნახვა მსურდა: "იაგელონიადან" მოვიწვიე მერაბ გიგაური, "ორჰუსიდან" - დავით სხირტლაძე, "ვიტესიდან" კი - გიორგი ჭანტურია და ვაკო ყაზაიშვილი. მაგრამ მხოლოდ ყაზაიშვილი გამოუშვეს. ესეც მერაბ ჟორდანიას დამსახურებაა, თორემ კლუბი სეზონის მსვლელობისას მოთამაშეების გაშვებას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა, რადგან შეკრება უეფას კალენდარულ დღეებს არ ემთხვეოდა.

**- ქართველი გულშემატკივრისათვის უცნობი მოთამაშეა დავით კოხია.**

- ადრეც ვთქვი და ვიმეორებ, გვაინტერესებს ამ ასაკის ყველა მოთამაშე საქართველოშიც და უცხოეთშიც. კოხია საყრდენია და როდესაც დავინტერესდი, ძალიან შეგვიქეს. "ვოლგას" მცველმა, გია გრიგალავამაც იგივე გაიმეორა, რომ ამ ბიჭს დუბლშემადგენლობაში სისტემატურად ათამაშებენ, ხშირად კი ძირითად გუნდში ვარჯიშობს.

თუმცა, კოხია პორტუგალიაში ვერ მიგვყავს, რადგან რუსული პასპორტი აქვს და მისი საკითხის მოგვარებას გარკვეული დრო დასჭირდება. მაგრამ, ტყუილად არ გამოგვიძახია, დავაკვირდებით და ამ შეკრებაზე წარმოდგენა შეგვექმნება, რეალურად რა შესაძლებლობები გააჩნია.

სხვათა შორის, კიდევ ერთი საინტერესო მოთამაშე შევიგულეთ, რომელსაც ადრეც აკვირდებოდნენ და თუ საშუალება გვექნება, უნდა ჩამოვიყვანოთ – ლუკა ჩხაიძე. ის ქართველი ემიგრანტის შთამომავალია და "მიუნხენ 1860"-ის ასაკობრივ გუნდში თამაშობს. მასზე ინფორმაციებს ვაგროვებ, თამაშობს თუ არა სისტემატურად, რა დონის მოთამაშეა და ა.შ.

**- ნაკრები უკვე გაიცანით და კვიპროსში ამხანაგური შეხვედრებიც ჩაატარეთ. გუნდზე როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

- გუნდზე სრულყოფილი წარმოდგენა ვერ შევიქმენით, რადგან კვიპროსში ჩასაფრენად ხანგრძლივი მგზავრობა დაგვჭირდა, 18 საათი ვიფრინეთ და სამი რეისი გამოვიცვალეთ. პირველ შეხვედრაზე მოთამაშეები მოედანზე გადაღლილები გავიდნენ და ვერ ვიტყვი, რომ ასეთ პირობებში თავისი შესაძლებლობები სრულად გამოავლინეს. კვიპროსმა პირველ ტაიმში გვაჯობა, მეორე ნახევარში კი უპირატესობა გვქონდა და ანგარიში გავათანაბრეთ. მეორე მატჩი კი ჩვენი უპირატესობით მიმდინარეობდა და სამი რეალური საგოლე მომენტიც შევქმენით, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. ამის მიუხედავად, თემურ ქეცბაია, რომელიც შეხვედრას ესწრებოდა, ჩვენი თამაშით კმაყოფილი დარჩა.

ზემოთქმულის გარდა, სხვა სახის პრობლემასაც წავაწყდით: რატომღაც, ისე მოხდა, რომ მხოლოდ 15 მოთამაშე წავიყვანეთ. ახლა გაცილებით უკეთესი შემადგენლობა გვყავს და მიმაჩნია, რომ საინტერესო გუნდი გვეყოლება.

**- 17-წლამდელთა წარმატებამ გულშემატკივართა მადა გაზარდა და ახლა თქვენგანაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასვლას ელიან.**

- ვასილ მაისურაძესა და მერაბ კაციტაძეს უდიდეს წარმატებას ვულოცავ. მონდომებული მუშაობით მათ ეს წარმატება დაიმსახურეს და მიხარია, საქართველოს ამხელა სიხარული რომ მიანიჭეს. ცხადია, ჩვენი მუშაობაც ამისკენ არის მიმართული და ვისურვებდი, მათი წყალი გადმოგვსხმოდეს, მაგრამ ისეც ნუ ვიტყვით, რომ ფინალურ ეტაპზე აუცილებლად უნდა გავიდეთ. ასეთ ტურნირებში და ამ ასაკში ძალიან ბევრს ნიშნავს მასპინძლობის ფაქტორი, ჩვენ კი ხორვატიას ვესტუმრებით, რომელსაც მდიდარი საფეხბურთო ტრადიციები გააჩნია და არავიზე ნაკლები გუნდი არ ჰყავს. მაგალითისთვის კვიპროსთან შეხვედრებს მოვიყვან, საქართველოში რომ გვეთამაშა, ორივეჯერ აუცილებლად მოვიგებდით.

მთავარია, როგორ აეწყობა ელიტ რაუნდში საქმეები. თუმცა, ყველაფერი მაინც ჩვენზეა დამოკიდებული.

**- პორტუგალიაში გამგზავრებისა და თამაშების გრაფიკი ცნობილია, დასკვნით შეკრებას როდის გეგმავთ?**

- სავარაუდოდ, შეკრებას 10 მაისს დავიწყებთ. ხორვატიაში ელიტ რაუნდის შეხვედრები 25 მაისს იწყება და გვსურს, 20 მაისს გავემგზავროთ, უკიდურეს შემთხვევაში, 22-23 მაისს ჩავალთ. ნებისმიერ შემთხვევაში, ბოლო შეკრება მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. 3 მეკარისა და 20 მოთამაშის გამოძახებას ვაპირებ, სერიოზული მზადება იგეგმება და მოთამაშეები ბაზაზე დარჩებიან, გარეთ გასვლა და გართობა გამორიცხება. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა საკონტროლო შეხვედრების ჩატარებაც და იქნებ, სომხეთის ან აზერბაიჯანის ნაკრები ჩამოვიყვანოთ. თუმცა, ეს საკითხი ჯერაც გადასაწყვეტია.

**მერაბ მამულაშვილი**

## პლეი ოფი

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | ზესტაფონი | 19 | 11 | 6 | 2 | 32 | 15 | 39 | 9 | 5 | 2 | 2 | 14 | 9 | 17 | 10 | 6 | 4 | 0 | 18 | 6 | 22 |
| 2 | მეტალურგი | 19 | 11 | 2 | 6 | 28 | 22 | 35 | 10 | 7 | 2 | 1 | 17 | 5 | 23 | 9 | 4 | 0 | 5 | 11 | 17 | 12 |
| 3 | დინამო | 19 | 7 | 7 | 5 | 32 | 25 | 28 | 11 | 4 | 6 | 1 | 20 | 12 | 18 | 8 | 3 | 1 | 4 | 12 | 13 | 10 |
| 4 | ტორპედო | 18 | 7 | 5 | 6 | 19 | 16 | 26 | 8 | 5 | 2 | 1 | 15 | 7 | 17 | 10 | 2 | 3 | 5 | 4 | 9 | 9 |
| 5 | გორი | 19 | 5 | 6 | 8 | 21 | 21 | 21 | 9 | 3 | 1 | 5 | 11 | 11 | 10 | 10 | 2 | 5 | 3 | 10 | 10 | 11 |
| 6 | ბაია | 19 | 5 | 6 | 8 | 16 | 24 | 21 | 10 | 4 | 4 | 2 | 12 | 9 | 16 | 9 | 1 | 2 | 6 | 4 | 15 | 5 |
| 7 | კოლხეთი | 19 | 4 | 8 | 7 | 12 | 22 | 20 | 11 | 3 | 3 | 5 | 6 | 13 | 12 | 8 | 1 | 5 | 2 | 6 | 9 | 8 |
| 8 | მერანი | 18 | 4 | 2 | 12 | 17 | 32 | 14 | 7 | 3 | 1 | 3 | 7 | 9 | 10 | 11 | 1 | 1 | 9 | 10 | 23 | 4 |

## პლეი აუტი

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | ჩიხურა | 5 | 3 | 1 | 1 | 7 | 4 | 10 | 2 | 1 | 1 | 0 | 2 | 0 | 4 | 3 | 2 | 0 | 1 | 5 | 4 | 6 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 5 | 3 | 1 | 1 | 4 | 2 | 10 | 3 | 3 | 0 | 0 | 4 | 0 | 9 | 2 | 0 | 1 | 1 | 0 | 2 | 1 |
| 3 | გურია | 5 | 2 | 2 | 1 | 10 | 9 | 8 | 2 | 0 | 1 | 1 | 2 | 4 | 1 | 3 | 2 | 1 | 0 | 8 | 5 | 7 |
| 4 | სპარტაკი | 5 | 2 | 2 | 1 | 6 | 5 | 8 | 3 | 2 | 1 | 0 | 5 | 3 | 7 | 2 | 0 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 |
| 5 | გაგრა | 5 | 1 | 3 | 1 | 5 | 4 | 6 | 3 | 1 | 2 | 0 | 2 | 0 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 3 | 4 | 1 |
| 6 | სიონი | 5 | 1 | 2 | 2 | 7 | 7 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 6 | 5 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1 | 2 | 1 |
| 7 | ბათუმი | 5 | 1 | 2 | 2 | 3 | 6 | 5 | 2 | 0 | 1 | 1 | 2 | 4 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 4 |
| 8 | მერცხალი | 5 | 0 | 1 | 4 | 1 | 6 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1 | 3 | 0 | 3 | 0 | 1 | 2 | 0 | 3 | 1 |

## II ეტაპის V ტურის სიმბოლური ნაკრები




# საჩემპიონო ინტრიგა გაცოცხლდა


დინამო-კოლხეთი 1:1 — თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

თუკი ამ ტურამდე "ზესტაფონის" ჩემპიონობაში ბევრი დარწმუნებული იყო, მოქმედი ჩემპიონების მიერ ზუგდიდში დაკარგულმა ქულებმა და რუსთავის "მეტალურგის" გამარჯვებამ ოქროს მედლებისთვის ბრძოლა დაძაბა. მართალია, "ზესტაფონი" კვლავ რჩება უმაღლესი ლიგის უმთავრეს ფავორიტად, მაგრამ დღეისთვის ფეროელთა უპირატესობა არც ისე შთამბეჭდავია. ჩემპიონატის დასრულებამდე ცხრა ტურია დარჩენილი და სულაც ვერ ვიტყვით, რომ რუსთაველებს ოთხქულიანი ჩამორჩენის აღმოფხვრის შანსი არ აქვთ.

სხვა საქმეა, რომ "მეტალურგს" საჩემპიონო პერსპექტივა მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონატის უცნაური სისტემის წყალობით დარჩა – სანამ ზედა რვა გუნდს აუტსაიდერებთან მოპოვებული ქულები ჩამოაკლდებოდა, "ზესტაფონი" "მეტალურგს" უზარმაზარი სხვაობით უსწრებდა და ამ უპირატესობის გაფლანგვა წარმოუდგენელი იქნებოდა, მაგრამ მეორე ეტაპის სტარტს "მეტალურგი" ჩინებული პირობებით შეხვდა – რეგლამენტის გამო საჩემპიონო შანსიც გაუჩნდა და "დინამო" და "ტორპედოც" გვარიანი სხვაობით ჩამოიტოვა.

თუმცა "მეტალურგის" წარმატებას ამით სულაც არ ვაკნინებთ. **კობა ჟორჟიკაშვილის** გუნდმა ხომ ქულების სტაბილურად დაგროვება ყველაზე საჭირო მომენტში დაიწყო და რუსთაველთა კონკურენტებს ისღა დარჩენიათ, დღევანდელ მოცემულობას შეეგუონ – "ზესტაფონს" ამიერიდან წაფორხილების უფლება, ფაქტობრივად, აღარ აქვს, "დინამოსა" და "ტორპედოს" კი, რომლებმაც ქულები მეორე ეტაპზე მრავლად დაკარგეს, ისღა დარჩენიათ, ჩემპიონობა დაივიწყონ და მესამე საპრიზო ადგილისთვის იბრძოლონ.

"ზესტაფონის" უპირატესობის შემცირება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ზემოიმერლებს კრიზისი დაეწყოთ. ზუგდიდში ვერმოგება ნამდვილად არ არის ტრაგედია – "ბაია" შინ ერთიორად ძლიერია და ესეც რომ არ იყოს, ყველა მატჩში ვერავინ გაიმარჯვებს. **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდი წელს საერთოდ არ დამარცხებულა და ვერც იმას იტყვის ვინმე, რომ "დინამოსა" და "ტორპედოსთან" ნათამაშები ფრეები ცუდი შედეგია. რაც მთავარია, "ზესტაფონმა" საკუთარ მოედანზე "მეტალურგს" სძლია და უპირველესად, სწორედ ამის ხარჯზე შეინარჩუნა ლიდერობა. თუმცა როგორც ჩანს, მთავარი საჩემპიონო ბრძოლები წინაა და თუ რუსთაველებმა წარმატებული სერია გააგრძელეს, მეორე წრეში შინ "ზესტაფონთან" ჩასატარებელ შეხვედრას მათთვისაც და ზესტაფონელთათვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

მანამდე კი ამ ორ გუნდს შორის საქართველოს თასზე არანაკლებ საინტერესო ორრაუნდიან დაპირისპირებას ვიხილავთ.

## ბრინჯაოსაც ოქროს ფასი აქვს

დიდი ალბათობით, ამ სეზონში მესამე და მეოთხე ადგილებს შორის დიდი ზღვარი იქნება – თუ "დილამ" საქართველოს თასი მოიგო ან ფინალში ჩემპიონთან დამარცხდა (ჩემპიონი აუცილებლად მეორე ნახევარფინალური წყვილიდან იქნება), ჩემპიონატის მესამეადგილოსანი ევროპის ლიგაზე ითამაშებს, მეოთხეადგილოსანი კი ამ ზაფხულს საერთაშორისო ასპარეზზე ვერ გავა. "ტორპედოს" ევროპის ლიგამდე შარშან ერთი ნაბიჯი დააკლდა და, ბუნებრივია, ამბიციური ქუთაისელების გეგმებში სულაც არ შედის ევროტურნირებს მიღმა დარჩენა.

რა თქმა უნდა, ანალოგიურია "დინამოს" ქომაგთა განწყობაც – საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბს არაპრესტიჟულ ინტერტოტოს თასზე კი უთამაშია, მაგრამ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებელი ჩემპიონატების ისტორიაში ევროთასებზე ერთი სეზონიც კი არ ჩაუგდია და თუ ეს წელს ვერ შეძლო, ავტომატურად გამოვა, რომ "დინამოსთვის" ეს სეზონი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე წარუმატებელი იქნება.

ვიმეორებთ, ქუთაისელთა და თბილისელთა შორის ერთ-ერთს ხელი მხოლოდ იმ შემთხვევაში მოეცარება, თუ საკუთარი მიზანი "დილამ" ვერ შეასრულა, მაგრამ, დაგვეთანხმებით, გორელთა საევროპო შანსები საკმაოდ მაღალია და "ტორპედოსა" და "დინამოს" წევრებს ნამდვილად არ ულირთ "დილას" წარუმატებლობის იმედზე ყოფნა.

ხუთმატჩიან ფრეთა სერიის ავტორის, "დინამოს" კრიზისზე ახალი რა უნდა ვთქვათ – ფაქტია, რომ კლუბში ძალიან ბევრი რამაა მოსაწესრიგებელი და ამის გარეშე "დინამო" არათუ საერთაშორისო, არამედ საშინაო ასპარეზზეც ვერ იქნება კონკურენტუნარიანი. ვნახოთ, რა პერიოდი დასჭირდება კლუბის ხელმძღვანელობასა თუ სამწვრთნელო შტაბს მდგომარეობის გამოსასწორებლად, ვითარება ამჟამინდელ დინებას გაჰყვება თუ კრიზისიდან გამოსასვლელად მკვეთრი ნაბიჯები გადაიდგმება.

იდეალურად საქმე არც "ტორპედოშია", მაგრამ **გია გეგუჩაძეს** ბრძოლისუნარიანი გუნდის ჩამოყალიბება და ამის პარალელურად, ევროსაგზურისთვის ბრძოლა შედარებით ნაკლებად სტრესულ გარემოში უწევს. ქუთაისელი ქომაგი ძალიან მომთხოვნია, მაგრამ ამჟამინდელ სამწვრთნელო შტაბს ნდობის მანდატი ნამდვილად აქვს.

"ტორპედო" "დინამოს" დაკარგული ქულებით უსწრებს და თუ მარტვილის "მერანთან" გადადებული შეხვედრა მოიგო, მესამე ადგილზე გადაინაცვლებს.

## სამი ეფექტური გამარჯვება

"მეტალურგის" გარდა, გასულ ტურში კიდევ სამმა გუნდმა გაიმარჯვა და სამივემ საკმაოდ დამაჯერებლად – "დილამ" ახალი სამწვრთნელო შტაბის ხელმძღვანელობით მეორე მატჩი ჩაატარა და "დინამოსთან" სტუმრად მიღწეულ ფრეს "მერანის" სოლიდურად ძლევა მოაყოლა. "დილამ" მწვრთნელის გემოვნების შესაფერისი შემტევი ფეხბურთი ითამაშა და ვნახოთ, ამ ფილოსოფიას დადებითი შედეგებიც თუ მოჰყვება. **მათე ვაწაძის** ჰეთ-თრიქი კი უდავოდ ხაზგასასმელი ფაქტია. ჩვენს ჩემპიონატში ხომ მაღალი დონის თავდამსხმელთა დეფიციტია და, შესაბამისად, ჰეთ-თრიქიც იშვიათი ხილია.

"ჩიხურამ" და "გურიამ" კი უმაღლესი ლიგისკენ მორიგი შთამბეჭდავი ნაბიჯი გადადგეს და კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცეს, რომ ბრძოლისუნარიანი გუნდები პირველ ლიგაშიც არიან. გასულ ორშაბათს თვით უიმედო აუტსაიდერმა "მერცხალმაც" კი იყოჩაღა და პლეი აუტში სადებიუტო ქულა მოიპოვა.

მოკლედ, თუ უმაღლეს ლიგაში კვლავაც 12 გუნდი დატოვეს, ელიტის საგზურებისთვის პლეი აუტში ბოლო ტურებამდე უშეღავათო ბრძოლებია მოსალოდნელი, ხოლო თუ უმაღლესი ლიგის მონაწილეთა რაოდენობის გაზრდის თაობაზე ხმები გამართლდა, მაშინ პლეი აუტს აზრი საერთოდ დაეკარგება.

## გაწითლებული ტური

გასულ ტურში ერთბაშად ოთხი ფეხბურთელი გააძევეს, აქედან ორს ნაადრევად მოედანი "სიონისა" და "სპარტაკის" მატჩში დაატოვებინეს. მიმდინარე ჩემპიონატში ეს ტური ყველაზე უხეში გამოდგა და ამ ფაქტზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ. თუმცა სულაც არ ვართ დარწმუნებულნი, რომ გასული ტური გაძევებათა რაოდენობით სარეკორდო ჩემპიონატის ბოლომდე დარჩება. ტურიდან ტურამდე დაძაბულობა კიდევ უფრო გაიზრდება და შესაძლოა, "სიონი"-"სპარტაკზე" უფრო "წითელი" შეხვედრის მომსწრენიც კი გავხდეთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**


მეტალურგი-ტორპედო 2:1 — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ქართული ფეხბურთი

● ჩვენებური უცხოეთში

# კახა ცხადაძე: ორი თვეა ახალ კონტრაქტს ხელს არ ვაწერ

ბაქოს „ინტერმა“ აზერბაიჯანის პრემიერლიგის ბოლო ტურში ლენქორანში „ხაზართან“ 0:2 წააგო. **კახა ცხადაძის** გაწვრთნილი „ინტერი“ ლიდერ ბაქოს „ნეფთჩის“ 6 ქულით ჩამორჩება და 48 ქულით “ხაზართან” მესამე-მეოთხე ადგილებს იყოფს.

ღსანიშნავია, რომ ლენქორანელებთან შეხვედრაში “ინტერი” მოედანზე 9 კაცით დარჩა, 41-ე წუთზე ჯერ **აზიზ გულიევი** გააძევეს, 86-ე წუთზე კი **ვალერი აბრამიძე** და “ხაზარმა” მეორე გოლი მხოლოდ ამის შემდეგ გაიტანა.

“ლენქორანული კლუბი აზერბაიჯანში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარია და საუკეთესო მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. ამის მიუხედავად, მიმდინარე სეზონში “ხაზარს” 4 მატჩიდან 3 მოვუგეთ, ორჯერ კი მთავარი მწვრთნელი სწორედ ჩვენთან წაგების შემდეგ მოხსნეს. რეალურად, ჩემპიონობის შანსი გუნდს არ დარჩა, თასიდან გამოვაგდეთ და ახალ მწვრთნელს ჩვენთან მოგებას თხოვდნენ. ის სამი წელი უმუშევარი იყო და “ინტერის” დასამარცხებლად აბსოლუტურად ყველა ხერხი იხმარა. მსაჯმა 41-ე წუთზე აბსურდული პენალტი დაგვინიშნა და კაცი გაგვიგდო. ამის მიუხედავად, მეორე ტაიმში უპირატესობას ვფლობდით, კარგადაც შევუტიეთ და აშკარა ჩანდა, გოლი მწიფდებოდა, როცა აბრამიძეც გააძევეს. ამით მსაჯმა ყველაფერი გვითხრა. მატჩის შემდეგ “ხაზარის” მთავარ მწვრთნელს პირში ვუთხარი, რომ არა ასეთი ულირსი მსაჯობა, მოგების შანსი არ გქონდათ-მეთქი” – თქვა “ლელოსთან” საუბარში კახა ცხადაძემ.

“ინტერის” მთავარმა მწვრთნელმა დაგვიდასტურა ინფორმაცია, რომ ბაქოს “ინტერის” ხელმძღვანელობის მიერ შეთავაზებულ ახალ კონტრაქტს ხელს არ აწერს. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ “ინტერის” დატოვებას აპირებს?

“არ ვტრაბახობ, ეს ფაქტია: აზერბაიჯანის მიმდინარე ჩემპიონატის რეკორდი გვეკუთვნის, რადგან 19-მატჩიანი წაუგებელი სერია ჩავატარეთ. ეს იმ დროს, როდესაც “ინტერს” აზერბაიჯანის ჩემპიონატის საუკეთესო ექვსეულში ყველაზე პატარა ბიუჯეტი და მოთამაშეთა არჩევის მწირი საშუალება აქვს. თანაც, ახლა აზერბაიჯანში სამი უცხოელი მწვრთნელიღა დარჩა, რომელთაგან ორი ქართველი ვართ: მე და გიორგი ჩიხრაძე. აზერბაიჯანელებს ქართველები უყვართ, სითბოსა და პატივისცემას ყველა ქალაქში და ყველა ნაბიჯზე ვგრძნობთ, მაგრამ ვილაცებს ჩვენი წარმატება მაინც ალიზიანებს.

ესეც მშრალი სტატისტიკაა – ფინალური ექვსეულის ექვსი მატჩიდან ხუთ შეხვედრაში მოთამაშე მოედნიდან გაგვიგდეს. არ დავმალავ, უკვე ორი თვეა,



კახა ცხადაძე

“ინტერმა” ახალი კონტრაქტი რომ შემომთავაზა, მაგრამ ხელმოწერაზე თავს ვიკავებ. რობოტი არ ვარ, ყველაფერს საზღვარი აქვს. ახლა მხოლოდ იმას ვნანობ, რომ ცოტა ხნის წინ, იძულებული გავხდი ფანტასტიკურ წინადადებაზე მეთქვა უარი. მაგრამ სხვა არჩევანი არც მქონდა, კონტრაქტი არ არის ყველაფერი, დახევ და გადააგდებ, “ინტერის” მეპატრონესთან კი ადამიანური ვალდებულებები მქონდა და გუნდს შუა გზაზე ვერ მივატოვებდი. მაგრამ უკვე მართლაც დასაფიქრებელია, ღირს კი ასეთ ვითარებაში აზერბაიჯანში ჩემი დარჩენა?”.

**მერაბ მამულაშვილი**

● ინტერვიუ

# მათე ვაწაძე: ეს გუნდი შესანარჩუნებელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

**გორის “დილასა” და მარტვილის “მერანის” შეხვედრა (4:2) არა მხოლოდ იმით იყო გამორჩეული, რომ უხვგოლიანი გამოდგა. დიდი ხნის შესვენების შემდეგ, მათე ვაწაძემ პირველად შეასრულა ჰეთ-თრიქი და გორელთა წარმატება განაპირობა.**

**ტურის გამორჩეულ მოთამაშეს ინტერვიუ ჩამოვართვით. მათე ველარ იხსენებს, ბოლოს სამი გოლი ვის გაუტანა:**

– ჰეთ-თრიქი ბოლოს საქართველოს თასზე 2008 წელს შევასრულე, მაგრამ რომელ გუნდთან, ეს აღარ მახსოვს. შარშან , რუსეთში, “ვოლგას” ორმხრივ მატჩში ოთხი გოლი გავიტანე, მაგრამ ეს ოფიციალური შეხვედრა არ ყოფილა.

**- თავდამსხმელისთვის ჰეთ-თრიქი ყოველთვის მოვლენაა.**

- მე ამას ვერ ვიტყოდი, რადგან საკუთარი თავით ჯერ კმაყოფილი არ ვარ. “მერანთან” თამაში კარგად წაგვივიდა და ბევრი მომენტი შევქმენით. პირადად იმდენი მომენტი მქონდა, ვალდებულიც ვიყავი, მეტიც გამეტანა. ამას გულწრფელად ვამბობ და სულაც არ მსურს მეტოქის დაკნინება. ჩემთვის კი მთავარია, ფორმა ალვიდგინო.

**- ტრავმა თავს კიდევ გახსენებს?**

- დიახ, რადგან კუნთი დღემდე საბოლოოდ არ მომირჩენია და ყოველი თამაშის წინ და შემდეგ მასაჟებს ვიკეთებ. ამტკივდება თუ არა, ამინდზეც არის დამოკიდებული.

**- კუნთი თუ გაწუხებს, ხელოვნურ საფარზე თამაშსაც უნდა ერიდებოდე.**

- სახიფათოა, მაგრამ, ჩვენთან შეხვედრების დიდი ნაწილი ხელოვნურ საფარზე იმართება და ამას რომ ვუყურო, ნახევარი წელი გამიცდება.

**- საერთოდ, მოედნებზე რას იტყვი?**

- სამწუხაროა, საქართველოში კარგი მოედნები თითქმის რომ არ არის. რუსეთიდან ჩამოსული ამ ყველაფერს ყურადღებას უფრო ვაქცევ, ჯერ ნაღდი საფეხბურთო ატმოსფეროც არაა.

**- ეს ყველაფერი სათამაშო განწყობაზეც აისახება?**

- შეუძლებელია, არ დაგეტყოს. როგორია, გასახდელში შედიხარ და შუქი არ არის ! ფეხბურთი მარტივი თამაშია, შეხვედრამდე განწყობა გჭირდება. როდესაც თამაშისთვის ემზადები და მოედანზე გადიხარ, მაშინ წვრილმანი არ არსებობს. მაგალითად, ზუგდიდში რომ ვითამაშეთ, ასეთი ცუდი ხალიჩა არსად მინახავს.

**- ანუ საქართველოს ჩემპიონტში უკეთესობას ვერ ამჩნევ ?**

- მასეც ვერ ვიტყვი, რადგან გამოჩდნენ გუნდები, სადაც მოთამაშეებს სოლიდური ანაზღაურება აქვთ. მერწმუნეთ, ეს პატარა ამბავი არ არის. მაგალითად, თბილისის “დინამო” ჩემი ყოფილი კლუბია და მიხარია, იქ მოთამაშეები თავს კარგად რომ გრძნობენ. იმავეს ვიტყოდი გორის “დილაზეც”; პირობების გაუმჯობესების გარეშე კი საერთო დონე ვერ აიწევს.

**- საქართველოს ჩემპიონატის დონეზე რაღას იტყვი?**

- პატარა წინსვლა ამ კუთხითაც არის. გუნდებს ბაზებს და სტადიონებს უკეთებენ, რაც ბევრს ნიშნავს და გუნდების განვითარებას აუცილებლად შეუწყობს ხელს. მართლაც ძალიან მომეწონა“დინამოს” ბაზა, ახლა “დილასაც” უშენებენ სტადიონსა და ბაზას.

თუმცა, კარგი იქნება, უმაღლესი ლიგის შეხვედრებს ხელოვნურ საფარზე თუ არ ჩაატარებენ და მოედნების ხარისხი გაუმჯობესდება. არ მინდა დაკონკრეტება, მაგრამ ნაქებ მოედნებზეც ვითამაშე და ვერ ვიტყვი, რომ გაოცებული დავრჩი. შესაძლოა, სასურველ მდგომარეობაში იმიტომ არ არის, მძიმე ზამთარი რომ გადავიტანეთ.

**- ახალი მწვრთნელების მოსვლით “დილაში” რა შეიცვალა?**

- მახარაძე უფრო დაცვით ფეხბურთს გვათამაშებდა და საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე მეტს ფიქრობდა. შალამბერიძე და ცეცაძე კი ითხოვენ, რომ მეტი ყურადღება შეტევას მივაქციოთ და თანაც, ლამაზად ვითამაშოთ. მიაჩნიათ, რომ “დილას” იმხელა პოტენციალი გააჩნია, მეტოქეები იქით უნდა შევაწუხოთ და მხოლოდ დაცვაზე იფიქრონ. ასეც არის, ჩვენთან მართლაც ბევრი ძლიერი მოთამაშეა და ნებისმიერ მეტოქეს უნდა ვუტევდეთ.

ათი დღეა გასული, რაც შალამბერიძე და ცეცაძე დანიშნეს და ვნახოთ, მათი ჩანაფიქრით რა გამოგვივა. თუმცა, “მერანთან” მოგების შემდეგ თავად მარტვილელები ამბობდნენ, რომ არც ერთ მეტოქესთან ასე არ დაჩაგრულან.

“დილას” მართლაც აქვს საკმაოდ დიდი პოტენციალი, მაგრამ ამას შენარჩუნება უნდა. ჯერ ხომ ისიც არ ვიცით, ამ შემადგენლობით როდემდე ვითამაშებთ.

**- შესაბამისად, გაურკვეველია, დარჩები თუ არა გუნდში?**

- დიახ, გაურკვეველია. ალბათ, ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, რა შედეგს ვაჩვენებთ საქართველოს თასზე და გავამართლებთ თუ არა იმედებს.

**- “დილაში” უკვე 6 გოლი გაიტანე. სეზონის ბოლოს რა შედეგი იქნება შენთვის მისაღები?**

- ვერ გეტყვით და არც მიყვარს ამაზე ლაპარაკი, რადგან ცუდად მაქვს დაცდილი. რაც მეტს გავიტან, მით უკეთესი.

**- საქართველოში რაც უნდა კარგი პირობები გქონდეს, დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდა, ამბიციური თავდამსხმელი ისევ უცხოეთში წასვლაზე ფიქრობ.**

- რა თქმა უნდა, ეს დასამალი არც არის. ყველა ფეხბურთელს სახლში ყოფნა ურჩევნია, თუკი ქვეყანაში კარგ პირობებს გიქმნიან და უზრუნველყოფილი ცხოვრება გაქვს. მაგრამ უცხოეთში დონეც მეტია, პირობებიც და ასარჩევიც არაფერია, ფეხბურთელი კი ყოველთვის უკეთეს პირველობაზე თამაშს ფიქრობს.

მქონდა “ანორთოსისისა” და “კარპატის” შემოთავაზებები. მიზეზთა გამო, ახლა საქართველოში ვთამაშობ, მაგრამ ჯერ არ ვიცი, ზაფხულში სად ვიქნები.



მათე ვაწაძე

**მერაბ მამულაშვილი**

● ახალი სახელები

# ელგუჯა გრიგალაშვილის შანსი და ოცნება





ელგუჯა გრიგალაშვილი

**მიმდინარე ჩემპიონატის ერთ-ერთ აღმოჩენად 22 წლის ელგუჯა გრიგალაშვილი უნდა მივიჩნიოთ, რომელიც მარტვილის „მერანის“ შეუცვლელ ფეხბურთელად და ლიდერად ჩამოყალიბდა. რამდენიმე დღის წინ მის კარიერაში ღირსშესანიშნავი ამბავი მოხდა - ახალგაზრდა ფეხბურთელმა ქუთაისის „ტორპედოსთან“ ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. რასაკვირველია, გრიგალაშვილს „ტორპედოსთან“ დაკავშირებულ თემებზეც ვესაუბრეთ.**

**- სად დაიწყეთ თამაში, როგორ მოხვდით „მერანში“?**

- ფეხბურთის თამაში ბავშვთა საფეხბურთო კლუბ „მერანში“ დავიწყე, ხვიჩა ქესანიშვილის ხელმძღვანელობით. გარკვეული პერიოდის შემდეგ გადავედი „ნორჩი დინამოელში“ (მწვრთნელი მამუკა სვანაძე), ამის შემდეგ კი გავაფორმე პირველი პროფესიონალური კონტრაქტი ბათუმის „დინამოსთან“, სადაც 2 წელიწად-ნახევარი დავყავი. მარტვილის “მერანის” უმაღლეს ლიგაში გადასვლის შემდეგ ამ გუნდიდან მოწვევა მივიღე, სადაც ამჟამად განათხოვრების წესით ვიმყოფები.

**- „დინამოსთან“ მიღწეული სასურველი ფრის შემდეგ, გუნდმა ზედიზედ რამდენიმე მარცხი იწვნია, რა არის ამის მიზეზი?**

- როგორც ჩანს „დინამოსთან“ თამაშის შემდეგ ძალების სრულფასოვანი აღდგენა ვერ მოვახერხეთ. წარუმატებლობის მიზეზი უმთავრესად ჩვენშია. ბიჭები ფორმაში არ ვართ, ამას დაემატა ბოლოდროინდელი უილბლობაც. „დილასთან“ პირველი ტაიმი კარგად ვითამაშეთ, გატანის არაერთი შანსი გავუშვით ხელიდან, რამაც საბოლოო შედეგზე იქონია გავლენა. იმედია, სამომავლოდ ხარვეზებს გამოვასწორებთ.

**- კონკრეტული მიზნები თუ აქვს „მერანს“ მიმდინარე სეზონში?**

- დებიუტანტი გუნდის კვალობაზე ნორმალური შედეგები გვაქვს, საუკეთესო რვა გუნდში დამკვიდრება ვადაზე ადრე გავინაღდეთ. ბიჭების უმრავლესობა უმაღლეს ლიგაში პირველად ვთამაშობთ. რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ სატურნირო ცხრილში მდგომარეობა მნიშვნელოვნად გავიუმჯობესოთ.

**- „მერანში“ გამოცდილი ფეხბურთელები ირიცხებიან : გივი დიდავა, გიორგი მანწკავა, გიგა ჟვანია... რა შეგმატათ მათ მხარდამხარ თამაშმა?**

- მანწკავასთან ერთად ბათუმის „დინამოში“ვთამაშობდი, დიდავა და ჟვანია კი აქ გავიცანი. თითოეული მათგანი არა მარტო მაღალი კლასის ფეხბურთელი, არამედ კარგი პიროვნებაცაა. მათგან მიღებულ გამოცდილებას მომავალში აუცილებლად გამოვიყენებ. აქვე მიდა აღვნიშნო მწვრთნელის, მალხაზ ჟვანიას პროფესიონალიზმი და მეგობრული დამოკიდებულება ფეხბურთელების მიმართ. დარწმუნებული ვარ, რომ მის ხელში გუნდი დიდ წარმატებებს მიაღწევს.

**- რატომ გადაწყვიტეთ „ტორპედოში“ გადასვლა?**

- “ტორპედოს“ მთავარმა მწვრთნელმა გია გეგუჩაძემ მითხრა, რომ სერიოზულად იყო დაინტერესებული თავის გუნდში მეთამაშა. არ შემეძლო ეს შანსი არ გამომეყენებინა. საბედნიეროდ, ბათუმის „დინამოსა“ და მარტვილის „მერანის“ ხელმძღვანელობა ჩემს ამ გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდა, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებ. „ტორპედო“ ტრადიციული და ამბიციური გუნდია, მუდამ მაღალი მიზნებისათვის რომ იბრძვის. ასე რომ, ამ ნაბიჯს არ ვნანობ. ჩემ ახალ გუნდს სეზონის ბოლოს შევუერთდები, მანამდე კი „მერანის“ ფეხბურთელი ვარ და არაფერს დავიშურებ მის საკეთილდღეოდ.

**- მომავალი წლიდან კიდევ უფრო დაძაბულ „იმერულ დერბს“ უნდა ველოდოთ?**

- ალბათ, იმას გულისხმობთ, რომ “ზესტაფონში” ჩემი უფროსი ძმა, შოთა თამაშობს; ის ძალიან შრომისმოყვარეა, მისგან ბევრ რამეს ვსწავლობ. როგორც ვიცი, გაზაფხულზე კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება. ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს. როცა საშუალება მეძლევა, ვუყურებ მის თამაშს და ვგულშემატკივრობ.

**- თქვენი აზრით, „ტორპედოდან“ ნაკრებში მიგიწვევენ?**

- იმედი ნამდვილად მაქვს. ყველა ფეხბურთელის ოცნება ნაკრებში თამაშია და გამონაკლისი არც მე ვარ. თემურ ქეცბაია საქართველოს ჩემპიონატის ლიდერთა მატჩებს სისტემატურად ესწრება და ახლა ყველაფერი ჩემზე იქნება დამოკიდებული.

**ბესიკ გვაზავა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრემიერლიგა. XXXI ტური. შეჯამება

# მანჩინის წაგებული ნაძლევი და ტური



სტილიან პეტროვმა ორგანიზაცია „გადაარჩინე სიცოცხლე“ დააარსა. ახლა მას თავად სჭირდება სიცოცხლისთვის ბრძოლა

## ჯერ კიდევ არაფერი?

თამაშის წინ **რობერტო მანჩინი** მზად იყო, მსურველთან ნაძლევი დაედო, რომ "ბლექბერნი" "მანჩესტერ იუნაიტედს" ქულას აართმევდა და "სიტის" საჩემპიონო რბოლაში ხელს გაუმართავდა. იტალიელის იმედები ტყუილი გამოდგა. "ივუდ პარკის" ბინადრები დიდხანს იბრძოდნენ თავგამოდებით, მაგრამ ბოლოს ორი ჩხვლეტა მაინც გაუშვეს.

თამაში "ალისფერი ეშმაკების" შეტევებით დაიწყო. სტუმარი აქტიური იყო განსაკუთრებით მარჯვენა ფლანგზე. "ვარდები" პირველად ბურთიანად **დავიდ დე ხეას** კარის მისადგომებთან მხოლოდ მე-5 წუთზე გამოჩნდნენ, მაგრამ **იაკუბუ აიგბენის** მცდელობას სახიფათო მომენტი არ მოჰყოლია. მე-11 წუთზე ანგარიში უნდა გახსნილიყო. "იუნაიტედის" შეტევა ძალიან გაიჭიმა. მასში ლამის მთელი გუნდი ჩაერთო. საბოლოოდ ახლო მანძილიდან **ხავიერ ერნანდესმა** დასწრებაზე ითამაშა. ბურთი **პოლ რობინსონს** ხელებს ქვეშ გაუძვრა, მაგრამ ბოლო წამს მაინც შეძლო მისი დამორჩილება. მე-18 წუთზე "ბლექბერნმა" პირველი ძალიან სახიფათო მომენტი შექმნა. **დევიდ ჰოილეტმა** 23-24 მეტრიდან ბურთი მარჯვენა "ცხრიანში" გაუშვა, მაგრამ დე ხეამ ულამაზეს ნახტომში შეძლო მოგერიება. პირველი ტაიმის მიწურულამდე პრინციპში არც არაფერი შეცვლილა. გუნდები პოზიციური ბრძოლით გაერთნენ და სახიფათო მომენტების შესაქმნელად ველარ იცლიდნენ. **ჰოვარდ ვების** მიერ კომპენსირებულ დროში მასპინძლებმა მიყოლებით ორი ისეთი მომენტი შექმნეს, რომ არა დავიდ დე ხეას ბრწყინვალე თამაში, "მანჩესტერს" საქმე კარგად არ წაუვიდოდა. ჯერ **მარკუს ოლსონმა** გაისროლა შორიდან და ესპანელი გოლკიპერი მთელი თავისი ბრწყინვალებით წარმოგვიდგა. კუთხურის გათამაშების შემდეგ კი **გრანტ ჰენლიმ** დაარტყა თავით, მაგრამ დე ხეა ისევ ფანტასტიკური იყო.

მეორე ნახევრის პირველმა ათმა წუთმა უინტერესო თამაში გვაჩუქა. 55-ედან კი სახიფათო მომენტების კასკადი მოეწყო. ჯერ **უეინ რუნიმ** იყოჩაღა და შორეული საჯარიმო კარში გაუშვა. რობინსონი ბურთს ადგილზე დახვდა და მოიგერია. მერე **რაფაელმა** სცადა ანგარიშის გახსნა და 27 მეტრიდან ახლო კუთხეში დაარტყა. რობინსონი ისევ კარგად გაისარჯა - ბურთი მოიგერია. ზედიზედ მოწოდებული კუთხურების შემდეგ ერნანდესი გოლკიპერთან პირისპირ დარჩებოდა, მაგრამ ბურთს რატომღაც ყველაზე მოუხერხებელ პოციზიაზე დახვდა და ნახტომში თავით ველარ მიწვდა.

რომ არა ეს შეცდომა, მექსიკელს გატანა ნამდვილად არ გაუჭირდებოდა. 62-ე წუთზე უკვე **პედერსენს** შეეძლო საჯარიმოდან მეტოქის დამწუხრება. დე ხეამ უხერხულად მოიგერია, მაგრამ იქვე **რიო ფერდინანდი** გაჩნდა და მომენტი განმუხტა. მალე **სტივენ ნზონზის** პასით პედერსენმა შორიდან გაიტანა, თუმცა აშკარა იყო, რომ პასამდე ბურთმა მოედნის ფარგლები დატოვა. **ალექს ფერგიუსონმა** შეცვლებით სცადა მატჩის შემოტრიალება. ჯერ **დენი უელბეკი** გამოვიდა (ეს ცოტა ადრე მოხდა), მერე **რაიან გიგზი** გამოჩნდა საყრდენად მოთამაშე **ფილ ჯონსის** ნაცვლად.

81-ე წუთზე კი ანგარიში წესების სრული დაცვით გაიხსნა. **ანტონიო ვალენსიამ** სეზონში მე-3 პრემიერლიგური გოლი გაიტანა. ეკვადორელმა ბურთი მარჯვენა ფლანგზე რაფაელისგან მიიღო, საჯარიმოსკენ შეიწია და პირდაპირი დარტყმით წარმოუდგენელი პოზიციიდან ბადეში გაახვია - 0:1. **მარტინ ოლსონი** ამ მომენტში სტატისტის როლში დარჩა, რობინსონმა კი ყუმბარისებურ დარტყმას ნაგვიანები რეაქცია შეაგება.

86-ე წუთზე მატჩს წერტილი დაესვა. მეორე გოლი ისევ მოულოდნელად გავიდა. ფლანგიდან ვალენსიამ ცენტრში **ეშლი იანგს** გადააწოდა. მას **ბრედლი ორი** და **სკოტ დანი** მეურვეობდნენ. სიტუაცია თითქოს გამოუვალი იყო, მაგრამ სტუმარმა მოახერხა შემოტრიალება და რობინსონს აულებელი დაურტყა - 0:2. თამაშის დასრულებამდე თამაშს სტუმრები აკონტროლებდნენ. საბოლოოდ "ეშმაკებმა" ბურთის ფლობის უნიკალური მაჩვენებელი - 73% დააფიქსირეს.

**ალექს ფერგიუსონი** (მანჩესტერ იუნაიტედი): *"რთული საღამო აღმოჩნდა, არა? მთელი თამაშის განმავლობაში მიზანმიმართულად ვიმუშავეთ და მატჩის ბოლოს შედეგიც მივიღეთ. რეალური საგოლე შანსი რასაც ჰქვია, ჩვენ ასეთი არცთუ ისე ბევრი გვქონდა. ფლანგზე ანტონიო ვალენსიას აქტიურობას თავიდან შედეგი არ მოჰქონდა, თუმცა მეტოქეზე ზეწოლა წამითაც არ შეგვიწყვეტია, რადგან ვიცოდით, რომ მისთვის კონტრშეტევების შანსი არ უნდა მიგვეცა. ვინ იცის, რა ფასი დაედება ბურთების სხვაობას. სწორედ ამიტომაა კარგი, რომ ის უკვე გამოვასწორეთ. ცოტა ხნის წინ მეტოქეს პლუს 18 ჰქონდა, ახლა ერთი ბურთითღა გვისწრებს. რაკი ამას მივაღწიეთ, არ ნიშნავს, რომ უნდა დავკმაყოფილდეთ. მსგავს სიტუაციებში უკვე საკმაო გამოცდილება დავაგროვე და აღლო მეუბნება, რომ როცა წინ კიდევ 7 თამაშია, 5 ქულა გადამწყვეტი უპირატესობა ჯერ კიდევ არ არის. ახლა მთავარია, კვირას მოვახერხოთ "ქუინზ პარკთან" გამარჯვება".*


ანტონიო ვალენსიამ ბლექბერნს გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა

## გაიჭრა, გაიჭრა...

მხოლოდ სტატისტიკისთვის თვალის გადავლებაა საჭირო და მიხვდებით, თუ რატომ არის "მანჩესტერ იუნაიტედი" პირველ ადგილზე. სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდმა 14 იანვრიდან მოყოლებული 33 შესაძლებლიდან 31 ქულა აიღო, ანუ 11-დან 10 თამაში მოიგო. ის ერთი ფრეც "ეშმაკებმა" "სტემფორდ ბრიჯზე" "ჩელსისთან" 3:0-ის ჩამორჩენის შემდეგ მოიპოვეს. მოქმედმა ჩემპიონებმა გუშინ "ივუდ პარკზე" მიყოლებით მე-7 შეხვედრა მოიგეს და რაკი მის მიმოხილვას ცალკე გთავაზობთ, მასზე აქ აღარ შევჩერდებით. შეკითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია 5-ქულიანი უპირატესობა, ფერგი ამბობს, რომ ეს ჯერ კიდევ არაფერია. პრინციპში შეიძლება დაეთანხმო კიდეც. "სიტის" ნამდვილად შეუძლია დარჩენილი ყველა თამაშის მოგება, მათ შორის "ეტიჰადზე" უშუალო კონკურენტთან, მათ შორის "ემირიტსზეც" "არსენალთან". არა, ძნელია, ძალიან ძნელი, მაგრამ არა შეუძლებელი. თავის მხრივ "იუნაიტედის" ერთი ფეხის წაცდენასაც ვერ გამოვრიცხავთ. მოკლედ, 5 ქულა "იუნაიტედის" ფანს ყურზე კარგად ხვდება, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ არის ყველაფერი.

## მეორე დარტყმა პრემიერლიგას

უქმეებამდე რამდენიმე დღით ადრე "ასტონ ვილას" ვებგვერდმა სამწუხარო ინფორმაცია გაავრცელა. ბირმინგემული კლუბის კაპიტან **სტილიან პეტროვს** მწვავე ლეიკოზი აღმოაჩნდა (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ "სისხლის კიბო"). 32 წლის ბულგარელის სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დგას, მაგრამ როგორც ამბობენ, სტენი (ასე უწოდებენ მას ინგლისში) ძლიერი ადამიანია და გაუძლებსო. გასაძლები კი უპირველესად ფსიქოლოგიურად არის. "ვილას" პრესსამსახური საზოგადოებას შეჰპირდა, რომ როგორც კი რაიმე ახალი ინფორმაცია გაჩნდება ფეხბურთელთან დაკავშირებით, აუცილებლად აცნობებს. კლუბი ჯერ კიდევ ელოდება ჰემატოლოგების პასუხს. რა სახის ლეიკოზია, მათ ჯერ არ დაუდგენიათ. ინგლისური საფეხბურთო საზოგადოება მოკლე პერიოდში უკვე მეორე ფეხბურთელის გადასარჩენად ლოცულობს. **ფაბრის მუამბა** უკეთაა. გაზეთებმა "ტვიტერზე" გამოქვეყნებული მისი გაღიმებული ფოტოებიც გაავრცელეს. ახლა მთელი ყურადღება სტენისკენაა მიპყრობილი. ბედის ირონიაა, რომ გასული წლის ნოემბერში ფეხბურთელმა **მიკ მაკარტისთან** (ირლანდიის ნაკრებისა და "ვულვზის" ყოფილი თავკაცი) და **ბენ ფოსტერთან** ("ვესტ ბრომვიჩის" მეკარე) ერთად ორგანიზაცია "გადაარჩინე სიცოცხლე" კარდიოლოგიური დაავადებებით გაწამებული და გაჭირვებული ადამიანების დასახმარებლად დააარსა.

| ნიუკასლი–ლივერპული | 2:0 |
|---|---|

**საუკეთესო:** პაპის სისე (ნიუკასლი)

| ტოტენჰემი–სუონსი | 3:1 |
|---|---|

**საუკეთესო:** გულფი სიგურდსონი (სუონსი)

| ბლექბერნი–მანჩესტერ იუნ. | 0:2 |
|---|---|

**საუკეთესო:** უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი)

| ასტონ ვილა–ჩელსი | 2:4 |
|---|---|

**საუკეთესო:** ხუან მატა (ჩელსი)

| ევერტონი–ვესტ ბრომვიჩი | 2:0 |
|---|---|

**საუკეთესო:** ნიკიცა იელავიჩი (ევერტონი)

| ფულჰემი–ნორვიჩი | 2:1 |
|---|---|

**საუკეთესო:** კლინტ დემპსი (ფულჰემი)

| მანჩესტერ სიტი–სანდერლ. | 3:3 |
|---|---|

**საუკეთესო:** სტეფან სესინიონი (სანდერლენდი)

| ქუინზ პარკი–არსენალი | 2:1 |
|---|---|

**საუკეთესო:** რობინ ვან პერსი (არსენალი)

| უიგანი–სტოკ სიტი | 2:0 |
|---|---|

**საუკეთესო:** ჯერმეინ პენანტი (სტოკ სიტი)

| ვულვერჰემპტონი–ბოლტონი | 2:3 |
|---|---|

**საუკეთესო:** როი მიაიჩი (ბოლტონი)

***სეზონის 5 საუკეთესო ფეხბურთელი EA სპორტს-ის მიხედვით:***
1. რობინ ვან პერსი (არსენალი) - 717 ქულა
1. უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი) - 683
3. ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი) - 593
4. დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი) - 536
5. გარეთ ბეილი (ტოტენჰემი) – 513

### ზოგადი სტატისტიკა ღლეისთვის:

309 მატჩი
236 მოგება
73 ფრე
160 მშრალად შენახული კარი
868 გოლი
4 507 ზუსტი დარტყმა კარში
3 480 აცილება
527 ფეხბურთელი
68 ეროვნების მოთამაშე
16 ჰეთ თრიკი
975 ყვითელი ბარათი
55 წითელი ბარათი
10 635 072 ფანი ტრიბუნებზე

### ტურის გმირი

ტურის საუკეთესო ფეხბურთელად ნიუკასლელ **პაპის დემბას სისეს** ვასახელებთ. ფეხბურთელმა "კაჭკაჭებში" 7 შეხვედრაში მოედანზე 498 წუთი გაატარა და ამ დროში 7 გოლი და 1 საგოლე გადაცემა მიითვალა. ის დიდებული იყო "ლივერპულთანაც".

### ტურის მწვრთნელი

„სანდერლენდის" ჩრდილოირლანდიელმა დამრიგებელმა **მარტინ ონილმა** ჩვენგან ეს პატივი იმით დაიმსახურა, რომ "მანჩესტერ სიტის" "ეტიჰადზე" 15-თამაშიანი მოგებათა სერია შეაწყვეტინა.

### ტურის ნაკრები

**ტიმ კრული** (ნიუკასლი) – **ბრანისლავ ივანოვიჩი** (ჩელსი), **ანტონიო ალკარასი** (უიგანი), **ალექსანდარ კოლაროვი** (მანჩესტერ სიტი), **მარკოს ალონსო** (ბოლტონი) – **სებასტიან ლარსონი** (სანდერლენდი), **რაფაელ ვან დერ ვაარტი** (ტოტენჰემი), **ანტონიო ვალენსია** (მანჩესტერ იუნაიტედი), **ადელ ტაარაბტი** (ქუინზ პარკი) – **პაპის დემბა სისე** (ნიუკასლი), **ემანუელ ადებაიორი** (ტოტენჰემი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუნაიტედი | 31 | 24 | 4 | 3 | 76-27 | 76 |
| 2. სიტი | 31 | 22 | 5 | 4 | 75-25 | 71 |
| 3. არსენალი | 31 | 18 | 4 | 9 | 62-41 | 58 |
| 4. ტოტენჰემი | 31 | 15 | 8 | 8 | 53-36 | 53 |
| 5. ჩელსი | 31 | 15 | 8 | 8 | 53-36 | 53 |
| 6. ნიუკასლი | 31 | 12 | 7 | 12 | 32-32 | 43 |
| 7. ევერტონი | 31 | 12 | 7 | 12 | 32-32 | 43 |
| 8. ლივერპული | 31 | 11 | 9 | 11 | 36-33 | 42 |
| 9. სანდერლენდი | 31 | 11 | 8 | 12 | 42-37 | 41 |
| 10. ფულჰემი | 31 | 10 | 9 | 12 | 39-42 | 39 |
| 11. სუონსი | 31 | 10 | 9 | 12 | 35-39 | 39 |
| 12. ნორვიჩი | 31 | 10 | 9 | 12 | 42-49 | 39 |
| 13. სტოკ სიტი | 31 | 10 | 8 | 13 | 29-43 | 38 |
| 14. ვესტ ბრომვიჩი | 31 | 10 | 6 | 15 | 36-43 | 36 |
| 15. ასტონ ვილა | 30 | 7 | 12 | 11 | 33-42 | 33 |
| 16. ბოლტონი | 30 | 9 | 2 | 19 | 36-60 | 29 |
| 17. ქუინზ პარკი | 31 | 7 | 7 | 17 | 35-54 | 28 |
| 18. ბლექბერნი | 31 | 7 | 7 | 17 | 43-64 | 28 |
| 19. უიგანი | 31 | 6 | 10 | 15 | 29-55 | 28 |
| 20. ვულვზი | 31 | 5 | 7 | 19 | 33-68 | 22 |

**ბომბარდირები:** 26 - რობინ ვან პერსი (არსენალი); 21 - უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი); 17 - სერხიო აგუერო (მანჩესტერ სიტი), 16 - დემბა ბა (ნიუკასლი); 14 - იაკუბუ აიგბენი (ბლექბერნი) 13 - ედინ ჯეკო, მარიო ბალოტელი (ორივე მანჩესტერ სიტი), კლინტ დემპსი (ფულჰემი), ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი),

**ასისტენტები:** 12 - დავიდ სილვა (მანჩესტერ სიტი), ანტონიო ვალენსია (მანჩესტერ იუნაიტედი); 11 - ემანუელ ადებაიორი (ტოტენჰემი), ხუან მატა (ჩელსი); 9 - რობინ ვან პერსი (არსენალი), გარეთ ბეილი (ტოტენჰემი), სტეფან სესინიონი (სანდერლენდი); 8 - რაიან გიგზი, ლუიშ ნანი (ორივე მანჩესტერ იუნაიტედი); ტეო უოლკოტი, ალექს სონგი (ორივე არსენალი)

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

უცხოური ფეხბურთი

სერია A. XXX ტურის შეჯამება

# იუვე VS მილანი გრძელდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფოკუსში მაინც ინტერია



ანტონიო კასანო ბრუნდება და ევროპის ჩემპიონატს უმიზნებს

**ქვემოთ, სერია A-ს მორიგი ტურის სიმბოლურ ნაკრებზე, გმირზე, ციფრებსა და ფაქტებზე გვექნება საუბარი - ამასთან, ყველაზე აქტუალურ და სასიამოვნო თემას გამოვეხმაურებით, რომელიც ანტონიო კასანოს დაბრუნებას შეეხება. დიახ, იტალიის ნაკრებისა და "მილანის" ფორვარდი ფეხბურთს უბრუნდება და ამ თემას გვერდს ვერაფრით ავუვლიდით; დანარჩენს ქვემოთ გაეცნობით...**

### კასანოს მწვანე აუნთეს

არაერთხელ გაცნობეთ იმის შესახებ, რომ **ანტონიო კასანოს** სარეაბილიტაციო პერიოდი წარმატებულად მიმდინარეობს. რამდენიმე დღის წინ გავრცელებული ინფორმაციით, იტალიის ნაკრებისა და "მილანის" ფორვარდს სამედიცინო შემოწმება უნდა გაევლო, რის შემდეგაც ზუსტად გვეცოდინებოდა მისი დაბრუნების თარილი. გუშინ, ანტონიოს დეტალური გამოკვლევა ჩაუტარდა და გაცხადდა, რომ მას უკვე შეუძლია მოედანზე დაბრუნება... კასანომ პრესას კომენტარი მისცა და დროა, სიტყვა მას გადავცეთ:

*"საოცარი დღეა, რომელიც არასდროს დამავიწყდება. ისეთი განცდა მაქვს, თითქოს ფეხბურთის თამაში დღეს დავიწყე. ემოციებით ვარ აღსავსე და მინდა ჩემი სიხარული ყველას გავუზიარო. ბევრი ფიქრობდა, რომ ფეხბურთს საერთოდ ვეღარ დავუბრუნდებოდი, უმეტესობა კი თვლიდა, რომ მინიმუმ სეზონის ბოლომდე ლაზარეთში მომიწევდა ყოფნა. აპრილის დასაწყისია და მითხრეს, რომ შემიძლია მოედანზე გავიდე, ეს კი რწმენამ მოიტანა – ერთი წუთითაც არ დამიშვია, რომ მიმდინარე სეზონში "მილანის" დახმარებას ველარ შევძლებდი. იმედი მაქვს, ფორმას მალე ალვიდგენ და ეროვნულ ნაკრებშიც დავიბრუნებ ადგილს".*

#### ტურის სიმბოლური ნაკრები

**კარიცო** (კატანია) – **ძაკარდო** (პარმა), **ბონუჩი** (იუვენტუსი), **სპოლი** (კატანია), **ანტონინი** (მილანი) – **ვიდალი** (იუვენტუსი), **მარიგა** (პარმა), **მარკინიო** (პარმა) – **ფლოკარი** (პარმა), **მილიტო** (ინტერი), **ოსვალდო** (რომა).

ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ტურის სიმბოლურ ნაკრებში ოთხი მცველი მოხვდა და არა სამი – ეს იმის მანიშნებელია, რომ გასულ უქმეებზე ნახევარმცველებმა ვერ გაიბრწყინეს და ერთი ადგილი სწორედ მცველებს დაუთმეს. **ბონუჩიმ** და **სპოლიმ** თავიანთი უშუალო მოვალეობები ბრწყინვალედ შეასრულეს, ამასთან, გოლები გაიტანეს და თანაც, ძალიან მნიშვნელოვანი; ბონუჩიმ "ნაპოლისთან" შეხვედრაში გახსნა ანგარიში და "იუვეს" გამარჯვებას დაუდო სათავე, სპოლიმ კი "მილანს" გაუთანაბრა და "კატანიას" ქულა მოუტანა. ფლანგებზე **ძაკარდოს** და **ანტონინის** ვხედავთ, გოლები ვერა, მაგრამ დაცვაში ბრწყინვალედ გაისარჯნენ და დაიმსახურეს კიდეც ადგილი რჩეულთა შორის.

შუა ხაზში, **ვიდალი, მარიგა** და **მარკინიო** გავამწესეთ, სამივემ გოლი გაიტანა და ამით ყველაფერია ნათქვამი. რაც შეეხება თავდასხმას, **პაბლო ოსვალდო, სერჯო ფლოკარი** და **დიეგო მილიტო** უნდა გამოვარჩიოთ – პირველმა ერთხელ შეარხია მეტოქის კარი, მეორე დუბლი შეასრულა, მესამემ კი სულაც ჰეთ ტრიკით დაგვამახსოვრა თავი. სწორედ მესამეზე ვისაუბრებთ ქვემოთ...

### ტურის გმირი

ტურის გმირი დიეგო მილიტო გახლავთ, ფორვარდი, რომელმაც "ჯენოასთან" პაექრობაში ჰეთ ტრიკი შეასრულა და "ინტერს" ასე ნანატრი გამარჯვება მოაპოვებინა. ეს იყო პირველი მატჩი **ანდრეა სტრამაჩონისთვის** მილანური გრანდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე, რომელიც წარმატებული გამოდგა. მართალია, ლომბარდიელებმა ერთობ უცნაური ანგარიშით გაიმარჯვეს (5:4), მაგრამ მოგება მოგებაა და მისთვის სამ ქულას იძლევიან.

დიეგო მილიტომ ორი გოლი თამაშიდან გაიტანა, მესამე თერთმეტმეტრიანით შეაგდო და ნამატჩევს, პრესას შემდეგი განუცხადა: *"ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ემოციური შეხვედრა, რომელშიც ოდესმე მონაწილეობა მიმიღია. ბედნიერი ვარ, რომ გამარჯვებაში ჩემი წვლილი შევიტანე, შედეგად კი ახალ მწვრთნელს წარმატებული დებიუტი გამოუვიდა. ანდრეა სტრამაჩონიმ ენთუზიაზმით აგვავსო და ჩემი ასეთი შედეგიანი თამაშიც დიდწილად ამის დამსახურებაა".*

#### ტურის ფრაზა

**ენრიკო პრეციოზი (ჯენოას პრეზიდენტი ინტერთან 5:4-ზე წაგებული მატჩის შემდეგ):** *"ვერაფრით გავიგე რა უხაროდა მასიმო მორატის, "ინტერმა" საშინლად ითამაშა".*

#### გლობალური სტატისტიკა

**საუკეთესო დასწრება:** XVIII ტური მილანი-ინტერი, 80 000 გულშემატკივარი.

**ყველაზე დაბალი დასწრება:** XVII ტური კალიარი-ჯენოა, XVIII კიევო-პალერმო, XIX კალიარი-ფიორენტინა, XXII ლეჩე-ბოლონია, XXIII კალიარი-პალერმო, XXV კალიარი-ლეჩე, 6 000 გულშემატკივარი.



დიეგო მილიტო და ანდრეა სტრამაჩონი

**ყველაზე დიდი საშინაო გამარჯვება:** ნაპოლი-ჯენოა 6:1 (I ტური), ინტერი-პარმა 5:0 (XVII).

**ყველაზე დიდი საგარეო გამარჯვება:** ფიორენტინა-იუვენტუსი 0:5 (XXVIII ტური).

**ყველაზე უხვგოლიანი თამაში:** ნაპოლი-კალიარი 6:3 (XXVII), ინტერი-ჯენოა 5:4 (XXX).

#### სერიები

მოგება: **იუვენტუსი - 3 თამაში**

წაგება: **ბოლონია - 2**

წაუგებლად: **იუვენტუსი - 30**

მოუგებლად: **ჩეზენა - 12**

#### გუნდური სტატისტიკა

საუკეთესო თავდასხმა: **60 გოლი - მილანი; 54 - ნაპოლი; 49 – იუვენტუსი.**

საუკეთესო დაცვა: **17 გაშვებული - იუვენტუსი; 24 – მილანი; 28 – უდინეზე.**

უარესი თავდასხმა: **18 გოლი - ჩეზენა; 26 – ნოვარა; 27 - კიევო.**

უარესი დაცვა: **56 გაშვებული - ჯენოა, 51 – ნოვარა; 47 – ჩეზენა, პარმა, პალერმო.**

ზუსტი გადაცემები: **16160 - იუვენტუსი; 16146 – მილანი; 15853 - რომა.**

კარის მიმართულებით დარტყმები: **563 - იუვენტუსი; 476 – რომა; 472 - მილანი.**

კარში დარტყმები: **198 - იუვენტუსი; 182 - მილანი; 151 - ნაპოლი.**

#### ინდივიდუალური სტატისტიკა

ბომბარდირები: 22 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 19 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე), ედინსონ კავანი (ნაპოლი); 17 – დიეგო მილიტო (ინტერი); 16 – როდრიგო პალასიო (ჯენოა); 15 - ხერმან დენისი (ატალანტა); 13 – მიროსლავ კლოზე (ლაციო); 12- სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა), ფაბრიციო მიკოლი (პალერმო).

ასისტენტები: 12 - ფაბრიციო მიკოლი (პალერმო); 10 - ანდრეა პირლო (იუვენტუსი); 8 - პაბლო არმერო (უდინეზე); 7 - ანტონიო კასანო (მილანი), მირალემ პიანიჩი (რომა), მარეკ ჰამშიკი (ნაპოლი), რობინიო (მილანი), ხუან მანუელ ვარგასი (ფიორენტინა), სებასტიან ჯოვინკო (პარმა).

ზუსტი პასები: 2390 - ანდრეა პირლო (იუვენტუსი); 1977 - კრისტიან ლედესმა (ლაციო); 1817 – რიკარდო მონტოლივო (ფიორენტინა); 1705 – ჯორჯო კიელინი (იუვენტუსი); 1687 – ფრანჩესკო ლოდი (კატანია); 1666 - დანიელე დე როსი (რომა); 1618 - ტიაგო სილვა (მილანი).

კარის მიმართულებით დარტყმები: 131 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 106 – ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 105 – სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 97 – სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა); 96 - ედინსონ კავანი (ნაპოლი); 91 – ფაბრიციო მიკოლი (პალერმო).

კარში დარტყმები: 56 - ანტონიო დი ნატალე (უდინეზე); 51 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (მილანი); 41 – ედინსონ კავანი (ნაპოლი); 37 - ფაბრიციო მიკოლი (პალერმო); 36 - სტევან იოვეტიჩი (ფიორენტინა), სებასტიან ჯოვინკო (პარმა); 33 - ხერმან დენისი (ატალანტა); 30 – მიროსლავ კლოზე (ლაციო).

ჯარიმები: 70 - ლუკა ჩიგარინი (ატალანტა); 69 – ვალონ ბერამი (ფიორენტინა), მატია დესტრო (სიენა); 67 - პერპარიმ ჰეტემაი (კიევო); 64 - გაბი მუდინგაი (ბოლონია); 61 – დანიელე კონტი (კალიარი), გილიერმო ჯაკომაცი (ლეჩე); 59 - ხუან კუადრადო (ლეჩე), გილიერმო ჯაკომაცი (ლეჩე).

#### ციფრები და ფაქტები

**გასული ტურის 10 მატჩში კარის მიმართულებით 239 დარტყმა განხორციელდა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია მიმდინარე სეზონში.**

■ ■ ■

2012 წელს, დიეგო მილიტოს ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი, მის ანგარიშზე 13 შედეგიანი დარტყმაა.

■ ■ ■

**მაურო სარატემ პირველი გოლი გაიტანა "ინტერის" მაისურით სერია A-ში.**

■ ■ ■

"ჯენოას" 9 მატჩია არ მოუგია.



ენრიკო პრეციოზიმ ვერაფრით გაიგო, რამ გაახარა მასიმო მორატი...

■ ■ ■

**"იუვენტუსმა" რეკორდი გაიუმჯობესა - 31 თამაში მარცხის გარეშე.**

■ ■ ■

"იუვენტუსმა" 11 შეხვედრაში დაასრულა პირველი ტაიმი ნულოვანი ფრით, ყველა ამ პაექრობაში ტურინულმა გრანდმა კარი მშრალად შეინახა.

■ ■ ■

**"კატანიას" 8 მატჩია არ წაუგია, ეს გუნდის ისტორიაში საუკეთესო შედეგის გამეორებაა.**

■ ■ ■

"მილანს" "კატანიასთან" გასვლითი მატჩი 1963 წლის შემდეგ არ წაუგია.

■ ■ ■

**რობერტო დონადონიმ მე-100-ჯერ გაიყვანა გუნდი მთავარი მწვრთნელის რანგში.**

■ ■ ■

მაკდონალდ მარიგამ "პარმადან", ლიონელ სკალონიმ "ლაციოდან", მარკინიომ "რომადან", ფრედრიკ სორენსენმა "ბოლონიადან", გაიტანეს პირველი გოლები სერია A-ში.

■ ■ ■

**"ლაციოს" არც ერთი მატჩი არ დაუსრულებია ფრედ 2012 წელს.**

■ ■ ■

"პალერმომ" პირველი გასვლითი მატჩი მოიგო გასული წლის 15 მაისის შემდეგ.

■ ■ ■

**"ატალანტასთან" მარცხით, "კალიარიმ" 8-მატჩიანი წაუგებელი სერია შეწყვიტა.**

■ ■ ■

"ჩეზენას" 12 თამაშია არ მოუგია.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 30 | 19 | 7 | 4 | 60-24 | 64 |
| 2. იუვენტუსი | 30 | 16 | 14 | 0 | 49-17 | 62 |
| 3. ლაციო | 30 | 15 | 6 | 9 | 44-37 | 51 |
| 4. ნაპოლი | 30 | 12 | 12 | 6 | 54-35 | 48 |
| 5. უდინეზე | 30 | 13 | 9 | 8 | 40-28 | 48 |
| 6. რომა | 30 | 14 | 5 | 11 | 47-37 | 47 |
| 7. ინტერი | 30 | 13 | 5 | 12 | 43-42 | 44 |
| 8. კატანია | 30 | 10 | 13 | 7 | 39-38 | 43 |
| 9. პალერმო | 30 | 11 | 6 | 13 | 44-47 | 39 |
| 10. კიევო | 30 | 10 | 9 | 11 | 27-37 | 39 |
| 11. ატალანტა | 30 | 10 | 13 | 7 | 33-31 | 37 |
| 12. კალიარი | 30 | 9 | 10 | 11 | 31-36 | 37 |
| 13. სიენა | 30 | 9 | 9 | 12 | 34-31 | 36 |
| 14. ბოლონია | 30 | 9 | 9 | 12 | 32-38 | 36 |
| 15. პარმა | 30 | 8 | 11 | 11 | 38-47 | 35 |
| 16. ჯენოა | 30 | 9 | 7 | 14 | 41-56 | 34 |
| 17. ფიორენტინა | 30 | 8 | 9 | 13 | 30-37 | 33 |
| 18. ლეჩე | 30 | 6 | 10 | 14 | 31-45 | 28 |
| 19. ნოვარა | 30 | 5 | 9 | 16 | 26-51 | 24 |
| 20. ჩეზენა | 30 | 4 | 7 | 19 | 18-47 | 19 |

*შენიშვნა: ატალანტა - 6 ქულა*

#### მომდევნო ტური

**7 აპრილი:** ჩეზენა-ბოლონია, კიევო-კატანია, მილანი-ფიორენტინა, ნოვარა-ჯენოა, კალიარი-ინტერი, უდინეზე-პარმა, ლეჩე-რომა, ატალანტა-სიენა, პალერმო-იუვენტუსი, ლაციო-ნაპოლი.

**ლაშა წიკლაური**

მანჩესტერ სიტი

# მანჩინი: ბალოტელის არ ვყიდით

## სერხიო აგუეროს გონსალო იგუაინში ცვლიან?

"მანჩესტერ სიტის" თავკაცი **რობერტო მანჩინი** ოპერატიულად გამოეხმაურა ინგლისურ პრესაში აგორებულ ჭორებს, თითქოს თანაგუნდელებთან პერმანენტული დაპირისპირებების გამო ის გუნდიდან **მარიო ბალოტელის** გაშვებას უპირებდეს და ეს პერსპექტივა კატეგორიულად უარყო. იტალიელის თქმით: *"გამორიცხეთ. ბალოტელის გაშვებას არ ვაპირებ. დიახ, მე მისით იმედგაცრუებული ვარ, რადგან არ მესმის, მისი კლასისა და ტექნიკის პატრონს რანაირად შეუძლია ხანდახან ასეთი ამაზრზენი თამაშების ჩატარება. ვფიქრობ, ის ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდაა და ჭკუის სასწავლებლად დრო წინ აქვს. ეს, რაც უფრო მალე მოხდება, მით უკეთესია მისი მომავლისთვის".*

ბალოტელიზე ჭორები არ ეყოფოდა, იტალიურმა პრესამ ახლა ის დაწერა, "სიტიმ" მანჩინის კარისკენ თუ მიუთითა, დონ რობერტო "ინტერს" დაუბრუნდება. ისინი თავად მანჩინის სიტყვებს ეყრდნობიან, ბოლო პერიოდში "ნერაძურის" პრეზიდენტ **მასიმო მორატისთან** სატელეფონო კავშირი რამდენჯერმე მქონდაო. მანჩინი არ აკონკრეტებს, რა თემაზე ელაპარაკა და შესაბამისად, ჭორების გავრცელებასაც უწყობს ხელს.

თემა "მანჩესტერ სიტი" და ჭორები" გრძელდება. ასპარეზს ამჯერად ესპანურ პრესას ვუთმობთ. მათი მტკიცებით, სეზონის დასრულების შემდეგ "რეალი" "ქალაქელებს" **სერხიო აგუეროს** ნაცვლად 5-10 მილიონ ევროს და **გონსალო იგუაინს** შესთავაზებს. როგორც ამბობენ, თავად არგენტინელს მოვლენათა ამგვარი განვითარება ძალიან ხიბლავს. ამასვე ურჩევს სიძეს **დიეგო მარადონაც**. *"კუნ აგუერო "რეალში" უნდა თამაშობდეს. მიუხედავად იმისა, რომ ის "სიტის" შემადგენლობაშიც კარგად გამოიყურება, მას "სანტიაგო ბერნაბეუზე" ბევრად უკეთეს გარემოს დაახვედრებენ. ალბიონზე წასვლით მან სერიოზული შეცდომა დაუშვა. ახლა გვიანია, ვფიქრობ, სერხიოს კლუბის დატოვება ძალიან გაუჭირდება".*

**ლევან ბიბილაშვილი**



გონსალო იგუაინი



სერხიო აგუერო

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სევილია

# მიჩელის შრომის ნაყოფი: რეიესი-ნავასის დუეტი ამუშავდა

**სევილია-მალიორკა 3:1**

საუკეთესო: ხესუს ნავასი

პრიმერადივიზიონის 30-ე ტურის ბოლო შეხვედრა „სანჩეს პისხუანზე“ გაიმართა, რომლის სტატისტიკური მონაცემები უკვე შემოგთავაზეთ. **მიჩელის** „სევილიამ“ „მალიორკას“ 3:1 მოუგო და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. „რეალის“ ლეგენდარულმა ფეხბურთელმა „სევილიას“ უკვე ზედიზედ მესამედ მოაგებინა. ახლა ანდალუსიელებს ჩემპიონთა ლიგის მომტან მე-4 ადგილამდე ხუთი ქულალა აშორებთ. შესაძლოა, დარჩენილი 8 ტურისთვის ეს ჩამორჩენა ბევრია, მაგრამ აღსანიშნავია თუ როგორ ცუდად თამაშობენ წინ მყოფი გუნდები.

აღსანიშნავია ორი გამოცდილი ნახევარმცველის, **ხოსე ანტონიო რეიესის** და **ხესუს ნავასის** ძალიან კარგი თამაში. პირველმა ორი საგოლე პასი გააკეთა, მეორეს ანგარიშზე გოლი და საგოლე პასია. რეიესი და ნავასი მინდორზე კარგად უგებდნენ ერთმანეთს და, ვფიქრობთ, „სევილიას“ წარმატების საიდუმლოც ამ წყვილის ამოქმედებაშია (რეიესი ახალი დაბრუნებულია „სევილიაში“, ნავასი კი ავადმყოფობდა). კარგად გაისარჯნენ ფლანგის მცველები, **კოკე** და **ლუნაც**. შეტევაშიც ბრწყინვალედ გამოიყურებოდნენ **ალვარო ნეგრედო** და **მანუ დელ მორალი**.

გადამწყვეტი მაინც პირველი გოლი იყო, რადგან 50-ე წუთამდე კუნძულელები **დუდუ ავატეს** კარს მშრალად ინახავდნენ. სწორედ ამ დროს გაისროლა ალვარო ნეგრედომ თავით. ეს 26 წლის შემტევის მე-8 გოლია სეზონში. 12 წუთში უკვე დელ მორალმა შეაგდო სეზონში მე-10 გოლი, ნავასმა ის მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. კიდევ ხუთი წუთის შემდეგ ნავასმა და რეიესმა შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც ხესუსმა გოლით დააგვირგვინა. მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო, როცა „მალიორკას“ ებრაელმა ფორვარდმა **ტომერ ჰემედმა** დასწრებაზე იყოჩაღა და პრესტიჟის გოლი გაიტანა.

**მიჩელი** („სევილიას“ მწვრთნელი): *„ჯერ არ ვფიქრობთ ევროთასების საგზურზე. ისიც კარგია, რომ სამი მატჩი მოვიგეთ ზედიზედ და გავიტანეთ 9 გოლი. კარგ ფორმაში ვართ, მაგრამ მიზნამდე ჯერ კიდევ შორია. „სევილიამ“ დღეს მართლა კარგად ითამაშა, რაც ფეხბურთელთა დამსახურებაა. ახლა მათ მაქსიმალური კონცენტრირება მართებთ „ატლეტიკოსთან“ და „ბილბაოსთან“ სათამაშოდ“.*



ხოსე რეიესი და ხესუს ნავასი ზეიმობენ

**ხოაკინ კაპაროსი** („მალიორკას“ მწვრთნელი): *„რთულ ბრძოლაში ვართ ჩაბმული და ისეთი გოლები არ უნდა გავუშვათ, როგორც ამ თამაშში პირველი ორი იყო. მეტოქეს ბევრი მაღალი კლასის სწრაფი ფეხბურთელი ჰყავს, მათ კარგად იციან თავიანთი შანსების გამოყენება. ჩვენ კი რამდენიმე კომპონენტში უნდა გავაძლიეროთ თამაში, თორემ ასე წარმატებას ვერ მივაღწევთ. განსაკუთრებით ცუდად გვაქვს საქმე სტანდარტული მდგომარეობებისას“.*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 30 | 25 | 3 | 2 | 100-27 | 78 |
| 2. ბარსელონა | 30 | 22 | 6 | 2 | 86-22 | 72 |
| 3. ვალენსია | 30 | 13 | 9 | 8 | 46-37 | 48 |
| 4. მალაგა | 30 | 14 | 5 | 11 | 44-43 | 47 |
| 5. ლევანტე | 30 | 13 | 6 | 11 | 42-41 | 45 |
| 6. ოსასუნა | 30 | 10 | 13 | 7 | 35-46 | 43 |
| 7. ატლეტიკო | 30 | 11 | 9 | 10 | 42-35 | 42 |
| 8. სევილია | 30 | 11 | 9 | 10 | 36-32 | 42 |
| 9. ესპანიოლი | 30 | 11 | 8 | 11 | 37-39 | 41 |
| 10. ხეტაფე | 30 | 10 | 9 | 11 | 31-39 | 39 |
| 11. ბილბაო | 30 | 9 | 11 | 10 | 44-42 | 38 |
| 12. ვალეკანო | 30 | 11 | 4 | 15 | 42-53 | 37 |
| 13. მალიორკა | 30 | 9 | 9 | 12 | 32-40 | 36 |
| 14. სოსიედადი | 30 | 10 | 6 | 14 | 36-45 | 36 |
| 15. ბეტისი | 30 | 10 | 5 | 15 | 35-43 | 35 |
| 16. გრანადა | 30 | 10 | 4 | 16 | 28-46 | 34 |
| 17. ვილიარეალი | 30 | 7 | 11 | 12 | 30-42 | 32 |
| 18. სარაგოსა | 30 | 7 | 7 | 16 | 27-52 | 28 |
| 19. სპორტინგი | 30 | 6 | 7 | 17 | 29-56 | 25 |
| 20. რასინგი | 30 | 4 | 13 | 13 | 23-45 | 25 |

**მომდევნო ტური**

7 აპრილი: **ხეტაფე-სპორტინგი, რაიო ვალეკანო-ოსასუნა, ესპანიოლი-რეალ სოსიედადი, სარაგოსა-ბარსელონა, ბეტისი-ვილიარეალი.**

8 აპრილი: **ლევანტე-ატლეტიკო, მალიორკა-გრანადა, ბილბაო-სევილია, რეალი-ვალენსია.**

9 აპრილი: **მალაგა-რასინგი.**

● ინტერვიუ. რაფაელ ბენიტესი

# საჩემო კლუბს ველოდები



**51 წლის ესპანელი სპეციალისტი რაფაელ ბენიტესი უკვე წელიწადზე მეტია, რაც უმუშევარია. 2010 წლის დეკემბერში ის „ინტერის“ პრეზიდენტ მასიმო მორატისთან კონფლიქტის გამო მოხსნეს. ბენიტესი ამბობს, რომ სამსახურს გააფთრებით არც ეძებს, რადგან ელოდება ისეთი კლუბის წინადადებას, რომლის ამბიციაც მის სამწვრთნელო ამბიციას დაემთხვევა. ეს ყველაფერი მან ფიფას ოფიციალურ საიტს ვრცელ ინტერვიუში განუცხადა, რომელიც ორ ნაწილად გამოქვეყნდა. ბუნებრივია, საგაზეთო ფორმატი არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ მთელი ინტერვიუ შემოგთავაზოთ. თქვენს წინაშე მხოლოდ საინტერესო ფრაგმენტებია. მოცალეობის ჟამს ბენიტესმა საკუთარი ვებსაიტი გახსნა, სადაც აანალიზებს დღევანდელ ვითარებას ფეხბურთში, წერს სტატიებს, იძლევა რჩევებს.**

**- რატომ გახსენით ვებსაიტი?**

- ბევრს შრომის შემდეგ ურჩევნია განიტვირთოს, მაგრამ მე ამაზე მეტი მსურდა. ჯერ კიდევ 10-15 წლის წინ დავინტერესდი ამით, მაგრამ არ მქონდა დრო, რომელიც ახლა თავზე საყრელად მაქვს. ამიტომაც გავხსენი საიტი. იმედია, ის ახალგაზრდა მწვრთნელებს დაეხმარება. როცა ახალგაზრდა მწვრთნელი ვიყავი, ერთი სული მქონდა, რაც შეიძლება მეტი წამეკითხა და მენახა, მაგრამ ინფორმაცია ცოტა იყო.

**- ანუ, როგორც კი სამსახურს იშოვით, საიტი დაიხურება?**

- არა, გავაგრძელებთ. ცოტა ძნელი იქნება, რადგან როცა მუშაობ, ყოველ გამონათქვამს სიფრთხილით უნდა მოეკიდო, რომ არავინ განაწყენდეს, თუმცა ამას ახლაც ვცდილობ. რაც მთავარია, საიტის ფილოსოფია ისევ ის იქნება - დავეხმარო ახალბედა მწვრთნელებს გაზრდაში.

**- რამდენ თამაშს ნახულობთ?**

- ახლა, როცა თამაშები კვირის სხვადასხვა დღეზეა განაწილებული, იოლია, თანაც საიტის თანამშრომლებიც მეხმარებიან. უქმეებზე 7-8 მატჩისთვისაც კი მიყურებია ლა ლიგაში, სერია A-ში, ბუნდესლიგასა თუ პრემიერლიგაში.

**- ამხელა შესვენება ფეხბურთისგან თუ გქონიათ ცხოვრებაში?**

- არა, ეს პირველი შემთხვევაა. ვეძებ ჩემთვის გამოსადეგ კლუბს, არ ვჩქარობ, რადგან გუნდი ისეთივე ამბიციური უნდა იყოს, როგორიც მე ვარ. ესპანეთში, ინგლისსა და იტალიაში ისეთი გამოცდილება მივიღე, რომ არ გამიჭირდება საჩემო გუნდის გამოცნობა.

**- თქვენ უკანასკნელი სპეციალისტი ხართ, რომელმაც „ვალენსიაში“ „რეალისა“ და „ბარსელონას“ პარპაში დაარღვიეთ. როგორ ფიქრობთ, კიდევ შესაძლებელია ასეთი რამ?**

- ჩემი აზრით, კიდევ რამდენიმე წელი ზემოთ მხოლოდ „რეალი“ და „ბარსელონა“ იქნებიან. თუმცა „ვალენსია“ კარგად თამაშობს. „ბილბაო“, „სევილია“ და „ატლეტიკო“ კარგი გუნდებია და ისინი აუცილებლად დაბრუნდებიან. „ბარსას“ და „რეალს“ ყოველთვის მეტი ფინანსური შესაძლებლობები ჰქონდათ, ახლა სატელევიზიო ეპოქაში, მათ კიდევ უფრო მეტი ფინანსური სიმძლავრე აქვთ. მაგრამ სხვა კლუბებიც კარგად მუშაობენ და შედეგი აუცილებლად ექნებათ.

**- არის თუ არა ახლანდელი „ბარსელონა“ ყველა დროის საუკეთესო გუნდი?**

- სიმართლე გითხრათ, საკის „მილანის“ დიდი მეხოტბე ვარ, ვან ბასტენის, გულიტის და სხვების „მილანის“. მაშინდელი „მილანი“ ნამდვილი დომინანტი იყო, როგორც დღევანდელი „ბარსელონა“, თუმცა „ბაიერნს“, ხანდახან „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „რეალს“ შეუძლიათ მისთვის კონკურენციის გაწევა. ვიხსენებ, როგორი ფანტასტიკური იყო „რეალი“ მაშინ, მაგრამ „მილანთან“ ახლოს ვერ მოდიოდა. ახლანდელი „ბარსა“ ძალიან სასიამოვნო საყურებელი გუნდია, თქმა არ უნდა.

**- ინგლისში ხშირად ვერ გიგებდნენ, ფიქრობთ, რომ „ლივერპულში“ კარგად არ მოგექცნენ?**

- იცით, მთავარი ისაა, ვის რა შევმატე. როცა „ლივერპულში“ მივედი ჯეიმი კარაგერი ფლანგის მცველი იყო, ჩვენმა ერთობლივმა მუშაობამ ის მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ცენტრალურ მცველად აქცია. სტივენ ჯერარდის პროდუქტიულობა ერთი-ორჯერ გაიზარდა. ხალხი ამბობდა, რომ ჩემპიონთა ლიგის ასპარეზზე კარგად ვმუშაობდი, აი, პრემიერლიგაში კი - ვერა. არადა, 82 და მერე 86 ქულა კლუბის ისტორიაში რეკორდული მაჩვენებელი იყო.

**- როგორ ფიქრობთ, მწვრთნელებს უნდა მიეცეთ დრო? თქვენ 6 წელი იყავით „ლივერპულში“, მაგრამ პირველივე წარუმატებელი სეზონი სამსახურის დაკარგვად დაგიჯდათ...**

- ძნელი დრო იყო. „ლივერპულს“ მფლობელებში არ გაუმართლა. ჰკითხეთ როი ჰოჯსონს, მანაც კარგად იცის ეს. ამ ხალხს ფეხბურთი არ ესმოდა, ეს მათთვის იყო მხოლოდ ბიზნესი.

**- ფერნანდო ტორესი ის აღარ არის, რაც ადრე. რას გრძნობთ, როცა მის თამაშს ახლა უყურებთ?**

- ფერნანდო ძალიან კარგი ბიჭია. „ლივერპულს“ ის არ უნდა გაეშვა. როგორც კი მას თვითრწმენა დაუბრუნდება, ამის ნიშნები კი უკვე არის, ნახავთ კიდევ რა შეუძლია მას.

**- „ინტერიდან“ წასვლის შემდეგ საცხოვრებლად ლივერპულში დაბრუნდით, რატომ?**

- მე და ჩემს მეუღლეს ძალიან მოგვწონს ქალაქი, მისი კულტურა, წარსული, აქ ბევრი მეგობარი გვყავს. ჩვენ უკვე ქალაქის ცხოვრების ნაწილი ვართ.

● ამბები



17 წლის ლუკას ოკამპოსი

## ბარსელონა და რომა რივერს მიადგნენ

„რივერ პლეიტმა“ 17 წლის შემტევ ნახევარმცველს **ლუკას ოკამპოსს** სავარაუდო სატრანსფერო ფასი დაადო - 15 მილიონი ევრო. ევროპაში არის ორი კლუბი, რომელიც დღესვე თანახმაა ეს თანხა გაიღოს არგენტინელი ვუნდერკინდის სანაცვლოდ - „რომა“ და „ბარსელონა“. ოკამპოსის დებიუტი „რივერის“ პირველ გუნდში აგვისტოში შედგა, მას მერე მან ჩემპიონატში 6 გოლის გატანა შეძლო 24 თამაშში. „რივერ პლეიტი“ მხოლოდ ფეხბურთელზე უფლებების 50%-ს ფლობს, 35%-ის მფლობელი საინვესტიციო ჯგუფია, 15%-ის კი - „კილმესი“. მოკლედ, პოტენციური მყიდველი მხოლოდ 15 მილიონი ევროთი თინეიჯერს ვერ შეიძენს.

## ეტოო VS ბარსა მშვიდობით დასრულდა

**სამუელ ეტოო** „ბარსელონას“ თანხას აღარ ედავება. მახაჭყალის „ანჟის“ კამერუნელი ფორვარდი ესპანური გრანდისგან 3 მილიონ ევროს ითხოვდა. მისი აზრით, „ბარსა“ ვალდებული იყო ეს თანხა ეტოოსთვის გადაეხადა, მას მერე, რაც კატალონიურმა კლუბმა ფეხბურთელი მილანის „ინტერში“ გაყიდა. კამერუნელს ზურგს ესპანური კანონი უმაგრებდა, რომლის თანახმადაც თითოეულ ფეხბურთელს შეუძლია სატრანსფერო თანხის 15% მოითხოვოს.

„ბარსელონას“ ხელმძღვანელობამ მადლობა გადაუხადა ეტოოს საჩივრის გამოტანისთვის და აღნიშნა, რომ კამერუნელმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კლუბის ისტორიაში მნიშვნელოვანი ფიგურაა.

## მოუს სამი დიადი მიზანი

ჟოზე მოურინიომ ესპანურ მედიას განუცხადა, რა სამი მიზანი ამოძრავებს მას კარიერაში: 1. გახდეს პირველი მწვრთნელი, ვინც სამ სხვადასხვა კლუბს მოაგებინა ჩემპიონთა ლიგა; 2. გახდეს ერთადერთი, რომელმაც სამი ყველაზე რთული ჩემპიონატი მოიგო (ესპანეთი, ინგლისი, იტალია) და 3. მოიგოს მნიშვნელოვანი ტიტული, როგორც პორტუგალიის ნაკრების თავკაცმა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**

დრიბლინგი

უცხოური ფეხბურთი

გოტფრიდ ლენცის საავტორო რუბრიკა

# გაუშვი, იფრინე!..

## ერთხელ, ორჯერ, სამჯერ... ათჯერ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**„მანჩესტერ სიტიში"** მონასტერი არეულია და რაც ყველაზე საინტერესოა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ რობერტო მანჩინის მარიო ბალოტელიზე ზრუნვა, როგორც იქნა, ყელში ამოუვიდა; მილანელები ისევ გაუქმებულ გოლზე ბრაზობენ, გალიანის კვლავ სახე აელეწა, მაგრამ ვერაფრით გაირკვა, სამართლიანად, თუ უსამართლოდ; გაგიკვირდებათ და, „დრიბლინგი" ამჯერად ზლატან იბრაჰიმოვიჩის გარეშე განხორციელდება:

**იტალია**

### იყო, თუ არ იყო?

რა ჩიპი? რომელი კამერა? გოლის დამადასტურებელ ან უარმყოფელ უახლეს ტექნოლოგიას MMS ეწოდება! სწორედ ასეთი სახის ფოტო-შეტყობინება მიიღო შაბათს საღამოს **ადრიანო გალიანიმ** თავის მობილურ ტელეფონზე, რასაც იტალიაში დიდი ამბები მოჰყვა. გადიდებული TV-ფოტო იმის დასტური გახლდათ, რომ **რობინიოს** დარტყმის შემდეგ ბურთმა „კატანიას" კარის ხაზი გადაკვეთა, მსაჯებმა გოლი არ ჩათვალეს, „მილანმა" კი ორი ქულა დაკარგა (1:1). გალიანიმ ეს შეტყობინება ყველა წამყვან რედაქციას გადაუმისამართა, მოგვიანებით კი, პრეს-არეაში ტელეფონშემართული დარბოდა და ყვიროდა: *„ეს ყველაფერი უკვე დაუჯერებელია! როგორც ჩანს, საფეხბურთო წესები შეიცვალა და თანაც, მარტო „მილანისთვის"! მეორე ადგილზე რომ გავიდეთ და „იუვენტუსს" 2-3 ქულით ჩამოვრჩეთ, პირადად მე ვიტყვი, რომ სეზონი მანიპულირებულია!"*

შეგახსენებთ, „მილანს" ერთი თვის წინ „იუვენტუსთანაც" არ ჩაუთვალეს გოლი იდენტურ სიტუაციაში. ინტერნეტში „იუვეს" ფანებმაც განგაშის ზარებს შემოჰკრეს, ეგ ფოტო დამონტაჟებულიაო. ამის შემდეგ ხმა თავად „როსონერის" თავკაცმა **მასიმილიანო ალეგრიმაც** კი აიმაღლა – დროა, „იუვენტუსის" ფანებმა მოკეტონო. ცუდი ის არის, რომ „მილანს" ამ შემთხვევაში ვერაფერი უშველიდა, რადგან მომენტის ათასჯერ ნახვის შემდეგაც კი არ გამოჩნდა ცხადად, გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი...

***P.S.* ყველაზე ცუდი კი მაინც ის არის, რომ ამ თამაშის შემდეგ იტალიაში კაცშვილს არ უხსენებია ის, რომ „კატანიამ" „მილანთან" ძალიან კარგად ითამაშა...**

### სტრამოუჩონი

კვირას, „სან სიროზე" შეკრებილი „ინტერისტები" თვალებს არ უჯერებდნენ: „ნერაძური" ცოცხალი ყოფილა! „ინტერმა" „ჯენოა" უხვგოლიან და ემოციებით დატვირთულ შეხვედრაში 5:4 დაამარცხა – ამ მატჩში ყველაფერი ვნახეთ: 9 გოლი, 4 პენალტი და 2 გაძევება. გარდა ამისა, ვნახეთ, რომ **დიეგო ფორნალს** სირბილი შეუძლია, **დიეგო მილიტოს** გოლების გატანა (ჰეთ-თრიკი შეასრულა), **მაურო სარატე** სულაც არ ყოფილა ცუდი ფეხბურთელი და არც **ლუსიოს** დავიწყებია ის, თუ როგორ უნდა ჩაერთოს შეტევებში (ბრაზილიელის ანგარიშზე ორი საგოლე პასი იყო).

*„პრეზიდენტმა სპექტაკლი მოითხოვა და ვფიქრობ, დღეს ნანახით კმაყოფილი დარჩებოდა,"* - თქვა მატჩის შემდეგ „ინტერის" ახალმა და ახალგაზრდა დამრიგებელმა **ანდრეა სტრამაჩონიმ.** 36 წლის სპეციალისტი იმ კვირაში „ინტერის" 19-წლამდელთა გუნდიდან პირველი გუნდის მთავარ მწვრთნელად გადაიყვანეს და ისე გამოვიდა, რომ სტრამაჩონი „ინტერის" ყველაზე ახალგაზრდა დამრიგებელია ბოლო 65 წლის განმავლობაში.

საინტერესო იყო ისიც, რომ მსაჯმა „ინტერის" კარში სამი პენალტი დანიშნა, რაზეც სტრამაჩონიმ რომაული აქცენტით იხუმრა – მასპინძლის კარში სამ თერთმეტმეტრიანს არ ნიშნავენო. ჩვენმა იტალიელმა კოლეგებმა კი „ნერაძურის" თავკაცს უკვე „სტრამოუჩონი" უწოდეს – რა თქმა უნდა, დაუვიწყარი ჟოზეს საპატივცემულოდ.

*„მოურინიო? – გაიკვირვა ანდრეამ, - ჟოზე ხომ გარტყმაშიც არაა, ვინ ვარ მე!"*

დიდი შანსია, კვირის შემდეგ ჟოზემ მშვენივრად იცოდეს, ვინ არის ანდრეა სტრამაჩონი.

### მარადონას აპატიებენ

დიდი შანსია, რომ **დიეგო მარადონამ** ნეაპოლში მშვიდად ჩასვლა შეძლოს და აღარ ეშინოდეს იმის, რომ კარაბინიერები დააპატიმრებენ. როგორც იცით, 1991 წლის შემდეგ, როცა დიეგო ნეაპოლიდან აიბარგა, ფინანსური პოლიცია მას 6 მილიონ ევროს ედავება – გადაუხდელი გადასახადები, პროცენტული ჯარიმები და საერთო ჯამში, საქმე 40 მილიონამდეც მივიდა. სიახლე ის არის, რომ სულ მალე მარადონას ამ ყველაფერს აპატიებენ და მხოლოდ 2 მილიონი ევროს გადახდას დააკისრებენ, რაც გადასახდელთან შედარებით, რა თქმა უნდა, სასაცილო თანხაა, მაგრამ უსამართლობაზე საუბარი მაინც არ ღირს – საქმე ხომ თვით დიეგო მარადონას ეხება.

**ინგლისი**

*„იყო, თუ არა ეს ის მომენტი, საიდანაც „მანჩესტერ სიტის" შუაზე გახლეჩა იწყება?"* - წერდა კვირას გაზეთი „ობსერვერი" რიტორიკულად. როგორც ჩანს, ამ კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გავცეთ, რადგან „სანდერლენდთან" 3:3-ის შემდეგ, „მანჩესტერ იუნაიტედმა" „სიტის" უკვე ხუთი ქულით გაასწრო, მომდევნო ტურში კი, „იუნაიტედი" „ქუინზ პარკ რეინჯერსს" ხვდება, „სიტის" კი „არსენალთან" ექნება საქმე. ამიტომაც აღიარა **რობერტო მანჩინიომ**, ინგლისის ჩემპიონატის ბედი, შესაძლოა, ამ კვირაში გადაწყდესო.

იტალიელმა შეგირდები ლანძღა, განსაკუთრებით კი **მარიო ბალოტელი** – მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელმა ორი გოლი გაიტანა. ფეხბურთელი ასე არ უნდა თამაშობდეს და იქცეოდესო, თქვა „მანჩომ" და იქვე დასძინა: *„ბალოტელი კარგად ვერ ერკვევა შექმნილ ვითარებაში!"*

21 წლის მარიოს 1:3-ის დროს „სიტის" ფანებმაც უსტვინეს – იმის გამო, რომ რამდენიმე წუთის განმავლობაში ეკამათებოდა **ალექსანდარ კოლაროვს** იმაზე, თუ ვის უნდა დაერტყა ჯარიმა. მოგვიანებით, ბალოტელის გასახდელში **იაია ტურესთანაც** უჩხუბია.

ფაქტია, მანჩინის გუნდში ზედმეტად ბევრი „დივა" ჰყავს იმისათვის, რომ „სიტის" ჩემპიონობა რეალური ყოფილიყო. ჩვენი ინგლისელი კოლეგების ცნობით, ბალოტელი უკვე ტრანსფერზეა დაყენებული. ისევე, როგორც **კარლოს ტევესი**...

### ინგლისელებმა სიმულანტობა არ იციან? როგორ გეკადრებათ!

„ნიუკასლმა" კრიზისში მყოფი „ლივერპული" (მეექვსე წაგება ბოლო შვიდ მატჩში) 2:0 დაამარცხა და ეს თამაში სიმულაციის ზეიმი გახლდათ. ჯერ **ენდი კეროლი** დავარდა ისე, თითქოს თავში ბლაგვი საგანი ჩაარტყეს, რასაც მისი გაფრთხილება მოჰყვა, რაზეც **კენი დალგლიშმა** ზედმეტად დიპლომატიურად თქვა, ჩემი აზრით, უბრალოდ წონასწორობა დაკარგაო, მერე კი **ჯეიმს პერჩი** და **პეპე რეინა** ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს მსახიობობაში, რასაც „ლივერპულის" კარის დარაჯის გაძევება მოჰყვა, რამაც ის გამოიწვია, რომ კარში **ხოსე ენრიკე** ჩადგა („ლივერპულს" სამივე ცვლილება გამოყენებული ჰქონდა).

კარგი ის არის, რომ დალგლიშს თავის და შეგირდების მართლება არ დაუწყია, მაგრამ ერთი კითხვა მაინც უპასუხოდ დატოვა: რატომ არ ჩააყენა კარში **ლუის „განელთა რისხვა" სუარესი?**




მარიო ბალოტელი კაი ბიჭებს პატივს არ სცემს...

**ესპანეთი**

### რა გიკვირს, ჟოზე?

**ჟოზე მოურინიოს** „რეალის" ფანებთან არც ისე კარგი ურთიერთობა აქვს, როგორიც „რეალის" შედეგებიდან გამომდინარე ლოგიკური იქნებოდა. პორტუგალიელს ქომაგების მხარდაჭერა არ აკმაყოფილებს – განსაკუთრებით „რეალის" გასვლით მატჩებში. მაგალითად, როცა „რეალი" მადრიდის გარეუბანში „ხეტაფესთან" თამაშობდა, „სამეფო გუნდს" იქ მხოლოდ 500-მა ფანმა უგულშემატკივრა. შაბათს, მადრიდელები პამპლონაში „ოსასუნას" შეხვდნენ, ეს ქალაქი კი ესპანეთის დედაქალაქიდან 318 კილომეტრშია და მიუხედავად ამისა, „რეალს" ფანებით დატვირთული რამდენიმე ავტობუსი გაჰყვა. თუმცა 5:1-ზე მოგებული თამაშით გამოწვეული სიხარული რეალელებს მალე გაუნელდათ, რადგან უკანა გზაზე ავტობუსებს რადიკალურად განწყობილმა ანტიმადრიდისტებმა ქვები დაუშინეს. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა, მაგრამ ერთ ავტობუსს საქარე მინა იმდენად დაუზიანდა, რომ სათადარიგო ავტობუსი გამოიძახეს. ამის მერეც გაუკვირდეს მოურინიოს, რატომ არ დადიან „რეალის" კონსერვატიული ფანები გასვლით მატჩებზე...

### ლეზალიც გამოიჭირეს

„ლევანტე" გასაოცრად თამაშობს, გასულ უქმეებზე მესამეადგილოსან „ვალენსიასთან" ფრეს (1:1) მიაღწია, მეხუთე ადგილზეა და მომდევნო სეზონში ევროპალიგაზე თამაშის შესანიშნავი შანსი აქვს. მოკლედ, „ლევანტეში" ყველა კმაყოფილია – გარდა ერთისა!

**აბდელქადერ ლეზალი** იტალიის იუსტიციის ყურადღების ცენტრში მოხვდა! როგორც ირკვევა, ალჟირელი მანიპულაციებში მონაწილეობაშია ეჭვმიტანილი. ლეზალი „ბარის" საკუთრებაა, „ლევანტეში" კი არენდით თამაშობს. პოლიცია კი გასული სეზონის რამდენიმე მატჩს იძიებს, მათ შორის „ბარის" 0:2-ს ლეჩესთან, რასაც გუნდის სერია B-ში დაქვეითება მოჰყვა. საერთო ჯამში 20 პიროვნებაა ეჭვმიტანილი, ორშაბათს კი „ატალანტას" ფეხბურთელი **ანდრეა მასიელო** დააკავეს, რომელიც წინა სეზონში ასევე „ბარიში" თამაშობდა...

**გერმანია**

### ეჰეი, რობენ!

მიუხედავად იმისა, რომ **არიენ რობენმა** „ნიურნბერგთან" ძირითად შემადგენლობაში ითამაშა (1:0 და გამარჯვების გოლიც მის ანგარიშზეა), მატჩის შემდეგ რატომღაც მაინც წამოჭრა მოძველებული თემა და თქვა, ჩემი სათადარიგოთა სკამზე დასმა უდიდესი შეცდომააო. ლოგიკურად, მისი ასეთი განცხადებების ისტორია ასე უნდა გაგრძელდეს: რობენი **იუპ ჰაინკესის** თავს მოითხოვს – ლანგრით მომართვითო; მერე კი, **ფრანც ბეკენბაუერს** პრესასთან ურთიერთობას აუკრძალავს...

ძალიან გაუტია, ხო იცით?!

### ისევ ბალაკოვი

„კაიზერსლაუტერნის" ფეხბურთელები, ხელმძღვანელები და ფანები უდიდესი წუხილით იუწყებიან, რომ პფალცელების სიამაყე გაისად მეორე ბუნდესლიგაში ითამაშებს. მართალია, ჯერ სუნთქვა არ შეუწყვეტია და „მხოლოდ" სულის ლაფვის პროცესშია, მაგრამ ფაქტია, რომ „ლაუტერნის" გარდაცვალება, უფრო სწორად, კლინიკური სიკვდილი უკვე გარდაუვალია.

ახალ მწვრთნელ **კრასიმირ ბალაკოვს** კი ამის დაჯერება უჭირს და შესაბამისად, ცოტა ხანში ალბათ სამკურნალო იქნება. წინასწარი დიაგნოზი: შიზოფრენია!

იმ დროს, როცა მთელმა „კაიზერსლაუტერნმა" კაპიტულაცია გამოაცხადა, კონკურენტ „ჰამბურგთან" წაგების შემდეგ ბალაკოვს „მხსნელის ჩანაწერებიდან" (ყოველი შემთხვევისთვის დასამახსოვრებელი ფრაზები იმ გუნდების მწვრთნელებისთვის, რომლებიც მეორე ლიგისკენ მიექანებიან) მოჰყავდა ციტატები: *„ჰამბურგს" მთელ რიგ მომენტებში აშკარად ვჯობდით (?!)"; „თუ მომდევნო ტურში ჰოფენჰაიმს მოვუგებთ, შანსი გვაქვს"; ჩვენ „მაინც არ ვნებდებით!"*

მაგათ ხელში კიდევ კარგადაა...

### ჯერმეინ მფატრავი

„შალკეს" საყრდენმა ნახევარმცველმა **ჯერმეინ ჯონსმა** მიმდინარე სეზონის მე-15 მატჩში მე-10 გაფრთხილება მიიღო და მომდევნო ტურისთვის დისკვალიფიცირებულია. შესაბამისად, დარჩენილ ხუთ მატჩში შეუძლია იმდენი „გაფატროს", რამდენიც მოუნდება – **ტომაშ ჰაიტოს** (აბა, ვის ახსოვს ეს კაცი?) რეკორდს (16 ყვითელი) ნაღდად ველარ დაამხობს...

ლევერკუზენი

# ჰიიპიამ მხიარულად დაიწყო

## სამის ბალაკიც სჭირდება

მიუხედავად ზედიზედ ოთხი წაგებისა, რამაც „ბაიერისთვის" ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება პრაქტიკულად უტოპიად აქცია, ლევერკუზენში კარგი განწყობა დაბრუნდა! ეს ახალი მწვრთნელის, 38 წლის ფინელი სპეციალისტის, **სამი ჰიიპიას** დამსახურებაა, რომელმაც კვირას ამ პოსტზე გათავისუფლებული **რობინ დუტი** შეცვალა. მისი ამოცანა მინიმუმ ევროპალიგის ზონაში ადგილის შენარჩუნებაა, პროგრამა მაქსიმუმზე კი უკვე ვთქვით...

გუშინ ჰიიპიამ ასისტენტ **საშა ლევანდოვსკისთან** ერთად ლევერკუზენელები პირველად ავარჯიშა და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, გუნდთან ერთად გახლდათ 35 წლის **მიხაელ ბალაკიც**, რომელზეც დუტს ხელი საბოლოოდ ჩაქნეული ჰქონდა. მართალია, ბალაკი თებერვლის შემდეგ ტრავმირებული იყო, მაგრამ ჯანმრთელადაც რომ ყოფილიყო, ფაქტია, დუტი მას მაინც არ ათამაშებდა. შესაბამისად, დამთხვევა ნამდვილად არ არის ის, რომ დუტის წასვლა და ბალაკის გუნდში დაბრუნება ერთი იყო. რაც ყველაზე საინტერესოა, გუშინდელ ვარჯიშზე ბალაკი შესანიშნავ ხასიათზე იყო – ჩვენს გერმანელ კოლეგებს აღარ ახსოვთ, ბოლოს როდის ნახეს ასეთი მხიარული მიხაელი.

„ბილდის" ცნობით, ჰიიპია ბალაკზეც დიდ იმედებს ამყარებს და მასზე უარის თქმას არ აპირებს. დიდი შანსია, რომ ვეტერანი ნახევარმცველი მომდევნო ტურში („ლევერკუზენი" კვირას „ჰამბურგს" ეთამაშება) განაცხადში შეიყვანოს და მოედანზეც შეუშვას.

*„მიხაელ ბალაკი ძალიან გამოცდილი, გუნდისთვის უაღრესად საჭირო ფეხბურთელია, რომელიც სეზონის დარჩენილ მატჩებში ნამდვილად გამომადგება, - აღნიშნა ჰიიპიამ ვარჯიშის შემდეგ და იქვე დასძინა, - ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბალაკს ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას ვაძლევ. მხოლოდ იმ ფეხბურთელებს ვათამაშებ, რომლებიც კონკრეტულ მომენტში საუკეთესო ფორმაში იქნებიან."*

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



სამი ჰიიპიამ გუშინ ლევერკუზენი პირველად ავარჯიშა

● ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები

# ჩაგვექინება საფინალო სასტვენამდე?

## სიფხიზლისთვის საჭიროა ბენფიკას გოლი!



ფერნანდო ტორესს ისევ ლუიზაოსთან ექნება საქმე

**მადრიდის „რეალი“ იდეალურ სიტუაციაშია: ესპანეთის ჩემპიონატის ცხრილს „ბარსელონასთან“ ექვსქულიანი უპირატესობით ლიდერობს, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალის დღევანდელი საპასუხო მატჩი კი (აპოელ-თან) მადრიდელებისთვის ფორმალობაა, რადგან ნიქოზიაში 3:0 მოიგეს და ნახევარფინალში თამაში, სადაც მიუნხენის „ბაიერნი“ ელით, განაღდებული აქვთ. განსაკუთრებით დამაინტრიგებელი არც მეორე მატჩია, რომელშიც „ჩელსი“ „ბენფიკას“ უმასპინძლებს. მიზეზი იგივეა: ლონდონელებმა ლისაბონში 1:0 მოიგეს, „ბენფიკა“ კი, ერთი შეხედვით ნაღდად არ ჰგავს ისეთ გუნდს, „სტემფორდ ბრიჯზე“ მოგება რომ შეძლოს...**

**რეალი–აპოელ 22:45**

**პირველი მატჩი:** 3:0

ნახევარფინალში „ბაიერნისა“ და „რეალის“ უაღრესად საინტერესო დუელებს რომ ვნახავთ, წყალი არ გაუვა, მაგრამ მანამდე „რეალს“ ჩემპიონთა ლიგაში ვალი აქვს მოსახდელი: მადრიდელები დღეს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ აპოელ-ს მასპინძლობენ. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ეჭვი არავის ეპარება, რომ „სამეფო გუნდის“ მთავარი მწვრთნელი **ჟოზე მოურინიო** დღეს მოედანზე ექსპერიმენტალურ შემადგენლობას გაიყვანს და თუ მთლად მეორე გუნდი არ ათამაშა, მოედანზე მინიმუმ არაერთ ისეთ მოთამაშეს ვიხილავთ, პრინციპულ მატჩებში სასტარტო შემადგენლობაში თამაშზე მხოლოდ ოცნებით რომ შემოიფარგლებიან ხოლმე. რთული გამოსაცნობია, ვის დაასვენებს და ვის გადაამოწმებს პორტუგალიელი სპეციალისტი...

კვიპროსელები კი უბრალოდ თავისუფლად ითამაშებენ და შეეცდებიან, ერთი მხრივ, მიღწეულით მაქსიმალური სიამოვნება მიიღონ, მეორე მხრივ კი ჩემპიონთა ლიგას ღირსეულად გამოეთხოვონ. აპოელ-ის ფეხბურთელებისთვის „სანტიაგო ბერნაბეუზე“ თამაში უდიდესი პატივია, მაგრამ მოტივაციის არქონა ფეხბურთს ყოველთვის ხიბლს უკარგავს...

**აილტონ ალმეიდასა და ალექსანდრეს** თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა, მაგრამ სავარაუდოდ ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ, რომ ამ უდიდეს ზეიმს არ დააკლდნენ და „სანტიაგო ბერნაბეუს“ ბალახი დააგემოვნონ. ტრავმირებულია **ტრიკოვსკიც**, რომელიც აპოელ-ს მადრიდში გაჰყვა, მაგრამ ამ უკანასკნელს მოედანზე ალბათ ვერ ვიხილავთ – **ივან იოვანოვიჩი** მას ალბათ „ანორთოსისთან“ უმნიშვნელოვანესი მატჩისთვის დაასვენებს.

**სავარაუდო შემადგენლობები**

**რეალი (4-2-3-1):** კასილიასი – არბელოა, ვარანი, სერხიო რამოსი, მარსელო – შაჰინი, ჩაბი ალონსო – კალეხონი, კაკა, რონალდო – იგუაინი.

**აპოელ (4-2-3-1):** ქიოტისი – პურსაიტიდისი, კაკა, პაულო ჟორჟე, ვოავენტურა – ნუნუ მორაისი, მარსინიო – ხარალამბიდისი, ალექსანდრუ, მანდუკა – აილტონი.

**არბიტრი:** ჯანლუკა როკი (იტალია)

**ჩელსი–ბენფიკა 22:45**

**პირველი მატჩი:** 1:0

ერთი შეხედვით ამ წყვილის ბედიც პირველივე რაუნდში გადაწყდა - „ჩელსიმ“ ლისაბონში გამარჯვებით (1:0) ნახევაფინალისკენ უდიდესი ნაბიჯი გადადგა – მაგრამ „ბენფიკა“ თუნდაც მხოლოდ ისტორიულად არის ისეთი გუნდი, რომელსაც ნებისმიერ დროს შეუძლია სიურპრიზების შემოთავაზება. საქმე საქმეზე თუ მიდგა და პორტუგალიელებმა „სტემფორდ ბრიჯზე“ ანგარიში გახსნეს, მერე თავდაუზოგავი ბრძოლა გაჩაღდება. მოვლენების ასეთი განვითარების სცენარზე თამამად ის ფაქტორიც გვალაპარაკებს, რომ „ჩელსი“ „ციდან ვარსკვლავებს ნამდვილად არ წყვეტს“.

**ფერნანდო ტორესმა** გოლების გატანა დაიწყო და ჩვენი ინგლისელი კოლეგების აზრით, **რობერტო დი მატეო** ესპანელს ჩემპიონთა ლიგაშიც მისცემს თავის გამოჩენის შანსს – ტორესს დღეს, სავარაუდოდ, სასტარტო შემადგენლობაში ვიხილავთ. შეგახსენებთ, რომ „ელ ნინიოს“ უკანასკნელი ჩემპიონთალიგური გოლი 2011 წლის ოქტომბრით თარიღდება.

„ბენფიკას“ დაცვაში ძალიან უჭირს, რადგან **გარაის, ვიტორისა და ჟარდელის** სახით ლისაბონელებს სამი წამყვანი უკანახაზელი აკლიათ...

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ჩელსი (4-3-3):** ჩეხი – ივანოვიჩი, გ. კეჰილი, ტერი, ე. კოული – ლემპარდი, ესიენი, რამირესი – მატა, ფერნანდო ტორესი, სტარიჯი.

**ბენფიკა (4-1-3-2):** არტური – მაქსი პერეირა, ლუიზაო, ხავი გარსია, ემერსონი – მატიჩი – გაიტანი, აიმარი, ბრუნო სეზარი – როდრიგო, კარდოსო.

**არბიტრი:** დამირ სკომინა (სლოვენია)

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეო მესიმ კიდევ ერთი რეკორდი მიითვალა

# რეკორდმესით მიუნხენისკენ პერი პერი!

**ბარსელონა–მილანი 3:1 (0:0)**

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პიკე (75. ადრიანო), მასკერანო, პუიოლი - ჩავი (63. ტ. ალკანტარა), ბუსკეტსი, ინიესტა - მესი, ფაბრეგასი (78. კეიტა), კვენკა.

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი - აბატე, ნესტა, მექსე, ანტონინი - ნოჩერინო, ამბროზინი, ზეედორფი (60. აკვილანი) - ბოატენგი (70. პატო (83. მაქსი ლოპესი)) - რობინიო, იბრაჰიმოვიჩი.

**გოლები:** 1:0 მესი (11-პენ), 1:1 ნოჩერინო (33), 2:1 მესი (41-პენ), 3:1 ინიესტა (53)

**გაფრთხილება:** მასკერანო, კვენკა - ანტონინი, ნესტა, ზეედორფი, რობინიო, მექსე, ლოპესი, ნოჩერინო

**კუთხური:** 2-4; **ჯარიმა:** 10-17; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 17-3 (9-2); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 90 000

ზე საინტერესო დუელი შემოგვთავაზა. რა თქმა უნდა, მას მერე, რაც **ანდრეს ინიესტამ** მესამე გოლი გაიტანა, ყველაფერი მორჩა და კატალონიელთა შემტევებს (ძირითადად შეცვლაზე შესულ **ტიაგო ალკანტარასა და ადრიანოს**) რომ ეყოჩაღათ ანგარიში არ იქნებოდა იტალიელი სტუმრებისთვის ღირსეული.

„ბარსელონამ“ 3:1 მოუგო „მილანს“ და ორი მატჩის ჯამშიც ამ ანგარიშით მოიგო და ნახევარფინალში გავიდა, სადაც ან „ჩელსი“ ელის ანაც - „ბენფიკა“. **ლეო მესიმ** ჩემპიონთა ლიგაში სეზონში გოლების რიცხვით ახალი რეკორდი დაამყარა, რომელიც ახლა 14-ის ტოლფასია. ლეომ ორივე გოლი პენალტით გაიტანა. აქ კი აუცილებლად უნდა ვახსენოთ შეხვედრის ჰოლანდიელი არბიტრი **ბიორნ კუიპერსი**. მას შეეძლო მეორე ეპიზოდში (1:1-ზე) პენალტი სულაც არ დაენიშნა, არა იმიტომ, რომ **ნესტა** ხელით არ იჭერდა მეტოქეს, არამედ იმიტომ, რომ ასეთი ეპიზოდები თანამედროვე ფეხბურთში ძალზე ხშირია (თუნდაც ამ მატჩში იყო 1-2) და როგორც წესი, არბიტრები არ რეაგირებენ.



ბაიერნი მიუნხენს უახლოვდება

**ბაიერნი–მარსელი 2:0 (2:0)**

**ბაიერნი (4-2-3-1):** ნოიერი - ლამი, ბოატენგი, ბადშტუბერი, ალაბა - ტიმოშჩუკი, გუსტავო - მიულერი (40. რაფინია), კროოსი (67. პრანიჩი), რიბერი - ოლიჩი (74. გომესი).

**მარსელი (4-3-3):** მანდანდა - ასპილიკუეტა, ფანი, ნკულუ, მორელი (46. ამალფიტანო) - მბია, ა. აიუ, შეირუ - ვალბუენა, რემი (63. კაბორე), ბრანდაო (74. ჟინიაკი).

**გოლები:** 1:0 ოლიჩი (13), 2:0 ოლიჩი (37)

**გაფრთხილება:** ალაბა - მბია

**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 8-10; **თამაშგარე:** 1-3; **კარში დარტყმა:** 14-7 (8-3); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 66 000

ეთამაშო „ბარსელონას“ და სამი ტაიმის განმავლობაში თავი არ დაუხარო უკვე ძალიან ბევრს ნიშნავს. ამიტომ, ქებათა ქება „მილანს“! სხვა მხრივ საკმაოდ არათანაბარ მეოთხედფინალურ წყვილებში იტალიურმა გრანდმა ყველა-

მიუნხენში კი თავის გამოჩენის შანსი **ივიცა ოლიჩს** მისცეს და ხორვატმაც აჩვენა, რომ ყოველთვის მზადაა - მან დუბლი შეასრულა „მარსელის“ კარში - 2:0 და ორი მატჩის ჯამში - 4:0. გავბედავთ და ვიტყვით, რომ „ბაიერნი“ ნახევარფინალში „რეალს“ ეთამაშება, რომელსაც ფაქტობრივად განაღდებული აქვს საგზური.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● არსენალი

# ნაგების შემდეგ მოწევას შეიძლება?!

“არსენალის” მთავარი მწვრთნელი **არსენ ვენგერი** ძალიან გაბრაზდა, როცა შეიტყო, რომ 31-ე ტურში “ქუინზ პარკთან” ნაგების (2:1) შემდეგ მისმა შეგირდმა **მარუან შამახმა** მაროკოს ნაკრებში თანაგუნდელ **ადელ ტაარაბთან** ერთად ლონდონის ერთ-ერთ აღმოსავლურ ბარს მიაშურა, სადაც ჩილიმიც გააბოლა და გემოზეც მოილხინა. ქუინზპარკელს განტვირთვის სრული უფლება ჰქონდა, რადგან მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ და მეტოქის დამარცხებაში დიდი როლი ითამაშა. რაც შეეხება “მეთოფეს”, თავდამსხმელმა მოედანზე 10 წუთი გაატარა და, რა თქმა უნდა, გუნდს არაფრით დახმარებია. გაზეთები ვარაუდობენ, რომ ამ საქციელით შამახმა თავის თავს განარჩენი თავად გამოუტანა.

დერბიში ნაგებით “არსენალმა” მცირე შოკი ინვნია. მეორე დღეს არსენ ვენგერმა “არსენალის” ვებგვერდთან საკუთარ შთაბეჭდილებებზე ილაპარაკა: *“მიჭირს იმის ახსნა, რაც “ლოფტუს როუდზე” მოხდა. თამაშისთვის ჩვეულებრივ ვემზადებოდით. შეიძლება ფეხბურთელებმა რაღაც მომენტში გაიფიქრეს, რომ აუტსაიდერთან შედარებით იოლი მატჩი ელოდათ. მასპინძლებმა საკადრისი პასუხი გაგვცეს და მიწაზე დაგვიშვეს. ბურთს ჩვეულებისამებრ ვაკონტროლებდით, მაგრამ სახიფათო მომენტებამდე საქმის მიყვანა გვიჭირდა. შეიძლება შორიდან ყველაფერი ეფექტურად გამოიყურებოდა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. სამწუხაროა, როცა*



*ისეთ თამაშებს ვაგებთ, სადაც მინიმუმ ფრე გვეკუთვნის. კვირას “მანჩესტერ სიტისთან” მატჩამდე კარგად დავისვენებთ და იმედია კარგ ფეხბურთს ვაჩვენებთ”.*

**ლევან ბიბილაშვილი**

## ქართული სპორტი

ნიჩბოსნობა

# სამივე სახეობაში იყოჩაღეს

ამას წინათ ვწერდით, რომ მცხეთასთან მდინარე მტკვარზე ნიჩბოსნობაში საქართველოს საგაზაფხულო ჩემპიონატი გაიმართა. იქ ნაჩვენები შედეგებით დაკომპლექტდა ქვეყნის ნაკრები, რომელმაც წარმატებით იასპარეზა მინგეჩაურში აზერბაიჯანის პრეზიდენტის თასზე. ტურნირში ჩვენებურებთან ერთად მასპინძლები, უკრაინელები, რუსები და თურქებიც გამოდიოდნენ.

შესანიშნავად იასპარეზა 17 წლის დუშელმა **ეკა შაბურიშვილმა.** ერთადგილიანი ბაიდარათი მან უფროსებში მოსინჯა ძალები - 200, 500 და 1000 მეტრზე ვერცხლის მედლები მოიპოვა. სამივე დისტანციაზე მას უკრაინელმა ოლიმპიურმა და მსოფლიოს ჩემპიონმა, ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიატმა ინა ოსიპენკო-რადოვსკაიამ გაუსწრო. უმცროს ასაკში (1996-1997 წლებში დაბადებულები) ერთი ოქროს და ორი ვერცხლის მედალი დაიმსახურა თბილისელმა **ბადრი ყაველაშვილმა.** ერთადგილიანი ბაიდარათი იგი პირველი მიიჭრა ფინიშთან 200 მეტრზე, 500 და 1000 მეტრზე მეორე ადგილებს დასჯერდა ორადგილიანი ბაიდარათი ფოთელებს - **გიორგი ტაბატაძეს** და **რატი ტულუშს** 200 მეტრზე ბრინჯაო ერგოთ.



ეკა შაბურიშვილი

აკადემიურ ნიჩბოსნობაში ქართველმა სპორტსმენებმა სამი ოქროს და ერთი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. უმცროს ასაკში ერთადგილიანი ნავით 12 წლის თბილისელმა **გიორგი ჯიქიამ** 1000 მეტრზე ყველას აჯობა და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. 1500 მეტრზე ახალგაზრდებში ფოთელებმა - **გელა ქოიავამ, ნიკა ქავთარაძემ, გიორგი კუჭავამ** და **პეტრე ქავთარაძემ** ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავით პირველი ადგილი დაიკავეს. ძმებმა ქავთარაძეებმა მეორე ოქრო, ასევე, 1500 მეტრზე, ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავით მოიხვეჭეს. უფროს ასაკში გამოდიოდა მცხეთელთა კვარტეტი - **გიორგი მოთიაშვილი, ოთარ მოთიაშვილი, გიორგი მუხათგვერდელი** და **გიორგი თოფურია** ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავით მესამეზე გავიდნენ.

თანაგუნდელებს არც კანოისტები ჩამორჩნენ: დუშელმა **მალხაზ ჭინჭარაშვილმა** ჭაბუკებში 200 მეტრზე ყველა დაჯაბნა, 500 მეტრზე კი ვერცხლის მედალი ხვდა – მას აქ ბაქოელმა ნიკიტა საბლინმა მიასწრო ფინიშთან. ორადგილიანი კანოეთი 1994-1995-წლებში დაბადებულმა **გიორგი შაბურიშვილმა** და **გიორგი ჭინჭარაშვილმა** (ორივე - დუშეთი) უფროსებში იასპარეზეს და 200, 500 და 1000 მეტრზე ბრინჯაოები დაისაკუთრეს. ჩვენებურებს მასპინძლებმა აჯობეს. საგულისხმოა, რომ პირველ ადგილზე გასული ბაქოელთა ეკიპაჟი (სერგეი ბეზუგლი-მაქსიმ პროკოპენკო) ლონდონის ოლიმპიადის საგზურის მფლობელია. მეორე ადგილი ახალგაზრდებში ევროპის პრიზიორებს – ალექსეი კუპინსა და იგორ ბერესტიანოვს ერგოთ.

**ვაჟა დანელია**

ავტორის ფოტო

ძიუდო. პრესკონფერენცია



# ჭაბუკები – წარმატების მყარი საფუძველი

**გუშინ საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში ჭაბუკთა ნაკრების ხელმძღვანელობამ პრესკონფერენცია გამართა, რომელიც ანთალიასა და კიევში გამართულ ევროპის თასებზე ჩვენების წარმატებულ გამოსვლას მიეძღვნა. შეგახსენებთ, რომ ამ შეჯიბრებებში ქართველმა ჭაბუკებმა 14-14 მედალი მოიპოვეს. რაც ყველაზე სასიამოვნო და ცოტა მოულოდნელიცაა. ამ 28 მედლიდან 3 გოგონების მონაგარია - 1 ოქრო და 2 ბრინჯაო. თურქეთში მესამე პრიზიორები მარიამ ჯანაშვილი და გურანდა შოთაძე (ორივე - 57) გახდნენ, კიევში კი ჯანაშვილმა გაიმარჯვა. ბიჭებისგან მსგავს შედეგს მიჩვეულები ვართ, გოგონები კი ახლა დგამენ პირველ ნაბიჯებს და მათი მედლები ამიტომ გვესენსაციურება. ჭაბუკთა ნაკრების თავკაცმა გია თენაძემაც აღნიშნა, რომ გოგონების გამოსვლა მისთვისაც განსაკუთრებით სასიხარულოა, თუმცა ამ თემას სხვებმაც გაუსვეს ხაზი.**

პრესკონფერენციას თენაძესთან ერთად ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტი **გიორგი ალექსიძე**, გენერალური მდივანი **ვლადიმერ ნუცუბიძე** და სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე **ვანო ჯანუყაშვილიც** ესწრებოდნენ. ახალ თაობას თავისთვის პირველი სერიოზული მიღწევა თავდაპირველად ალექსიძემ მიულოცა: *„სეზონი სულ სამი თვის დაწყებულია და ასეთი შედეგი კარგი მონაგარია. ეს განსაკუთრებით სასიხარულო ამ ასაკშია, ანუ ქართულ ძიუდოს კარგი საფუძველი აქვს. განსაკუთრებით აღსანიშნავია გოგონების წარმატება, რადგან ქალთა ძიუდო საქართველოში ჯერ ვერაა ძლიერი. სამწუხაროდ, მათ მაქსიმალურ პირობებს ჯერ ვერ ვუქმნით, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში ვეხმარებით. მწვრთნელთა ენთუზიაზმმაც არ დააყოვნა და პირველი შედეგიც არის.“*

ალექსიძის შემდეგ სიტყვა თენაძეს დაეთმო: *„წარმატება გუნდური მუშაობის შედეგია. ეს სპეციფიკური ასაკია და პერსპექტივაზე ლაპარაკი ძნელია, მაგრამ ამ ბიჭებს გარჯა არ უნდა დავუკარგოთ. ჯერჯერობით ადრეა იმაზე ლაპარაკი, რას ვიზამთ ევროპაზე, რადგან ამ ასაკში წინასწარ ვერაფერს დაგეგმავ. შარშან ვანო მამისაშვილი და გურამ თუშიშვილი შესარჩევ შეჯიბრებებში არც ისე დამაჯერებლად გამოდიოდნენ, მაგრამ მერე პირველი ევროპის ჩემპიონი გახდა, მეორე - მსოფლიოსი. ამდენად, ევროპის წლევანდელ ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი ყველას აქვს. წინ კიდევაა დარჩენილი შესარჩევი ეტაპები და კანდიდატებს იქაც დავაკვირდებით“.*



მარიამ ჯანაშვილი

გუნდს წარმატებები ჯანუყაშვილმა და ნუცუბიძემაც მიულოცეს. ჯანუყაშვილმა გუნდს სამინისტროს სახელით მაქსიმალური მატერიალური მხარდაჭერა აღუთქვა. *„სამინისტრო მატერიალურად ყოველთვის მხარს დაგიჭერთ. უკვე აღარაა ის დრო, როცა ეროვნულ ნაკრებსაც კი დაფინანსების პრობლემა ექმნებოდა. სახელმწიფო თქვენგან მხოლოდ იმას ითხოვს, რომ იშრომოთ, იწვალოთ, წარმატებებს მიაღწიოთ და სამშობლო ასახელოთ. ამაში ქვეყანა ყოველთვის მხარს დაგიჭერთ, რადგან ეს მხოლოდ თქვენი კი არა, მთლიანად სახელმწიფოს წარმატებაა. თან ეს ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდაც იქნება - თქვენს მაგალითზე ხომ ბევრი მოზარდი ჩაებმება სპორტში“* - თქვა მან. ჯანუყაშვილმაც საგანგებოდ შეაჩერა ყურადღება ჯანაშვილის წარმატებაზე, როგორც - ნუცუბიძემ. მილოცვის შემდეგ გენერალურმა მდივანმა გუნდს სპორტული ფორმის სრული კომპლექტი აღუთქვა და დაჰპირდა, რომ ამ კუთხით შარშანდელი პრობლემები არ განმეორდება. ნუცუბიძისავე თხოვნით, ჯანაშვილმა და კიევის ტურნირის კიდევ ერთმა გამარჯვებულმა **ვანო ჩურჩხელაშვილმა** (73) სპორტსმენის ანკეტები შეავსეს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პუნქტს პირადი მწვრთნელის შესახებ - ეს საკითხი დღესაც კი საკმაოდ მტკივნეულია, რადგან პერსპექტიული მოზარდების გადასაბირებლად ათასგვარი მაქინაცია არსებობს და დატაცება-გადაბირება მაინც ხდება. უახლოეს დღეებში ანალოგიურ დეკლარაციას სხვებიც შეავსებენ, რაც მათი სამომავლო წარმატების შემთხვევაში პირველი მწვრთნელის როლს უზრუნველყოფს.

ნუცუბიძემ სხვა სიახლეებიც გაგვაცნო - 12 აპრილიდან სპორტის სამინისტროს დაფინანსებით ძიუდოს აკადემიაში ბავშვთა მწვრთნელების გადასამზადებელი 10-დღიანი სემინარი იწყება, რომელშიც რეგიონების მიერ შერჩეული 2-2 აღმზრდელი მიიღებს მონაწილეობას. ნუცუბიძემ აღნიშნა, რომ ეს იქნება სემინარი თეორიულ-პრაქტიკული სწავლისთვის და არა იმის აფიშირებისთვის, რა მაგრად ვმუშაობთ ადგილებზეო. სემინარის ფარგლებში მსმენელები 38 დისციპლინას შეისწავლიან. პირველი 8 დღე თეორიულ მეცადინეობას დაეთმობა, მე-9 - პრაქტიკას, ბოლო დღე კი ტესტირებას. ვინც მას გაივლის, ფედერაცია სერტიფიკატსაც გადასცემს. ეს პირველი ნაბიჯი იქნება, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება. სამომავლოდ მეცადინეობების ჩასატარებლად უცხოელი მწვრთნელების მოწვევაც იგეგმება, რომლებიც უფრო მაღალ დონეზე დასაქმებულ მწვრთნელებთან გამართავენ მეცადინეობებს.

ფედერაციის კიდევ ერთი სამომავლო სიახლე ისევ ბავშვთა ძიუდოში მომუშავე მწვრთნელებს უკავშირდება - სულ მალე ჭაბუკთა უმცროსი ასაკის, ანუ 14-წლამდელთა ნაკრების ხუთკაციან მწვრთნელთა ჯგუფი რეგიონებში დაიწყებს გასვლას პრაქტიკული

>> მე-11 გვერდზე

ჭიდაობა

# რიგიანად დაიწყეს

**წარმატებით მოიარეს რიგის ახალგაზრდული ტურნირი ჩვენმა თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა. ცამეტკაციანი გუნდიდან უმედლოდ შინ არავინ დაბრუნებულა. 6 ჩემპიონი, 3 ვერცხლის და 4 ბრინჯაოს პრიზიორი - ასეთია მონაგარი. ეს შეჯიბრება ნაკრებისთვის სეზონის პირველი საერთაშორისო სტარტი იყო და, იმედია, კარგ დასაწყისს გაგრძელებაც შესაბამისი მოჰყვება. სამომავლო გეგმებზე ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ნუგზარ სხირელი გვესაუბრება.**

- რიგაში ფეიდენფელდსის სახელობის ტურნირზე ასპარეზობა დაახლოებით შვიდი წლის წინ დავიწყეთ. თავიდან დიდი გარდამავალი თასი თამაშდებოდა, რომელიც საუკეთესო ნაკრებს გადაეცემოდა. სამჯერ მოპოვების შემთხვევაში კი გამარჯვებულს სამუდამოდ რჩებოდა. ის ჯილდო ჩვენ ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ წამოვიღეთ საქართველოში. ტურნირი საშუალო დონისაა და თავიდანვე არ გვქონია ილუზია, რომ განსაკუთრებით მაღალი დონის გუნდებთან მოგვიწევდა პაექრობა. ჩვენთვის იმთავითვე მნიშვნელოვანი იყო, რომ პირველი სტარტი შედარებით მსუბუქი ყოფილიყო. ამასთან, გვხიბლავდა რუსეთის გუნდთან ძალების მოსინჯვის შესაძლებლობაც. სხვათა შორის, ჩვენი სისტემატური სტუმრობის გამო რუსებმაც რეგულარულად დაიწყეს რიგაში ჩამოსვლა. დაინტერესება ორმხრივი გამოდგა. სამწუხაროდ, წლეულს არასრული შემადგენლობით ჩამოვიდნენ, ამბობდნენ, რომ გუნდის ნაწილს ლატვიის საზღვარზე შეექმნა პრობლემა საბუთების მოუწესრიგებლობის გამო.

**- წარმომადგენლობითი თვალსაზრისით, როგორი იყო წლევანდელი ტურნირის დონე?**

- ახლაც ძირითადად ევროპელები სტუმრობდნენ. რიგის ხალიჩაზე 19 ქვეყნის რჩეულმა სპორტსმენებმა იჭიდავეს. ზოგი ისეთი ქვეყნის ნაკრებიც ჩამოვიდა, ადრე რომ არ მინახავს, მაგალითად ირლანდია.

**- არც ერთი ჩვენი მოჭიდავე უმედლოდ არ დარჩენილა. ცხადია, უკმაყოფილო არ იქნებით შეგირდების გამოსვლით...**

- ბუნებრივია, სასიამოვნოა ასეთი შედეგი, თუმცა ჩვენთვის მედლების გარდა საინტერესო სხვაც იყო. ნაკრების შარშანდელი შემადგენლობიდან გუნდში მხოლოდ ტალახაძე და პეტრიაშვილი დარჩნენ. ახალწვეულების პირველი საერთაშორისო გამოცდა კი სწორედ რიგაში შედგა. უნდა განგვესაზღვრა ზოგიერთ წონაში კონკურენციის დონე. სწორედ ამიტომ წავიყვანეთ ამ წონებში ორ-ორი მოჭიდავე. აღსანიშნავია, რომ რიგის ტურნირის ექვსი ოქროს მედალოსნიდან, ოთხმა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატზეც მოიპოვა პირველობა. ორჯერ კი ასე არ მოხდა. 66 კგ-ში ტურნირი იაკობაშვილმა მოიგო, საქართველოს ჩემპიონი ხაბალაშვილი კი მესამეზე დარჩა, თუმცა ისინი უშუალოდ ერთმანეთს არ შეხვედრიან. 96 კგ-ში საქართველოს ჩემპიონატის ფინალი განმეორდა, მაგრამ შედეგი საპირისპირო მივიღეთ - გუსოშვილმა მეშვილდიშვილს სძლია, თან დამაჯერებლად. ქვეყნის ჩემპიონატის დარად რიგაშიც დასკვნით შეხვედრაში გადაეყარნენ ერთმანეთს ქელეხსაშვილი და ბითარიშვილი, აქაც ქელეხსაშვილმა მოიგო.



**- სადაც წონაში თითო მონაწილე გყავდათ, მხოლოდ ყველაშვილი დარჩა ფინალს მიღმა.**

- ყველაშვილმა მესამე ადგილი იკმარა და ფინალში გადასასვლელი შეხვედრა მხოლოდ უკანასკნელ წამებზე დათმო, თუმცა სათანადო შენიშვნები მივეცი და, იმედია, მომავალში ყოველთვის ბოლომდე ყურადღებით იქნება. 50 კგ-ში ბუჯიაშვილმა და მძიმეში პეტრიაშვილმა კი დამაჯერებლად გაიმარჯვეს. პირველმა ფინალამდეც კარგად განვლო გზა, ფინალში კი საკმაოდ ძლიერი რუსი მოჭიდავე დაამარცხა. ხოლო პეტრიაშვილი ისე აშკარად ჯობდა მეტოქეებს, რომ ფინალური დაპირისპირებისას სთხოვეს, მთელი ძალით არ ეჭიდავა, რომ მეტოქე არ დაშავებულიყო. არადა, რუსი პეტრიაშვილზე მძიმეც იყო და ასაკით უფროსიც. ჩვენიანის შესაძლებლობები შარშანაც კარგად გამოჩნდა, როდესაც ჯერ კიდევ ჭაბუკთა ასაკში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის პრიზიორი გახდა.

**- როგორც ვიცით, ბაქოსა და იზმირში უფრო მაღალი დონის ტურნირები მოგელით...**

- აპრილის ბოლოს ბაქოშიც კარგი შეჯიბრებაა, თუმცა სიძლიერით თურქეთის ტურნირი გამოირჩევა. ეს მართლაც სერიოზული შეჯიბრებაა. მუდამ მაღალ დონეზე ტარდება, თანაც სხვადასხვა ქალაქში. ამჯერად იზმირია მასპინძელი. კონტინენტის ჩემპიონატის წინ ჩვენი მოჭიდავეების შესაძლებლობების უკეთ გამოსავლენად სწორედ ეს შეჯიბრება მიმაჩნია. წლეულს შიდა შეჯიბრებაზეც გვინდა ნაკრების წევრთა გამოცდა. მაგალითად, ონში დავით გობეჯიშვილის სახელობის ტურნირზე ჭიდაობა გუნდის მთელი შემადგენლობისთვის აქედანვე სავალდებულოდ გამოვაცხადეთ.

**- ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე ნაკრების შემადგენლობა, ალბათ, გარკვეულწილად ისევ განსხვავებული იქნება.**

- ცვალებადობას არ ვერიდებით. შესაძლებელია წლეულსაც იმავენაირად მოვიქცეთ, თუმცა ამ ეტაპზე ნაადრევია ამაზე ლაპარაკი. მაგალითად, ძნელია ევროპის ჩემპიონი მსოფლიოზე მხოლოდ იმიტომ არ წაიყვანო, რომ სხვასაც გინდა მისცე შანსი. კარგია, რომ წლეულს ეს ორი უმნიშვნელოვანესი შეჯიბრება ადრინდელივით დროის მოკლე მონაკვეთში აღარ ჩატარდება. ერთი ოლიმპიურ თამაშებამდეა, მეორე მის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში, გამოირიცხება წონის კლების რთული პროცესის გამო ზოგიერთი მოჭიდავის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოკლება. ადრე ევროპის ჩემპიონატის მერე მსოფლიომდე დროის მცირე მონაკვეთი რჩებოდა, ამიტომ წონის ვერდაკლების გამო რამდენჯერმე იძულებული გავხდით სპორტსმენი შინ დაგვეტოვებინა. აქვე ვიტყვი, რომ კონტინენტის ჩემპიონატი ზაგრებში (ხორვატია), მსოფლიოსი კი პატაიაში (ტაივანი) გაიმართება.

**ვასილ ბალახაძე**

დავით ასპანიძის ფოტო

მე-10 გვერდიდან

ვარჯიშების ჩასატარებლად. ისინი ყოველ რეგიონში 3 დღე დარჩებიან, კახეთით იწყებენ - თავიდან საგარეჯოში შეჩერდებიან, მერე თელავში გადაინაცვლებენ და გასვლას ახმეტაში დაასრულებენ. ფედერაციაში გასამართი სემინარისგან განსხვავებით, ამგვარ მეცადინეობებში მონაწილეობა ყველა მსურველს შეუძლია და მასში ახლომახლო სოფელ-ქალაქებში მომუშავე მწვრთნელებიც ჩაებმებიან. შეგახსენებთ, - ეს ის ასაკია, რომელმაც 2015 წელს თბილისში გასამართ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში უნდა იჭიდაოს და მას საგანგებო ყურადღებას აქცევენ. ვარჯიშებზე ძირითადი ყურადღება დაეთმობა იმ ახლებურ სტილზე გადართვას, რასაც ახალი წესები ითხოვს, აგრეთვე ბავშვთა სპორტისთვის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა, სავარჯიშო პროცესის სწორად დაგეგმვა, დასვენება, ძალების აღდგენა და ასე შემდეგ...

პრესკონფერენციაზე **თენაძეს** ივნისში ევროპის ჩემპიონატზე წასაყვან


ვანო ჩურჩხელაშვილი

შემადგენლობაზეც დავეკითხეთ, თუმცა დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა. მისი თქმით, ძირითადი ბირთვი უკვე ცნობილია, მაგრამ კონკურენცია რომ არ მოდუნდეს, კონკრეტულ გვარ-სახელებს და წონებს ჯერ არ ასახელებს. მას 55 კილოგრამზე საგანგებოდ დავეკითხეთ, სადაც ყველაზე დიდი კონკურენციაა - იქ სამი კანდიდატი იბრძვის სანაკრებო ადგილისთვის და თან შინ თუ გარეთ ყველა შეჯიბრებაზე მედლის ზონაში შედიან. მხოლოდ ბოლო - კიევის ტურნირზე ჩამორჩა **ერეკლე არხოზაშვილი** მესამე პრიზიორებს - **ბექა ნათათრალიშვილსა** და **გიორგი კაციაშვილს**, როცა ბრინჯაოსთვის შეხვედრა ნათათრალიშვილთან დათმო. თენაძის თქმით, შანსს სამივე ინარჩუნებს და ამ წონაში ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. მწვრთნელმა გამოთქვა იმედი, რომ მისი შეგირდები ევროპაზეც წარმატებით გამოვლენ.

**ირაკლი თავაძე**

## განცხადება

2012 წლის 18 აპრილს, 14 საათზე ქ. თბილისში შ. ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის სააქტო დარბაზში (დიღომი, ბელიაშვილის ქ №5) ჩატარდება ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა

დღის წესრიგშია ფედერაციის პრეზიდენტის არჩევა.

პრეზიდენტობის კანდიდატებმა განცხადება უნდა წარმოადგინონ 2012 წლის 16 აპრილის ჩათვლით ქართული ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციაში. ტელ: 254 04 90

**ფედერაციის პრეზიდიუმი**

წყალბურთი. ინტერვიუ გიორგი ქუთათელაძესთან



# სადებიუტო ბრინჯაო მომავლის გუნდით

**ჭაბუკ წყალბურთელთა (1998 წელს დაბადებულთა და უმცროსი ასაკის) შორის ახლახან დასრულებულ საქართველოს ჩემპიონატში ქუთაისის გუნდმა, რომელსაც დამსახურებული მწვრთნელი გიორგი ქუთათელაძე წვრთნის, მესამე ადგილი დაიკავა. ბრინჯაოსმედალოსნებს ქუთაისის მერი გია თევდორაძე შეხვდა და მათ წარმატება მიულოცა. ერთი შეხედვით, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა და ქუთაისელ წყალბურთელთა მიერ ჭაბუკთა შორის მოპოვებული მესამე ადგილი ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქუთაისში წყალბურთის გუნდი 18 წელიწადი არ არსებობდა და 1998-წლიანებისთვის წლევანდელი პირველობა სადებიუტო იყო, მათი წარმატება მართლაც დასაფასებელია. გვესაუბრება „ქუთაისის მთავარი მწვრთნელი გიორგი ქუთათელაძე.**

- საქართველოს 2012 წლის ჩემპიონატი თებერვალში დაიწყო, სადაც ორ ასაკობრივ ჯგუფში 1998-1999 და 1996-1997 წლიანებში გამოვდივართ. დიდებში ტურნირი ჯერ ისევ მიმდინარეობს. პატარებში კი ბრინჯაოსმედალოსნები გავხდით. ქვეჯგუფში მეორე ადგილზე გავედით და პლეი ოფში თამაშის უფლება მოვიპოვეთ. ნახევარფინალში „ლიგამუსი 1-ს" დავუპირისპირდით. მსაჯების არაობიექტურობის გამო, რომლებმაც ჩვენს კარში ორი პენალტი დანიშნეს, მატჩის ძირითადი დრო 2:2 დასრულდა და დამატებითში დავმარცხდით.

**- მსაჯების მიმართ უკმაყოფილებას არ მალავთ, თუმცა ნებისმიერმა წაგებულმა გუნდმა, შესაძლოა, წაგება მსაჯებს გადააბრალოს...**

ეს ჩემი ახირება არ არის და უსამართლობას ვერ შევეგუები. ეს აღნიშნა ფედერაციის ხელმძღვანელობამაც, მსაჯთა კოლეგიამაც და ყველამ, ვისაც წყალბურთის ელემენტარული წესები მაინც გაეგება. სამწუხაროა, რომ მსაჯების არაობიექტურობის გამო დავმარცხდით, თუმცა რაც მოხდა, მოხდა. შემდეგ მესამე ადგილისთვის „ივერია" 2 დავამარცხეთ 2:1. მე-3 ადგილი არათუ ისე ცუდი შედეგია ახალჩამოყალიბებული გუნდისთვის.

**- ეს პირველი ტურნირი იყო ამ გუნდისთვის?**

- დიახ, ამ ასაკისთვის პირველი ჩემპიონატი იყო. მანამდე რამდენიმე ბავშვი თამაშობდა უფროს ასაკში, თუმცა ამ შემადგენლობისთვის პირველი შეჯიბრება იყო. საერთოდაც, ქუთაისში მხოლოდ წელიწად-ნახევრის წინ დაიწყო წყალბურთის აღორძინება. ამ ასაკში ჩვენი მეკარე გიორგი კუჭუხიძე საუკეთესო გოლკიპერად აღიარეს. ნამდვილად ბრწყინვალედ ითამაშა, რაც სპეციალისტებმაც აღნიშნეს. ალბათ, მას ჭაბუკთა ნაკრებშიც გამოიძახებენ, რომელიც ამ ზაფხულში ჩამოყალიბდება. ძალიან კარგი წყალბურთელია ცენტრალური თავდამსხმელი მიხეილ გვენცაძე, ასევე დათო ცხაკაია. სხვებიც პერსპექტიული ბავშვები არიან, რომლებსაც იმედის თვალით ვუყურებთ.

**- 1996-1997-წლიანებში რა მიზნებს ისახავთ?**

- დიდებში ჩემპიონატი ისევ მიმდინარეობს. 20 აპრილს დედაქალაქის „თბილისს" შევხვდებით და პირველ წრეს ამით დავამთავრებთ. ამჟამად მე-5 ადგილზე ვართ, მაგრამ შევეცდებით, რომ მეორე წრეში უფრო წარმატებით ვითამაშოთ და საპრიზო ადგილზე გავიდეთ.

**- სავარჯიშო პირობებზე რას გვეტყვით. გადაიჭრა ქუთაისში საცურაო აუზის პრობლემა?**

- დღევანდელი პირობებიდან გამომდინარე, მაქსიმუმს ვაკეთებთ. აუზი არის, მაგრამ იქ ისეთი დრო გამოგვიყვეს (2-დან 4 საათამდე), როცა ბავშვები სკოლაში არიან. ძალიან დიდ პრობლემებს ვაწყდებით სასწავლო დაწესებულებებთან და მშობლებთან. აუზი „ვისოლის" საკუთრებაა. მისი ხელმძღვანელობის მიმართ მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის, ბავშვებს ვარჯიშის საშუალება მაინც აქვთ, თუმცა კერძო ბიზნესია და ალბათ, არ სიამოვნებთ, ჩვენი იქ ყოფნა. საწყლოსნო სპორტის განვითარებისთვის გაცილებით მეტია საჭირო.

**- როგორც ვიცით, ქუთაისში ახალი აუზის აგებაზეცაა ლაპარაკი...**

- ქალაქის ხელმძღვანელობა შეგვპირდა და ბიუჯეტშიც ჩადებულია თანხა. ქალაქის მერმა ჩვენთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ სულ მალე ქუთაისს ოლიმპიური სტანდარტების ახალი საცურაო აუზი ექნება. ეს პროექტი რომ განხორციელდება, შემიძლია თამამად დავპირდე თანაქალაქელებს, რომ კარგ გუნდებსაც ჩამოვაყალიბებთ და სერიოზულ შედეგებსაც მივაღწევთ. საქართველოს ნაკრებსაც მაღალი რანგის წყალბურთელებს მივაწვდით.

**- თქვენთან ერთად გუნდის სამწვრთნელო შტაბში ვინ მუშაობს?**

- ვეტერანი წყალბურთელები მიხეილ ლომთაძე და გიორგი მამისეიშვილი, რომლებსაც ძალიან კარგი კარიერა ჰქონდათ. ენერგიული მწვრთნელები არიან და თავდაუზოგავად შრომობენ. მეკარეების მომზადებაში გვეხმარება ლეგენდარული მიხეილ გიორგაძე, რომელიც ენთუზიაზმზე მუშაობს და მისი დამსახურებაა, რომ ჩვენს ორივე გუნდში ძლიერი მეკარეები არიან. მადლობა მინდა გადავუხადო ასევე ჩვენს წყალბურთელებს, რომლებმაც გმირულად იბრძოლეს და პირველივე სეზონში პატარა წარმატებას მიაღწიეს. ფედერაციის გენერალურმა მდივანმა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა რეზო ჩომახიძემ, რომელიც ბავშვობაში ქუთაისში თამაშობდა, აღნიშნა, რომ ამ გუნდში მომავალ ჩემპიონს ხედავს...

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

ძალოსნობა

# ქართული კვერთხები ანტალიაში

თურქულ ანტალიაში 9 აპრილს დაიწყება და ერთ კვირას გასტანს ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი, რომელშიც **ავთანდილ გახოკიძისა** და **ალეკო ნოზაძის** ხელმძღვანელობით ოთხი ქართველი სპორტსმენიც მოსინჯავს ძალებს. ფიცარნაგზე გამოვლენ **დავით ხარატაშვილი** (აფხაზეთი, 77 კგ), **რაულ ცირეკიძე** (ქუთაისი, 85), **ალუდა მანაგაძე** (ქუთაისი, 105) და **ირაკლი თურმანიძე** (აჭარა, +105). ისინი ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის - **ვანო გრიქუროვის** ხელმძღვანელობით ნაკრებთან ერთად ემზადებოდნენ ამ შეჯიბრებისთვის. ხარატაშვილი კონტინენტის პირველობის დებიუტანტია, საკონტროლო შეჯიბრებებზე ორჭიდში 316 კილოგრამი (141+175) აქვს დაძლეული. ანტალიაში მისი გამეორება პირველ ათეულში მოხვედრის შანსს ნაკლებად იძლევა, სამაგიეროდ, ცირეკიძე და თურმანიძე არიან კარგად მომზადებული და საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაც შეუძლიათ. ცირეკიძის პირადი რეკორდია ორჭიდში 370 კილო, ხოლო თურმანიძემ საკუთარი მაჩვენებელი 425 კილომდე გაზარდა. რაც შეეხება მანაგაძეს, ბოლო ტურნირზე მან 390 კილო დასძლია. ეს კი, შესაძლოა, პირველი ათეულის შედეგი აღმოჩნდეს. ხარატაშვილი ფიცარნაგზე 12 აპრილს გავა, ცამეტთხუთმეტში კი, შესაბამისად, ცირეკიძე, მანაგაძე და თურმანიძე მოსინჯავენ ძალებს.




ანტალიაში 8 აპრილს ევროპის ძალოსნობის ფედერაციის კონგრესი დაიწყება. მის მუშაობაში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **კახი კახიაშვილი** მიიღებს მონაწილეობას.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი

# მოგებით დაიწყო

22 წლის **ანა ტატიშვილმა** (80) წარმატებით დაიწყო ასპარეზობა ჩარლსტონის (აშშ) საერთაშორისო ტურნირ „ფემილი საირქლ ქაფზე", რომლის საპრიზო ფონდი 740 ათასი ამერიკული დოლარია. პირველ წრეში ჩვენმა თანამემამულემ ჰოლანდიელი **არანჩა რუსი** დაამარცხა - 1:6, 6:4, 6:4. მომქანცველი თამაში 2 საათსა და 12 წუთს გაგრძელდა. ანამ 9-ჯერ დაუშვა ორმაგი შეცდომა, რუსმა - 3-ჯერ, ეისები ამ შეხვედრაში არ ყოფილა.

ამ გამარჯვებით ტატიშვილმა 40 ქულა და 4,1 ათასი დოლარი გაინაღდა, მაგრამ ეს არ იქნება საკმარისი წინსვლისთვის, რადგან შარშან ამავე ტურნირში ჩვენებურმა მე-3 წრეში გააღწია და ახლა 60 ქულა აქვს დასაცველი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ანა ტატიშვილი

რეგიონი. ჭადრაკი

# დაიმახსოვრეთ თამთა თასოშვილი

კახეთის რეგიონში ჭადრაკის მზარდ პოპულარობაზე ისიც მეტყველებს, რომ ამ ბრძნულ თამაშს ახლა აქ სულ პატარაობიდან იწყებენ. ამ დღეებში კი კახეთის პირველობაზე უკვე ჯერ 7 და შემდეგ 8 წლის ასაკის გოგონათა და ჭაბუკთა პირველობაც ჩატარდა თელავის ჭადრაკის სახლში.

7-წლიანებში ბიჭებმა და გოგონებმა გაერთიანებულ ტურნირში ითამაშეს. პირველობა მოიპოვა საგარეჯოელმა **ლევან დალბაშვილმა.**, მეორე ადგილზე გავიდა თელაველი **თამთა თასოშვილი**, მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს **ანდრია უტიაშვილმა** (თელავი) და **ლუკა ტუხაშვილმა** (სიღნაღი).

8 წლის გოგონებში სამივე საპრიზო ადგილი თელაველებს ხვდათ წილად. თამთა თასოშვილმა ერთი წლის უფროსებთან პაექრობაში პირველობა არავის დაუთმო, მეორე ადგილზე **ანი მიქენაია** გავიდა, მესამეზე - **ანანო კახეთელიძე**. ჭაბუკებში კი ადგილები ასე განაწილდა: 1. **ნიკა კევლიშვილი**, 2. **ლუკა გლურჯიძე**, 3. **თამაზ გილაშვილი** (სამივე - საგარეჯო). მაისში, თბილისში, ეს ბიჭები კახეთის რეგიონის სახელით თანატოლთა საქართველოს პირველობაზე ითამაშებენ. გამარჯვებული მსოფლიოს, მეორე პრიზიორი კი ევროპის პირველობის საგზურს მიიღებს.

ახლა ჯერი 10-წლიანთა პირველობაზეა, რომელიც 13 აპრილიდან ისევ თელავში ჩატარდება.

**ლელა ხეჩოშვილი**
გურჯაანიდან

საქართველოს ნაკრები


2008 წელი. ავსტრია-საქართველო. ბურთით ნიკოლოზ ცქიტიშვილი

# 4 აგვისტოს საკონტროლოს ავსტრიასთან გავისვრით

საქართველოს ეროვნული გუნდი ევროპის 2013 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს 18 აგვისტოს დაიწყებს. სადებიუტო შეხვედრაში რუმინეთს უმასპინძლებს. მანამდე, დაახლოებით ერთი თვით ადრე, ქართველი კალათბურთელები **იგორ კოკოშკოვის** ხელმძღვანელობით შეკრებაზე გადავლენ.

შესარჩევისთვის მოსამზადებელი ეტაპის დეტალები ახლა ზუსტდება. კალათბურთის ფედერაცია გვპირდება, რომ მალე ყველა საკონტროლო მატჩის ჩატარების თარიღს გამოაქვეყნებს. ამასობაში კი ავსტრიელებმა საკუთარი მოსამზადებელი ეტაპი დაგეგმეს და საქართველოს ნაკრებთან ამხანაგური შეხვედრის დროც დააზუსტეს. ისინი 4 აგვისტოს გვიმასპინძლებენ.

საინტერესოა, რომ ჩვენს ეროვნულ გუნდს თავის ისტორიაში (ოფიციალური+ამხანაგური) ყველაზე მეტი თამაში სწორედ ავსტრიელებთან აქვს ჩატარებული - 9. აქედან მხოლოდ სამჯერ შევხვდით ოფიციალურ შეჯიბრებაში და სამჯერვე გავიმარჯვეთ. საკონტროლო მატჩებში კი მეტოქეს დიდი უპირატესობა აქვს - 6-დან 4 თამაშში გვაჯობა.

მთავარ ავსტრიულ საკალათბურთო გამოცემაში სტატია ქვეთავებადაა დაყოფილი. ერთ-ერთს ასე ჰქვია: „საქართველო და ბოსნია ისევ ჩვენი ოპონენტები იქნებიან": „კავკასიის ქვეყნის წარმომადგენლები ტრადიციას არ ღალატობენ. კვლავ ჩვენთან, შტაინბურნში შეიკრიბებიან და აქვე გაიმართება მათი ნაკრებისა და ჩვენი გუნდის დაპირისპირება (4 აგვისტოს).

8 და 9 აგვისტოს კი ავსტრიელები ბოსნიელებს გაეჯიბრებიან."

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ შესარჩევ ტურნირში ქართველთა მეტოქე სწორედ ბოსნია იქნება. ასე რომ, ჩვენს სკაუტებს მეტოქეზე დაკვირვებისთვის შორ მანძილზე მგზავრობა აღარ დასჭირდებათ.

ავსტრიელი ჟურნალისტები ამხანაგური მატჩების ყველა მეტოქეს ცალკე ახასიათებენ. საქართველოს ნაკრებზე წერენ: „ეს გუნდი ფიბა-ს რეიტინგში 50-ე ადგილზეა, გასულ წელს ლიტვაში ევრობასკეტზე ითამაშა და დებიუტანტის კვალობაზე ეფექტური თამაშით ბევრი გააკვირვა. შეჯიბრების მსვლელობისას ტრავმა მიიღო მათმა ლიდერმა **ზაზა ფაჩულიამ,** რამაც გუნდის გამოსვლაზე უარყოფითად იმოქმედა. თუმცა საქართველომ მაინც საპატიო მე-11 ადგილი დაიკავა (24 გუნდში)."

ავსტრიელები, ჩვენს მსგავსად ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადებიან. თუ გავითვალისწინებთ ჯგუფის შემადგენლობას, შეიძლება ვთქვათ, რომ მათ ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსი აქვთ: ავსტრია, ხორვატია, კვიპროსი, უნგრეთი, უკრაინა.

აქვე შესარჩევში საქართველოს ნაკრების მეტოქეებსაც ჩამოგითვლით: რუმინეთი, ჰოლანდია, ბოსნია და ლატვია.

ვიდრე ჩვენი ნაკრების მოსამზადებელი ციკლის გეგმა გამოქვეყნდებოდეს, იმასაც გეტყვით, რომ თბილისში კვლავ ჩატარდება საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ოთხი გუნდი მიიღებს მონაწილეობას. შეგახსენებთ, 2010 წლის ივლისში საქართველოში უკრაინა, ბელარუსი და რუმინეთი ჩამოვიდნენ. ოთხთა ტურნირი საქართველოს გამარჯვებით დასრულდა.

**ევრო-1999**

**საკვალიფიკაციო**

25.05.1997

**საქართველო-ავსტრია დ.დ. 67:60**

**34:31, 22:25, 11:4**

**საქართველო:** თორთლაძე (38წთ, 3ქ, 3მ, 4პ, 1ჩ), ტურაშვილი (27წთ, 11ქ, 3მ), სტეფანია (5წთ, 2ქ, 1მ), ბეჟანიშვილი (26წთ, 10ქ, 10მ, 1პ, 1ჩ), ხოშტარია (15წთ, 2ქ, 2პ), ნაცვლიშვილი (45წთ, 22ქ, 15მ, 1ჩ), ბერძენიშვილი (33წთ, 9ქ, 9მ), სანაძე (9წთ, 3ქ), ჩხეიძე (19წთ, 5ქ)

**ევრო-2007**

**B დივიზიონი**

06.09.2006

**ავსტრია-საქართველო 63:68**

**19:13, 22:13, 15:24, 7:18**

**საქართველო:** ელისი (37 წთ, 20ქ, 5მ, 5პ, 1ჩ, 1დ), მ. მარკოიშვილი (27 წთ, 9ქ, 2მ, 1ჩ), ა. ბოისა (10 წთ, 3მ), ვ. ბოისა (33 წთ, 5ქ, 2მ), ფაჩულია (35 წთ, 24ქ, 7მ, 2ჩ, 2დ), გამყრელიძე (19 წთ, 2ქ, 4პ, 1მ), ცინცაძე (7 წთ), ცქიტიშვილი (11 წთ, 3ქ, 2მ, 1ჩ), სანიკიძე (21 წთ, 5ქ, 6მ), ნაცვლიშვილი (1 წთ)

25.08.2007

**საქართველო-ავსტრია 85:74**

**21:22, 21:15, 24:19, 19:18**

**საქართველო:** ცინცაძე (33 წთ, 5მ, 2პ, 3ჩ), ელისი (36 წთ, 14ქ, 3პ, 1ჩ), მ. მარკოიშვილი (27 წთ, 22ქ, 3მ, 1პ, 1ჩ), სანიკიძე (32 წთ, 14ქ, 9მ, 3პ, 1ჩ, 1დ), ფაჩულია (38 წთ, 25ქ, 5მ, 3პ, 1დ), გამყრელიძე (5 წთ), ნაცვლიშვილი (23 წთ, 5ქ, 7მ, 1პ, 1ჩ), ტულუში (6 წთ, 5ქ, 2მ, 1ჩ)

**ამხანაგურები**

05.08.2008

**ავსტრია-საქართველო 76:74**

**25:20, 18:16, 15:24, 18:14**

**საქართველო:** ცინცაძე (24 წთ, 5ქ, 3პ), ა. ბოისა (18 წთ. 2ქ), სანიკიძე (13ქ. 10მ), ცქიტიშვილი (25 წთ. 20ქ. 9მ), ფაჩულია (30 წთ. 9ქ. 3პ); გამყრელიძე (20 წთ. 9ქ), ვ. ბოისა (22 წთ. 9ქ), შერმადინი (3 წთ. 2ქ), ტულუში (14 წთ. 5ქ), ტომარაძე (5 წთ), შენგელია (4 წთ)

08.08.2008

**ავსტრია-საქართველო 77:74**

**21:17, 25:20, 13:12, 18:25**

**საქართველო:** ცინცაძე (27წთ, 9ქ, 3პ, 3მ), ა. ბოისა (12წთ. 3ქ. 4მ), სანიკიძე (23წთ. 1ქ. 9მ), ცქიტიშვილი (26წთ. 18ქ. 8მ), ფაჩულია (25წთ. 20ქ. 5მ); გამყრელიძე (30წთ. 7ქ. 5პ. 4მ), ვ. ბოისა (23წთ. 5ქ. 4მ. 3პ), შერმადინი (5წთ. 2ქ), ტულუში (13წთ. 3ქ), შენგელია (16წთ. 6ქ. 4მ)

7.08.2009

**ავსტრია-საქართველო 73:77**

**21:18, 19:17, 13:17, 20:25**

**საქართველო:** გამყრელიძე (11წთ), ვ. ბოისა (34წთ, 15ქ), ცინცაძე (35წთ, 17ქ, 4პ, 3ჩ), შერმადინი (35წთ, 14ქ), ტულუში (5წთ), სანიკიძე (39წთ, 11ქ, 12მ), მეტრეველი (11წთ, 4ქ), ელისი (30წთ, 16ქ, 6პ)

8.08.2009

**ავსტრია-საქართველო 71:75**

**18:22, 22:18, 17:18, 14:17**

**საქართველო:** გამყრელიძე (11 წთ), ვ. ბოისა (31 წთ, 12ქ, 6მ), ცინცაძე (29 წთ, 6ქ, 8პ, 3ჩ), შერმადინი (34 წთ, 18ქ, 7მ), ტულუში (10 წთ, 3ქ), სანიკიძე (31 წთ, 11ქ, 6მ), მეტრეველი (8 წთ, 2ქ), ელისი (32 წთ, 17ქ), ა. ბოისა (7 წთ, 4ქ), შენგელია (6 წთ, 2ქ)

30.07.2011

**ავსტრია-საქართველო 64:56**

**29:25, 35:31**

**საქართველო:** გამყრელიძე (1ქ), ა. ბოისა (6ქ), ვ. ბოისა (7ქ), ფაჩულია (10ქ, 10მ), ცინცაძე (7ქ), სანიკიძე (9ქ), ცქიტიშვილი (9ქ), ჰეინსი (7ქ, 3პ), შენგელია

31.07.2011

**ავსტრია-საქართველო 72:54**

**17:10, 19:15, 18:18, 18:11**

**საქართველო:** გამყრელიძე (1ქ), ა. ბოისა (4ქ), ვ. ბოისა, ფაჩულია (12ქ), ცინცაძე (6ქ), სანიკიძე (2ქ), ცქიტიშვილი (15ქ), ჰენსი, შენგელია (11ქ), შარაბიძე, მეტრეველი, ფაცაცია (3ქ)

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

ევროლიგის გამოკითხვა

# შერმადინი ევროვარსკვლავებში

**მანუჩარ მარკოიშვილისა** და **გიორგი შერმადინის** „კანტუმ" ევროლიგაზე გამოსვლა მეორე ჯგუფურ ეტაპზე დაასრულა. პლეი ოფების დაწყებასთან ერთად ევროლიგის ოფიციალურ საიტზე დაიწყო გამოკითხვა შეჯიბრების საუკეთესო ხუთეულის გამოსავლენად.




ჩამოთვლილია 51 კალათბურთელი, რომელთაგან გულშემატკივარს რჩეული ხუთეულისთვის ხმის მიცემა შეუძლია. 51-ს შორისაა „კანტუს" ქართველი ცენტრი გიორგი შერმადინი, რომელმაც ევროლიგის წლევანდელი გათამაშება მაღალ დონეზე ჩაატარა. ამას გიორგის მონაგარიც ადასტურებს. იგი საშუალოდ 21:39 წუთში 10.9 ქულასა და 5.5 მოხსნას აგროვებდა.

გიორგის მეტი სათამაშო დრო ერგო მეორე ჯგუფურ ეტაპზე და მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით მეოთხე იყო (18.83). იგი ნაყოფიერებით მხოლოდ ცსკა-ს ფორვარდ **ანდრეი კირილენკოს** (19.83), მაქაბელ **რიჩარდ ჰენდრიქსსა** (19.33) და მონტეპასკელ ბო მაკალებს (19.17) ჩამორჩა. არანაკლებ მნიშვნელოვანია: ტოპ-16-ში 23 წლის ქართველ ცენტრს ყველაზე მეტი საჯარიმო აქვს ნატყორცნი (40) და ყველაზე მეტი - ჩაგდებული (37).

დავუბრუნდეთ გამოკითხვას. ნებისმიერ ქართველ ქომაგს შეუძლია შერმადინისთვის ხმის მიცემა. ამისთვის საჭიროა ევროლიგის ოფიციალურ საიტზე, www.euroleague.net შესვლა.

სადღეისოდ გამოკითხვაში ეს ხუთეული ლიდერობს: **ჯეიმონ ლუკასი** (გალათასარაი, 7.3%), **იაკა ლაკოვიჩი** (გალათასარაი, 6.8%), ანდრეი კირილენკო (ცსკა, 6.7%), **დიმიტრის დიამანტიდისი** (პანათინაიკოსი, 6.3%), **მილოშ ტეოდოსიჩი** (ცსკა, 5.3%).



სუპერლიგა

# სოხუმისა და სამულენასის გზები გაიყარა

გუშინ „სოხუმის" პრესსამსახურიდან საინტერესო, მაგრამ გულდასაწყვეტი ინფორმაცია მივიღეთ - გუნდს ლიტველი სპეციალისტი **რიმვიდას სამულენასი** აღარ განვრთნის. იგი კარგი პიროვნება და მწვრთნელი იყო, თუმცა კონტრაქტის ვადის ამოწურვის შემდეგ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულება აღარ გაგრძელდა.


რიმვიდას სამულენასი და მაკა კუპატაძე

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

დანარჩენს პრესრელიზიდან შეიტყობთ.

„საკალათბურთო კლუბ „სოხუმის" ხელმძღვანელობამ გუნდის სამწრთნელო შტაბში ცვლილებები განახორციელა. რიმვიდას სამულენასს, რომელსაც 2011 წლის ნოემბრიდან „სოხუმის" მთავარი მწვრთნელის თანამდებობა ეკავა, მიმდინარე წლის 31 მარტს კლუბთან გაფორმებული კონტრაქტის თანახმად მუშაობის ვადა ამოეწურა. კლუბის პრეზიდენტმა **მინდია გულუამ** და მთავარმა მწვრთნელმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომლის თანახმად 2012 წლის 1 აპრილიდან ბატონი სამულენასი ხელშეკრულების ვადის ამოწურვის გამო გუნდის მთავარ მწვრთნელად მუშაობას აღარ გააგრძელებს. ლიტველ სპეციალისტსა და „სოხუმის" ხელმძღვანელობას ერთმანეთისადმი პრეტენზიები არ გააჩნიათ.

2 აპრილიდან „სოხუმის" მთავარი მწვრთნელის მოვალეობას **ვაჟა კვარაცხელია** შეასრულებს, რომელიც 1995-2010 წლებში გუნდის უცვლელი თავკაცი იყო."

პრესრელიზში ასევე აღნიშნულია:

„არ არის გამორიცხული, მომავალში გუნდის მთავარ მწვრთნელად სხვა სპეციალისტი დაინიშნოს, ხოლო ვაჟა კვარაცხელია კვლავ ასისტენტის პოსტზე გადავიდეს."

ევროპის ჩემპიონატი. U 18

# პირველი ელიტარული გუნდი დამარცხებულია

**საქართველო-იტალია 20:18**

საქართველო: 15. იოსებ კიკვაძე, 14. დევი დევსურაშვილი, 13. ნიკა ამაშუკელი, 12. ილია მელაძე (გიორგი ნათელაშვილი 63), 11. გიორგი ფრუიძე, 10. რევაზ ჯინჭველაშვილი (გიორგი აფციაური 67), 9. რევაზ ბროძელი. 1. ზაური ხარებავა, 2. ბექა ფირიაშვილი, 3. გიორგი მარგველანი, 4. ფარნავაზ გასვიანი, 5. შალვა შაშიაშვილი (ბადრი ალხაზიშვილი 52), 6. გიორგი გოგლიძე (ონისე მოგელაშვილი 33), 7. საბა შუბითიძე, 8. ვახტანგ ამირანაშვილი.

2ლ: ბროძელი, ფრუიძე. 2ს: ბროძელი, ჯინჭველაშვილი. 2გ: ბროძელი, ჯინჭველაშვილი.

სინბინი: მარგველანი, შუბითიძე, ფირაშვილი

მსაჯი: ბესენთი (უელსი)

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა ესპანეთის დედაქალაქ მადრიდში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე იტალიის ნაკრები დაამარცხა - 20:18 და ახლა, „უმცროსი ბორჯღალოსნები“ მეხუთე ადგილისთვის მატჩში შოტლანდიელ თანატოლებს დაუპირისპირდებიან.

ის, რაც ჩვენმა მორაგბეებმა ჩაიდინეს, ძალიან იშვიათად ხდება. თითქმის ნაგებულ მატჩში, როცა ექვსი წუთის განმავლობაში სამი კაცით ნაკლულნი ეთამაშებოდნენ ელიტარული სარაგბო ქვეყნის გუნდს, ისეთი ხასიათი გამოავლინეს, რომ ყველაფერს გაუძლეს, თამაშში გარდატეხა შეიტანეს და ბოლო წუთებზე იტალიელებს გამარჯვება ხელიდან გამოგლიჯეს.

თამაში საქართველოს ნაკრებისთვის ძალიან ცუდად დაიწყო, იტალიელებმა პირველივე შეტევაზე ლელო გაგვიტანეს და შვიდი ქულით დაწინაურდნენ. ამან ჩვენი მორაგბეები ოდნავ დააბნია და მალევე, მე-10 წუთისთვის უკვე 0:12 ვაგებდით.

თამაშის დალაგება და ღირებულის შექმნა ქართველმა ჭაბუკებმა მე-20 წუთზე მოახერხეს. მგეზავმა **რევაზ ჯინჭველაშვილმა** საჯარიმოდან გაიტანა - 3:12. ოთხ წუთში კი ჩვენი ლელოს ჯერიც დადგა. ცხრა ნომერმა **რევაზ ბროძელმა** მარცხენა ფრთაზე რაკში თამაშისას ბურთი შეუმჩნევლად გაიტაცა და ლელომდე თითქმის ცენტრიდან ირბინა, ჯინჭველაშვილმა გარდასახა - 10:12.

ტაიმის დასრულებამდე ათ წუთზე მეტი რჩებოდა. ინიციატივას უკვე საქართველოს ნაკრები ფლობდა. ჯინჭველაშვილმა ორი საჯარიმო ვერ გაიტანა. ჯერ 32-ე წუთზე 48 მეტრიდან დაარტყა უშედეგოდ, მერე 55 მეტრიდან სცადა ბურთის კარის ძელებს შორის გატარება, მაგრამ ესეც არ გამოუვიდა.

მეორე ტაიმის დასაწყისი პირველზე კიდევ უფრო საშინელი გამოდგა. 43-ე წუთზე უელსელმა არბიტრმა ჯერ შერკინების ბურჯი **ფარნავაზ მარგველანი** გაასინბინა, სამ წუთში კი ყვითელი ბარათი მესამეხაზელ **საბა შუბითიძეს** აჩვენა, ესეც არ გვაკმარა და 51-ე წუთზე კიდევ ერთი მორკინალი, **ბექა ფირიაშვილი** გააძევა ათი წუთით.

იტალიელებმა 43-ე და 46-ე წუთებზე ორი საჯარიმო გაგვიტანეს -18:10. სხვა მათ ვერაფერი დაგვაკლეს, მიუხედავად იმისა, რომ 61-ე წუთამდე ჩვენი გუნდი რიცხობრივ უმცირესობაში იმყოფებოდა.

მატჩის ბოლო თხუთმეტი წუთის განმავლობაში მთლიანად საქართველოს ნაკრები დომინირებდა. 63-ე წუთზე ბროძელმა საჯარიმოთი ანგარიშში სხვაობა ხუთ ქულამდე შეამცირა. თამაშის დასრულებას წუთი აკლდა, როცა საკმაოდ კარგი, მრავალფაზიანი შეტევის შემდეგ იტალიელეთა ლელოში გარემარბი **გიორგი ფრუიძე** შეიჭრა, ბროძელმა ესეც გარდასახა და საქართველოს ნაკრებმა უმძიმეს მატჩში, ექვსი ერის გათამაშებაში მონაწილე ქვეყნის 18-წლამდელთა ნაკრებს 20:18 მოუგო.

ახლა ჩვენი მორაგბეები 7 აპრილს მე-5 ადგილისთვის მატჩში კიდევ ერთი ბობოლა სარაგბო ქვეყნის, შოტლანდიის 18-წლამდელთა გუნდს დაუპირისპირდება.

**გიორგი ნიჟარაძე**, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:

*„მართალია, ძალიან ვინერვიულეთ, მაგრამ ბედნიერები ვართ. ამ პატარა ვაჟკაცებმა თავი ყველასთვის შესაშური ხასიათით და თამაშის მაღალი ხარისხით გამოიჩინეს.*

*თავიდან ძალიან ავირიეთ. პირველივე წუთებზე ლელო მივიღეთ და ამან ოდნავ დაგვაბნია. მეორე ლელო საკუთარი ჩათვლის მოედანთან ახლოს თითქმის მოგებული დერეფნის შემდეგ მივიღეთ. მაგრამ გუნდმა მალე შეძლო დალაგება და ნელ-ნელა უპირატესობას დაეუფლა.*

*მსაჯობა იყო საზიზღარი, ამას ყველა აღნიშნავს. პორტუგალიის რაგბის კავშირის პრეზიდენტმა მითხრა, ამ მსაჯს თუ არ უჩივლებთ, მაშინ თქვენს მაგივრად მე ვუჩივლებო. ცხადია, ჩვენი გუნდის ასეთი მებრძოლი სულით ყველა აღფრთოვანდა, ყველამ მოგვილოცა ბრიტანელებმაც და, სხვათა შორის, თავად იტალიელებმაც.*

*ის უელსელი მსაჯი კი რას გვერჩოდა, არ ვიცი. სამი მოთამაშე გაგვისინბინა და 6 წუთის განმავლობაში თორმეტნი ვეთამაშებოდით თხუთმეტს. მიუხედავად ასეთი დიდი რიცხობრივი უპირატესობისა, მაინც ვერაფერი დაგვაკლეს, პირიქით, ასეთ რთულ სიტუაციაში ბიჭებმა გაათკეცებული ენერგიით იბრძოლეს და გარწმუნებთ, რომ მეტოქეს აბსოლუტურად ყველა კომპონენტში ვჯობდით, როგორც შერკინების, ისე გაშლილი, ღია თამაშისას.*

*ფანტასტიკური იყო, თამაშის ბოლო წუთები. გუნდმა შესანიშნავად გაშალა თამაში და ფრუიძემ გამარჯვების ლელო გაიტანა, რომელიც ბროძელმა გარდასახა. გამარჯვებას ჩვენ ვიმსახურებდით და მოვიგეთ კიდეც.*

*მომდევნო თამაში შოტლანდიის 18-წლამდელთა ნაკრებთან გვაქვს. ძალიან კარგი გუნდია. ვნახე „სკოტებისა“ და პორტუგალიელების მატჩი. „უმცროსმა ლობუშებმა“ საწყის 15 წუთში სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, მაგრამ შოტლანდიელებმა კლასის ხარჯზე მაინც დაჩაგრეს“.*

**ილია მაისურაძე**, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი:

*„დასაწყისში გაგვიჭირდა, მერე ჩვენი თამაში ვიპოვეთ და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ორიენტაცია დაცვით თამაშზე გავაკეთეთ, სწრაფ გადაწყობასა და ერთი-ერთზე ბოჭვებში მეტოქეს ვაჯობეთ, რამაც იტალიელებს სერიოზული პრობლემები შეუქმნა.*

*ერთი სიტყვით, დაცვის ხარჯზე შევძელით გარდატეხის შეტანა. ბოლო 15 წუთის განმავლობაში მოედანზე ჩვენ ვდომინირებდით. ამან შედეგიც გამოიღო.*

*სამი მორაგბე გაგვისინბინეს, ამათგან ერთისთვის ყვითელი ბარათის ჩვენება, ალბათ, სამართლიანი იყო, დანარჩენ ორს მსაჯი რას ერჩოდა, არ ვიცი.*

*შოტლანდიის ნაკრების თამაშის ფირს ვნახავთ, გავაანალიზებთ. აქცენტს ისევ დაცვაში კარგ თამაშზე გავაკეთებთ. ვნახოთ, თუ შევძელით და დაცვა უკეთესად ავაწყვეთ, ვიდრე იტალიასთან, ვფიქრობ, რომ შოტლანდიის დამარცხებაც შეიძლება“.*

| ნახევარფინალი | |
|---|---|
| **I ადგილისთვის** | |
| ინგლისი-უელსი | 22:16 |
| ირლანდია-საფრანგეთი | 22:20 |
| **V ადგილისთვის** | |
| პორტუგალია-შოტლანდია | 12:37 |
| **7 აპრილი** | |
| **VII ადგილისთვის** | |
| იტალია-პორტუგალია | |
| **V ადგილისთვის** | |
| საქართველო-შოტლანდია | |
| **III ადგილისთვის** | |
| უელსი-საფრანგეთი | |
| **ფინალი** | |
| ინგლისი-ირლანდია | |


რევაზ ბროძელის სალელოე შეტევა

ლეგიონერები


მერაბ კვირიკაშვილი

# მაჩხანელისა და ნემსაძის წყვილი ლელო

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ერთი ტურიღა დარჩა. ქართველ მორაგბეთა გუნდებიდან პლეი ოფში თამაში განაღდებული აქვს A ჯგუფში მოასპარეზე „მასის“ და „ლილს“, ექვსი კი ბრძოლას განაგრძობს.**

დავით ბოლღაშვილის „ლილმა“ მე-16 ტურში აუტსაიდერს, **რეზო გიგაურის, ნიკოლოზ გიორგაძისა** და **დიმა ხოჭოლავას** „ბულონს“ უმასპინძლა და დიდი ანგარიშით 48:0 დაამარცხა. ქართველთაგან მხოლოდ გიორგაძემ ითამაშა.

მეორეადგილოსანმა **შალვა სუთიაშვილის, დავით აშვეთიასა** და **არჩილ კობაურის** „მასიმ“ სტუმრად მოუგო **გიორგი მჭედლიშვილის** „დიჟონს“ - 14:18. სუთიაშვილმა სრულად ითამაშა, აშვეთია 50-ე წუთზე შეცვალეს, კობაურს და მჭედლიშვილს არ უთამაშიათ.

**ელიზბარ ყუფარაძისა** და **დევი დადუნაშვილის** „მონლუსონმა“, რომელიც მეოთხე ადგილზეა, შინ დაამარცხა „სტრასბური“ - 33:14. ყუფარაძე თამაშში 50-ე წუთიდან ჩაერთო, დადუნიშვილი განაცხადში არ იყო.

**A ჯგუფი**

ლილი-ბულონი 48:0, ორლეანი-ნევერი 17:20, დიჟონი-მასი 14:18, მონლუსონი-სტრასბური 33:14, ბობინი-მაკონი 16:20.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ლილი - 66 ქულა, 2. მასი - 62, 3. ნევერი - 45, 4. მონლუსონი - 45, 5. მაკონი - 45, 6. დიჟონი - 41, 7. ბობინი - 33, 8. სტრასბური - 30, 9. ორლეანი - 16, 10. ბულონი - 0.

B ჯგუფში პლეი ოფში მოხვედრის შანსი **გია ლაბაძის, რეზო ბელქანიასა** და **ვახტანგ მაისურაძის** „ლა სეინის“ და **ირაკლი ნინიძის** „რომანს“ აქვს. ლასეინელებმა სტუმრად წააგეს გათამაშების ლიდერ „ბურგ ან ბრესთან“ - 7:29. ლაბაძემ სრულად ითამაშა, ბელქანია 61-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში, მაისურაძე ტრავმირებულია.

ირაკლი ნინიძის „რომანმა“ სტუმრად დაამარცხა **გიორგი კუთარაშვილის** „შატორენარი“ - 13:6. ნინიძე თამაშში 54-ე წუთიდან შევიდა, კუთარაშვილმა სრულად ითამაშა და 41-ე წუთზე გაასინბინეს.

**ირაკლი მაჩხანელის** „სენტ ეტიენი“ შინ დამარცხდა „მონტობანთან“ - 24:44 და პლეი ოფში მოხვედრის ყველა შანსი დაკარგა. მაჩხანელმა სრულად ითამაშა და მე-5 წუთზე ლელო გაიტანა.

**დავით კაჭარავასა** და **ნიკოლოზ მალალდაძის** „ნიცამ“ შინ დაამარცხა **თენგიზ გელანტიას** „ნიმი“ - 39:24. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ.

**B ჯგუფი**

სენტ-ეტიენი-მონტობანი 24:44, ნიცა-ნიმი 39:24, ბურგ ან ბრესი-ლა სეინი 29:7, შატორენარი-რომანი 6:13, კასტანე-პოკენი 77:0.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ბურგ ან ბრესი - 64 ქულა, 2. მონტობანი - 52, 3. კასტანე - 50, 4. ლა სეინი - 46, 5. რომანი - 41, 6. სენტ ეტიენი - 33, 7. ნიცა - 32, 8. შატორენარი - 29, 9. ნიმი - 20, 10. პოკენი - 3.

C ჯგუფში პლეი ოფში გასვლისთვის თავგამოდებით იბრძვის **მერაბ კვირიკაშვილის, გიორგი ჩხაიძის, გიორგი ოზგებაშვილისა** და **რობერტ აბესლამიძის** „სენ ჟუნიენი“. ჩვენებურთა ამ გუნდმა, სამწუხაროდ, შინ წააგო ერთ-ერთ აუტსაიდერ „აგეტმოსთან“ - 19:23 და ახლა 37 ქულით მე-5 ადგილზეა. მას ერთი ქულით უსწრებს მეოთხეადგილოსანი „სენ ნაზერი“.

კვირიკაშვილმა და ჩხაიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშეს, „მეკომ“ გუნდს 14 ქულა მოუტანა (ერთი გარდასახვა, ერთი არეკნი და სამი საჯარიმო), ოზგებაშვილი თამაშში 76-ე წუთიდან ჩაერთო, აბესლამიძე განაცხადში არ იყო.

**C ჯგუფი**

სენ ჟუნიენი-აგეტმო 19:23, სენ მედარი-ვანი 49:27, მორლაა-ლავორი 12:6, სენ ჟან დე ლუზი-ლანჟონი 16:18, სენ ნაზერი-კოლომიე 8:31.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. კოლომიე - 62 ქულა, 2. ვანი - 46, 3. ლავორი - 42, 4. სენ ნაზერი - 38, 5. სენ ჟუნიენი - 37, 6. სენ მედარი - 37, 7. ლანჟონი - 36, 8. სენ ჟან დე ლუზი - 33, 9. აგეტმო - 33, 10. მორლაა - 25.

D ჯგუფში 45 ქულით მეოთხე ადგილზეა **გიორგი ნემსაძისა** და **დიმიტრი ბასილაიას** „ვალანს დაჟენი“, რომელმაც სტუმრად წააგო „ბლანიაკთან“ - 28:30. ნემსაძე, რომელმაც სრულად ითამაშა, 45-ე წუთზე არბიტრმა მოედნიდან ათი წუთით გააძევა, 71-ე წუთზე კი მან ლელო მიითვალა, ბასილაია განაცხადში არ იყო.

**D ჯგუფი**

ბლანიაკი-ვალანს დაჟენი 30:28, მარმანდი-ოლორონი 24:17, ლანამეზანი-ლურდი 36:19, ტიროსი-რიბერაკი 59:5, მოლეონი-ლიმოჟი 8:18.

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ტიროსი - 64 ქულა, 2. ლიმოჟი - 55, 3. ბლანიაკი - 48, 4. ვალანს დაჟენი - 45, 5. ლანამეზანი - 40, 6. ლურდი - 39, 7. ოლორონი - 35, 8. მარმანდი - 33, 9. მოლეონი - 18, 10. რიბერაკი - 11.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

## უცხოური სპორტი

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# კვირის მოთამაშეები

„ბოსტონ სელტიქსის“ ფორვარდი **პოლ პირსი** და „ლოს ანჯელეს კლიპერსის“ მცველი **კრის პოლი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დაასახელეს.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატი პირსი თავის გუნდს ოთხიდან ოთხი მატჩის მოგებაში დაეხმარა. პოლმა საშუალოდ 25.0 ქულა, 8.0 მოხსნა და 2.5 პასი დააგროვა. მან "შარლოტთან" მოგებულ მატჩში 36 ქულით სეზონის პირადი რეკორდი დაამყარა.

ოთხიდან ოთხი მოგება ჰქონდა გასულ კვირას „კლიპერსს“, პოლის სტატისტიკური მონაგარი კი 21.5 ქულა (ტყორცნების 56-პროცენტიანი სიზუსტე) და 11.6 შედეგიანი პასი იყო.

### პირსის კვირა

**26 მარტი. შარლოტი-ბოსტონი 95:102.** 36 ქულა, 10 მოხსნა.

**30 მარტი. მინესოტა-ბოსტონი 79:100.** 21 ქულა, 9 მოხსნა, 2 პასი.

**1 აპრილი. ბოსტონი-მაიამი 91:72.** 23 ქულა, 7 მოხსნა.

### პოლის კვირა

**26 მარტი. კლიპერსი-ნიუ ორლეანი 97:85.** 25 ქულა, 10 პასი, 4 ჩაჭრა.

**28 მარტი. კლიპერსი-ფინიქსი 103:86.** 15 ქულა, 15 პასი.

**30 მარტი. კლიპერსი-პორტლენდი 98:97.** 20 ქულა, 14 პასი, 4 ჩაჭრა.

კვირის მოთამაშის სტატუსზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **კევინ გარნეტი** („ბოსტონი“), **ტაიშონ პრინსი** („დეტროიტი“), **ბლეიკ გრიფინი** („კლიპერსი“), **დერონ უილიამსი** („ნიუ ჯერსი“), **კარმელო ენტონი** („ნიუ იორკი“) და **რასელ უესტბრუკი** („ოკლაჰომა“).

**ვაშინგტონი-მილუოკი 98:112**

19:28, 28:27, 22:28, 29:29

**ვ:** კროუფორდი (23+5 მოხსნა+6 პასი), სერაფინი (15), ვესელი (14+7 მოხსნა), უოლი (14+6 მოხსნა+9 პასი), მეისონი (11).

**მ:** ჯენინგსი (19+6 მოხსნა+7 პასი), ელისი (17+5 მოხსნა+6 პასი), დანლივი (17), ილიასოვა (16+11 მოხსნა), უდო (15+8 მოხსნა+5 პასი), ლივინგსტონი (10).

**ოკლაჰომა-მემფისი 88:94**

22:21, 22:21, 20:26, 24:26

**ო:** დურანტი (21+8 მოხსნა), უესტბრუკი (19+3 ჩაჭრა), ჰარდენი (14+5 მოხსნა+5 პასი), იბაკა (12+5 მოხსნა+6 დაფარება), პერკინსი (7+11 მოხსნა).

**მ:** მაიო (22), ალენი (15+8 მოხსნა), გასოლი (13+8 მოხსნა), გეი (12+8 მოხსნა), პარგო (10), რენდოლფი (10), სპეიტსი (9+13 მოხსნა).

**პორტლენდი-იუტა 97:102**

35:22, 22:32, 21:29, 19:19

**პ:** მეტიუზი (33), ოლდრიჯი (27+7 მოხსნა), ბატუმი (16+10 მოხსნა+3 დაფარება).

**ი:** მილსეპი (31+11 მოხსნა), ჰეივორდი (20), ჯეფერსონი (13+10 მოხსნა), ფეივორსი (11+11 მოხსნა).

**ჩიკაგო-ჰიუსტონი 93:99**

22:26, 29:14, 19:31, 23:28

**ჩ:** დენგი (24+7 მოხსნა), ბუზერი (16+13 მოხსნა+7 პასი), ნოა (15+9 მოხსნა+4 დაფარება).

**ჰ:** დრაგიჩი (21+5 პასი), სკოლა (18+12 მოხსნა+6 პასი+3 დაფარება), ლი (13), ბადინგერი (13), კემბი (12+11 მოხსნა).


პოლ პირსი

**დალასი-კლიპერსი 75:94**

17:25, 16:22, 21:25, 21:22

**დ:** ნოვიცკი (19), ტერი (15).

**კ:** ფოიე (28), გრიფინი (15+16 მოხსნა), ბატლერი (13), იანგი (10), პოლი (8+5 მოხსნა+10 პასი).

**საკრამენტო-მინესოტა 116:108**

33:30, 32:28, 22:28, 29:22

**ს:** ევანსი (24+10 მოხსნა+7 პასი), კაზინსი (20+9 მოხსნა), ფრედეტე (19), ტომასი (17+5 პასი), უილიამსი (12+12 მოხსნა).

**მ:** ლავი (23+7 მოხსნა), პეკოვიჩი (17), რიდნური (13+6 პასი), მილერი (11+6 პასი).

### აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. x-ჩიკაგო* | 55 | 42 | 13 | 76.4 |
| 2. მაიამი* | 51 | 37 | 14 | 72.5 |
| 3. ორლანდო | 53 | 32 | 21 | 60.4 |
| 4. ბოსტონი* | 52 | 30 | 22 | 57.7 |
| 5. ინდიანა | 52 | 31 | 21 | 59.6 |
| 6. ატლანტა | 54 | 31 | 23 | 57.4 |
| 7. ფილადელფია | 52 | 29 | 23 | 55.8 |
| 8. ნიუ იორკი | 53 | 27 | 26 | 50.9 |
| 9. მილუოკი | 53 | 25 | 28 | 47.2 |
| 10. დეტროიტი | 52 | 19 | 33 | 36.5 |
| 11. ნიუ ჯერსი | 54 | 19 | 35 | 35.2 |
| 12. კლივლენდი | 50 | 17 | 33 | 34.0 |
| 13. ტორონტო | 53 | 18 | 35 | 34.0 |
| 14. ვაშინგტონი | 53 | 12 | 41 | 22.6 |
| 15. შარლოტი | 50 | 7 | 43 | 14.0 |

### დასავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. x-ოკლაჰომა* | 53 | 40 | 13 | 75.5 |
| 2. სან ანტონიო* | 50 | 36 | 14 | 72.0 |
| 3. ლეიკერსი* | 53 | 33 | 20 | 62.3 |
| 4. კლიპერსი | 53 | 32 | 21 | 60.4 |
| 5. მემფისი | 51 | 29 | 22 | 56.9 |
| 6. დალასი | 54 | 30 | 24 | 55.6 |
| 7. დენვერი | 53 | 29 | 24 | 54.7 |
| 8. ჰიუსტონი | 54 | 29 | 25 | 53.7 |
| 9. იუტა | 54 | 28 | 26 | 51.9 |
| 10. ფინიქსი | 52 | 26 | 26 | 50.0 |
| 11. პორტლენდი | 54 | 25 | 29 | 46.3 |
| 12. მინესოტა | 55 | 25 | 30 | 45.5 |
| 13. გ. სტეიტი | 51 | 20 | 31 | 39.2 |
| 14. საკრამენტო | 53 | 19 | 34 | 35.8 |
| 15. ნიუ ორლეანი | 53 | 13 | 40 | 24.5 |

* - დივიზიონის ლიდერი

### ქულა

| | |
|---|---|
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 28.1 |
| კევინ დურანტი (ოკლ) | 27.5 |
| კევინ ლავი (მინ) | 26.5 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 26.5 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 24.4 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 22.8 |
| ლამარკუს ოლდრიჯი (პორ) | 21.6 |
| დერონ უილიამსი (ნ-ჯერ) | 21.6 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 21.2 |

### მოხსნა

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 14.5 |
| კევინ ლავი (მინ) | 13.6 |
| ენდრიუ ბინუმი (ლეი) | 11.9 |
| დემარკუს კაზინსი (საკ) | 11.1 |
| კრის ჰემფრიზი (ნ-ჯერ) | 10.9 |
| ბლეიკ გრიფინი (კლიპ) | 10.9 |
| პაუ გასოლი (ლეი) | 10.5 |
| მარსინ გორტატი (ფინ) | 9.9 |

### პასი

| | |
|---|---|
| სტივ ნეში (ფინ) | 11.3 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 11.1 |
| კრის პოლი (კლიპ) | 8.8 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 8.8 |
| დერონ უილიამსი (ნ-ჯერ) | 8.6 |
| რიკი რუბიო (მინ) | 8.2 |
| დერიკ როუზი (ჩიკ) | 8.0 |
| ტონი პარკერი (ს-ანტ) | 8.0 |
| ჯონ უოლი (ვაშ) | 7.8 |

### ჩაჭრა

| | |
|---|---|
| მაიკ კონლი (მემ) | 2.4 |
| კრის პოლი (კლიპ) | 2.4 |
| ლებრონ ჯეიმსი (მაი) | 1.9 |
| იმან შუმპერტი (ნ-იორ) | 1.8 |
| პოლ მილსეპი (იუტ) | 1.7 |
| რასელ უესტბრუკი (ოკლ) | 1.7 |
| ანდრე იგუოდალა (ფილ) | 1.7 |
| ჯეფ ტიგი (ატლ) | 1.7 |
| ტონი ალენი (მემ) | 1.7 |

### დაფარება

| | |
|---|---|
| სერჟ იბაკა (ოკლ) | 3.4 |
| ჯავალ მაკგი (ვაშ) | 2.4 |
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 2.1 |
| დეანდრე ჯორდანი (კლიპ) | 2.1 |
| ენდრიუ ბინუმი (ლეი) | 2.0 |
| როი ჰიბერტი (ინდ) | 1.9 |
| სამუელ დალემბერი (ჰიუ) | 1.8 |
| მარკ გასოლი (მემ) | 1.8 |
| ბისმაკ ბიიომბო (შარ) | 1.8 |
| ჯოშ სმიტი (ატლ) | 1.8 |


დირკი შინ დამარცხდა

"ჩიკაგო ბულზს" მაინც დაეტყო დერიკ როუზის არყოფნა. და ეს იმ დროს მოხდა, როცა გუნდს თითქმის გარანტირებული ჰქონდა პირველი ადგილი აღმოსავლეთ კონფერენციაში. თუ წინა დღეს "ოკლაჰომასთან" წაგებას გარკვეული ახსნა მოეძებნებოდა, საკუთარ მოედანზე არც ისე ძლიერი "ჰიუსტონისგან" მარცხი საგანგაშო დასკვნების საშუალებას იძლევა. ცნობისათვის: "ბულზს" წელიწადზე მეტია რეგულარულში ზედიზედ ორი მატჩი არ წაუგია.

**ნოას, ბუზერისა** და **დენგის** ტრიოს ძალა, რომელიც ტრადიციულად გუნდის საერთო ქულებისა და მოხსნების ნახევარს ილებს, საკმარისი აღმოჩნდა მოკრძალებული "დეტროიტის" დასამარცხებლად, მაგრამ არასაკმარისი "როკეტსის" წინააღმდეგ. მასპინძლებს არ უშველა **ჰემილტონის** ასე ნანატრმა დაბრუნებამ. რიპი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და ჩააგდო შეხვედრა. კიდევ ერთ სასტარტოსთან – **უოტსონთან** ერთად მცველთა დუეტმა 14-დან სამი ბურთი ჩააგდო, რვაჯერ დაკარგა ბურთი, რითაც დაგვანახა მატჩში "ბულზის" მთავარი გასაჭირი. "ხარებს" 19 შეცდომა 23 გაშვებულ ქულად დაუჯდა.

სტუმრები კი იშვიათად კარგავდნენ ბურთს, თანაც ბევრ კალათბურთელს წაუვიდა თამაში. **სკოლამ** და **კემბიმ** ორმაგი დუბლი შეასრულეს, **დრაგიჩი** ბრწყინავდა პირველ ნახევარში (20 ქულა)... მატჩის მთავარი გმირი კი რეზერვისტი - **ჩეიზ ბადინგერი** გახდა. მეოთხე მეოთხედის დასაწყისში სწორედ მისმა ზედიზედ სამმა სამქულიანმა გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა მეტოქეს. "ჰიუსტონი" 10 ქულით გავიდა წინ, რომელიც გადაულახავი ბარიერი აღმოჩნდა "ჩიკაგოსთვის". დიდი ძალისხმევით მასპინძლებმა ოთხ ქულამდე შეამცირეს სხვაობა, მაგრამ საკუთარმა შეცდომებმა და აცილებულმა ტყორცნებმა, აგრეთვე "როკეტსის" გამოყენებულმა საჯარიმოებმა "ჩიკაგოს" შანსი არ დაუტოვეს.

■ ■ ■

დასავლეთის ლიდერმა "ოკლაჰომამ" ერთი დღის წინ, საკუთარ მოედანზე გაანადგურა აღმოსავლეთის ლიდერი "ჩიკაგო", მაგრამ ამჯერად, ასევე საშინაო მატჩში ვერაფერი მოუხერხა "მემფისს".

პირველ ტაიმში "ოკლაჰომას" მცირე უპირატესობა შეინიშნებოდა. მასპინძლებმა ერთნაირი ანგარიშით – 22:21 მოიგეს პირველი ორი მეოთხედი და დიდი შესვენებისთვის ორი ქულით გავიდნენ წინ.

თამაშის სურათი მესამე მეოთხედში შეიცვალა. "მემფისმა" სათამაშო ინიციატივა მოიპოვა და ჯერ გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ კი წინ გასვლაც მოახერხა. ეს 12-წუთეული "გრიზლისმა" ექვსი ქულის სხვაობით მოიგო და ბოლო მეოთხედის წინ ოთხი ქულით დაწინაურდა. ყველაფერი ბოლო მეოთხედში უნდა გადაწყვეტილიყო.

"მემფისის" რიგებში ყველაზე შედეგიანი იყო რეზერვისტი **ო ჯეი მაიო**, რომელმაც 22 ქულა დააგროვა. სწორედ მისმა სამქულიანმა გადაწყვიტა მატჩის

# ოთხი წლის შემდეგ

ბედი საფინალო სირენამდე 17 წამით ადრე. ამ ტყორცნის შემდეგ ანგარიში 93:86 გახდა "მემფისის" სასარგებლოდ და მატჩის გადარჩენა შეუძლებელი იყო.

"მემფისმა" ბოლო ხუთ მატჩში მეოთხედ მოიგო და დასავლეთის ცხრილში მეხუთე ადგილზე გადავიდა – გაუსწრო "დალასს". "ოკლაჰომამ" კი შეწყვიტა ექვსმატჩიანი მოგებათა სერია, მაგრამ მაინც დამაჯერებლად ლიდერობს თავის კონფერენციას, თუმცა რეგულარულ ჩემპიონატში ჩამორჩება აღმოსავლეთის ლიდერ "ჩიკაგოს".

ჩააგდეს შეხვედრა "ოკლაჰომას" ლიდერებმა – **დურანტმა** მართალია 21 ქულა დააგროვა, მაგრამ თამაშიდან 20-დან 8 ტყორცნა მოათავსა კალათში, **უესტბრუკის** ანგარიშზე კი 19 ქულა მოდის.

■ ■ ■

"კლიპერსმა" ზედიზედ მეექვსე მატჩი მოიგო და ეს ისტორიული მომენტია ლოს ანჯელესის მუდმივად მეორე გუნდისთვის. ასეთი სერია "კლიპერსს" 20 (!) წელია არ ჰქონია. ყველაზე დასაფასებელი ის არის, რომ კალიფორნიელებმა ამ ნიშნულს NBA-ის მოქმედი ჩემპიონის დამარცხების შემდეგ მიაღწიეს – თანაც ტექსასში მოიგეს ისე, რომ ქვა ქვაზე არ დატოვეს "დალასისგან". არადა, აქამდე "კლიპერსს" დალასში ზედიზედ ათი მატჩი არ მოეგო.

ყველაზე გასაკვირი ის არის, რომ ამ მატჩის გმირი არა **კრის პოლი** ან **ბლეიკ გრიფინი**, არამედ **რენდი ფოიე** გახდა. მცველმა მეტოქის კალათში რვა სამქულიანი მოათავსა – საუკეთესო შედეგი კარიერაში და საკლუბო რეკორდის გამეორება. ყოველთვის, როცა "მავერიქსი" გაქცეული მეტოქის დაწევას ცდილობდა, ფოიე მაშინვე ზუსტი შორეული ტყორცნით პასუხობდა.

მასპინძლები ტრავმირებული **ჯეისონ კიდისა** და **ლამარ ოდომის** გარეშე თამაშობდნენ, მაგრამ ეს არ ამართლებს "დალასის" უინიციატივობას. ცნობისთვის, კიდს საზარდული აწუხებს და ერთი კვირა ვერ შეძლებს თამაშს. არადა, უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში "მავერიქსს" ორჯერ უწევს შეხვედრა პირდაპირ კონკურენტ "მემფისთან".

# როუზმა ჯერ არ იცის

"ჩიკაგო ბულზის" გამთამაშებელი **დერიკ როუზი** საზარდულის ტრავმის გამო ისევ ლაზარეთში რჩება და მისი აღდგენითი პროცესის ვადები კვლავაც გაურკვეველია. გუშინ, გასული სეზონის საუკეთესო მოთამაშემ ზედიზედ მე-11 მატჩი გამოტოვა.

*"მე მართლაც არ ვიცი, როდის დავბრუნდები მოედანზე. პასუხი რომ ვიცოდე, ჩემი მდგომარეობა უფრო მარტივი იქნებოდა"*, - განაცხადა როუზმა.

მიმდინარე სეზონში "ჩიკაგოს" მცველმა 34 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 22.8 ქულა, 3.5 მოხსნა და 8.0 შედეგიანი პასი დააგროვა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

NCAA-ის ჩემპიონატი

# საგიჟეთი კენტუკიმ მოიგო

"მარტის საგიჟეთი" კენტუკის უნივერსიტეტის გამარჯვებით დასრულდა. მან 67:59 დაამარცხა კანზასი და NCAA-ის ჩემპიონი გახდა. კენტუკიმ 1998 წლის შემდეგ პირველად და ისტორიაში მერვედ მოიპოვა ეს პრესტიჟული ტიტული.

მატჩის ყველაზე შედეგიანი კალათბურთელი გახდა **დორონ ლემბი** – მის ანგარიშზე 22 ქულა იყო. **მარკიზ ტიგმა** 14 ქულა დაუმატა. როგორც ყოველთვის, ბრწყინვალე იყო **ენტონი დევისი**, ოღონდ არა შედეგიანობის მხრივ. მან თამაშიდან 10-ჯერ ისროლა, ერთი ჩააგდო და 6 ქულა დააგროვა, სამაგიეროდ, მის ანგარიშზე იყო 16 მოხსნა, 6 დაფარება, 5 შედეგიანი პასი და 3 ჩაჭრა. **მაიკლ კიდ-გილჩირსტმა** 11 ქულა და 6 მოხსნა მიითვალა.

კანზასის ლიდერებმა შემდეგი მაჩვენებლებით დაასრულეს მატჩი: **ტაიშონ ტეილორი** – 19 ქულა, **ტომას რობინსონი** – 18 ქულა და 17 მოხსნა.

დევისმა გაიმეორა ფინალების რეკორდი დაფარებების რაოდენობით – პირველად NCAA-ის მთავარ მატჩში 6 ბლოკი 2006 წელს "ჩიკაგოს" ამჟამინდელმა ცენტრმა **ჟოაკიმ ნოამ** დააგროვა. გასაკვირი არ არის, რომ სწორედ ენტონი გახდა NCAA-ის "ოთხთა ფინალის" საუკეთესო მოთამაშე.

*"საქმე მხოლოდ ჩემში არ არის – ეს ყველა ჩემი პარტნიორის წარმატებაა. ისინი მთელი ტურნირის განმავლობაში იმარჯვებდნენ. ამ მატჩში შეტევაში პრობლემები მქონდა, მაგრამ გუნდი აგროვებდა ქულებს, მე კი უბრალოდ დაცვასა და მოხსნებზე ვიყავი პასუხისმგებელი"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ დევისმა.

**კენტუკი-კანზასი 67:59**

41:27, 26:32

**კენ:** ლემბი (22), ტიგი (14), კიდ-გილკირსტი (11+6 მოხსნა), ჯონსი (9+7 მოხსნა), დევისი (6+16 მოხსნა+5 პასი+6 დაფარება+3 ჩაჭრა), მილერი (5+6 მოხსნა).

**კან:** ტეილორი (19), რობინსონი (18+17 მოხსნა), ჯონსონი (13), უიტი (5+ 7 მოხსნა+4 დაფარება).



ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# ტამპამ კარი გაიჯახუნა

თითქმის დასრულდა რეგულარული ჩემპიონატი ჰოკეის ეროვნულ ლიგაში. აღმოსავლეთ კონფერენციაში ერთადერთი ინტრიგა პლეი ოფის ბოლო, მერვე საგზურია. ამ მხრივ, გუშინ ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი წააგო "ვაშინგტონმა", რომელიც სტუმრად თამაშობდა უმოტივაციო "ტამპა ბეის" წინააღმდეგ.

მატჩის გმირი აღმოჩნდა "ტამპას" მეკარე **დუეინ როლოსონი**, რომელმაც 33 დარტყმა მოიგერია, თუმცა პირველი გოლი სწორედ "ვაშინგტონმა" გაიტანა - **სიომინმა** გახსნა ანგარიში. "ლაითინგმა" ამას ორი გოლით უპასუხა და ამის შემდეგ "კეპიტალზი" მუდმივად მდევრის როლში იყო, მაგრამ მაინც ვერ დაეწია მეტოქეს. ბოლო პერიოდში დუბლი შეასრულა **სტივენ სტემკოსმა**, რომელმაც თავისი გოლების რიცხვი 58-მდე აიყვანა. მას განაღდებული აქვს რეგულარულის საუკეთესო სნაიპერის სტატუსი.

მერვე ადგილისთვის ბრძოლაში "ვაშინგტონი" ისევ ორი ქულით უსწრებს "ბაფალოს", მაგრამ ერთი თამაშით მეტი აქვს ჩატარებული.

სათამაშო დღის მეორე მატჩი ნაკლებად შედეგიანი გამოვიდა – "ლოს ანჯელესმა" და "ედმონტონმა" 60 წუთის განმავლობაში მხოლოდ ორი შაიბა გაიტანეს. ორივე გოლი "კინგზის" ანგარიშზეა. კალიფორნიელთა მეკარემ **ჯონათან კუიკმა** 19 დარტყმა მოიგერია და სეზონში მეათე შათაუტი შეასრულა. კუიკი "მშრალი მატჩების" რაოდენობით პირველ ადგილზე გადავიდა – უკან ჩამოიტოვა **ელიოტი** და **ლუნდკვისტი**.

გაცილებით მეტი სამუშაო ჰქონდა "ედმონტონის" მეკარე **დევან დუბნიკს**, რომლის ანგარიშზე 37 სეივი მოდის. მისთვის გოლის გატანა **კინგმა** და **ვოინოვმა** შეძლეს.

## კვირის სამი ვარსკვლავი

გასული კვირის პირველი ვარსკვლავი გახდა "ფილადელფიას" ფორვარდი **უეინ სიმონდსი**, რომელმაც ოთხ მატჩში ხუთი გოლი და ერთი შედეგიანი პასი მიითვალა. 23 წლის სიმონდსი პირველ სეზონს ატარებს "ფილადელფიას" შემადგენლობაში და 27 გოლით კარიერის პირადი რეკორდი დაამყარა.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი მოიპოვა "ბოსტონის" მცველმა **ზდენო ხარამ**, რომლის ანგარიშზე შვიდი შედეგიანი პასი მოდის. "ბრუინზმა" ზედიზედ მესამედ მოიგო ჩრდილო-აღმოსავლეთ დივიზიონი.

კვირის მესამე ვარსკვლავია "ფინიქსის" მეკარე **მაიკ სმიტი**, რომელმაც ორ მატჩში მიიღო მონაწილეობა და ორივეში "შათაუტი" შეასრულა. 30 წლის გოლკიპერმა 82 დარტყმა მოიგერია და 140 წუთია, გოლს არ უშვებს.

| ტამპა ბეი-ვაშინგტონი | 4:2 |
|---|---|

0:0, 2:1, 2:1

**გოლები:** 0:1 სიომინი-20 (მ. პერო-14), 1:1 პურსელი-21 (სტემკოსი-37, სან ლუი-47) , 2:1 მედმანი-5 (ტომპსონი-5, პიატი-7), 2:2 ჩიმერა-20 (სიომინი-32), 3:2 სტემკოსი-57 (ბ. კლარკი-13, ლი-13), 4:2 სტემკოსი-58 (ტომპსონი-6, ბრიუერი-20).

| ლოს ანჯელესი-ედმონტონი | 2:0 |
|---|---|

0:0, 0:0, 2:0

**გოლები:** 1:0 ვოინოვი-8 (კოპიტარი-48, რიჩარდსონი-3), 2:0 კინგი-5 (მ. რიჩარდსი-25).



სტივენ სტემკოსი

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. x-რეინჯერსი* | 79 | 50 | 22 | 7 | 107 |
| 2. y-ბოსტონი* | 79 | 47 | 28 | 4 | 98 |
| 3. ფლორიდა* | 79 | 37 | 25 | 17 | 91 |
| 4. x-პიტსბურგი | 79 | 48 | 25 | 6 | 102 |
| 5. x-ფილადელფია | 79 | 46 | 24 | 9 | 101 |
| 6. x-ნიუ ჯერსი | 79 | 45 | 28 | 6 | 96 |
| 7. x-ოტავა | 79 | 41 | 28 | 10 | 92 |
| 8. ვაშინგტონი | 80 | 40 | 32 | 8 | 88 |
| 9. ბაფალო | 79 | 38 | 31 | 10 | 86 |
| 10. ტამპა ბეი | 79 | 37 | 35 | 7 | 81 |
| 11. ვინიპეგი | 79 | 36 | 34 | 9 | 81 |
| 12. კაროლინა | 79 | 31 | 32 | 16 | 78 |
| 13. ტორონტო | 79 | 34 | 36 | 9 | 77 |
| 14. აილენდერსი | 79 | 33 | 35 | 11 | 77 |
| 15. მონრეალი | 79 | 29 | 35 | 15 | 73 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. y-ვანკუვერი* | 79 | 49 | 21 | 9 | 107 |
| 2. y-სტ. ლუისი* | 79 | 48 | 21 | 10 | 106 |
| 3. ლოს ანჯელესი* | 80 | 40 | 27 | 13 | 93 |
| 4. x-დეტროიტი | 79 | 47 | 27 | 5 | 99 |
| 5. x-ნეშვილი | 79 | 45 | 26 | 8 | 98 |
| 6. x-ჩიკაგო | 80 | 44 | 26 | 10 | 98 |
| 7. ფინიქსი* | 79 | 39 | 27 | 13 | 91 |
| 8. სან ხოსე | 79 | 40 | 29 | 10 | 90 |
| 9. დალასი | 79 | 42 | 32 | 5 | 89 |
| 10. კოლორადო | 80 | 41 | 33 | 6 | 88 |
| 11. კალგარი | 80 | 35 | 29 | 16 | 86 |
| 12. მინესოტა | 79 | 34 | 35 | 10 | 78 |
| 13. ანაჰაიმი | 79 | 33 | 35 | 11 | 77 |
| 14. ედმონტონი | 80 | 32 | 39 | 9 | 73 |
| 15. კოლამბუსი | 79 | 27 | 45 | 7 | 61 |

** - დივიზიონის ლიდერი*

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 104 (48+56) |
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 95 (58+37) |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 89 (28+61) |
| ჯეისონ სპეცა (ოტა) | 82 (32+50) |
| ჯეიმს ნილი (პიტ) | 80 (39+41) |
| ილია კოვალჩუკი (ნ-ჯერ) | 80 (34+46) |
| ფილ კესელი (ტორ) | 78 (37+41) |
| ჯონ ტავარესი (აილ) | 78 (31+47) |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 78 (13+65) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| სტივენ სტემკოსი (ტ-ბეი) | 58 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 48 |
| მარიან გაბორიკი (რეინ) | 40 |
| ჯეიმს ნილი (პიტ) | 39 |
| ფილ კესელი (ტორ) | 37 |
| სკოტ ჰარტნელი (ფილ) | 36 |
| კორი პერი (ანა) | 36 |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 36 |
| მაიკლ რაიდერი (დალ) | 35 |
| მილან მიხალეკი (ოტა) | 35 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 65 |
| კლოდ ჟირუ (ფილ) | 61 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 58 |
| ერიკ კარლსონი (ოტა) | 58 |
| ევგენი მალკინი (პიტ) | 56 |
| რეი უიტნი (ფინ) | 51 |
| ჯეისონ სპეცა (ოტა) | 50 |
| პი ეი პარენტო (აილ) | 49 |
| პატრიკ ელიაში (ნ-ჯერ) | 49 |

ამბები

სამთო-სათხილამურო სპორტი

## ვონს ოპერაცია სჭირდება

მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელი, ამერიკელი **ლინდსი ვონი**, სავარაუდოდ, მუხლების ქრონიკული ტრავმის გამო მორიგ ოპერაციას გადაიტანს.

ვანკუვერის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი მთელი განვლილი სეზონის განმავლობაში გრძნობდა ტკივილს მუხლის არეში, მაგრამ ამ თემაზე კომენტარს არ აკეთებდა. ვონს მოუწევს მაგნიტო-რეზონანსური ტომოგრაფიის ჩატარება, რის შემდეგაც ექიმები საბოლოო დიაგნოზს დასვამენ.

ჩოგბურთი

## ფიში ვერ ითამაშებს

დევისის თასზე აშშ-ის ნაკრების ლიდერი **მერდი ფიში** ვერ დაეხმარება თავის გუნდს საფრანგეთთან მეოთხედფინალურ მატჩში, რომელიც 6-8 აპრილს როკებრიუნში გაიმართება. გასულ კვირას, მაიამის მასტერსის მსვლელობისას, ამერიკელს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა. ახლა ჩოგბურთელი ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება და კვირის ბოლოს გეგმავს ვარჯიშების განახლებას.

ამერიკის ნაკრებში მსოფლიოს მეცხრე ჩოგანს 19 წლის **რაიან ჰარისონი** შეცვლის, რომელმაც გუნდთან ერთად გაიარა შეკრება.

როგორც გუშინდელ ნომერში ვწერდით, ფრანგების რიგებში არ იქნება **გაელ მონფილსი**. საფრანგეთის ნაკრების კაპიტანმა **გი ფორჟემ** მონფილსის შემცვლელად **ჟილ სიმონს** უხმო.

ფორმულა 1

## ბრიტანეთში აჟიოტაჟია

ბრიტანეთის გრანპრიზე დასასწრებ ბილეთებზე დიდი მოთხოვნაა, ამიტომაც "სილვერსტოუნის" ხელმძღვანელობამ ავტოდრომზე ორი დამატებითი ტრიბუნის დამონტაჟება გადაწყვიტა, რომელიც 3500 ადამიანს დაიტევს.

ამ მომენტისთვის ბრიტანულ ეტაპზე ათი პროცენტით მეტი ბილეთია გაყიდული, ვიდრე გასულ წელს ამავე პერიოდში იყო რეალიზებული. ახალ ტრიბუნებზე ბილეთები უკვე გასაყიდად გამოიტანეს.

## ბატონი ტრიატლონშიც ძლიერია

"მაკლარენის" პილოტმა **ჯენსონ ბატონმა** მონაწილეობა მიიღო ტრიატლონის ტურნირში, რომელიც ჰავაის კუნძულებზე გაიმართა. შეჯიბრების მსვლელობისას ბრიტანელს მოუწია კილომეტრ-ნახევარი ცურვა, ველოსიპედით 40 კილომეტრი დისტანციის გავლა და ათი კილომეტრი სირბილი.

ბატონმა თავის ასაკობრივ ჯგუფში საუკეთესო შედეგი აჩვენა, ხოლო ყველა მონაწილეს შორის მეექვსე ადგილი დაიკავა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ჩემპიონთა ლიგა**

**1/4 ფინალი. II მატჩები**

| | |
|---|---|
| ბარსელონა-მილანი | 3:1 (0:0) |
| ბაიერნი-მარსელი | 2:0 (2:0) |

**ინგლისი**

**ჩემპიონშიპი**

| | |
|---|---|
| ბარნლი-ბირმინგემი | 1:3 |

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| ბრენტფორდი-ოლდჰემი | 2:0 |
| ლეიტონი-ჰადერსფილდი | 1:3 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| ბარნეტი-სუინდონი | 0:2 |

**ნაციონალი**

| | |
|---|---|
| გეიტშიდი-ლუტონი | გადაიდო |
| ლინკოლნი-კემბრიჯი | 0:1 |
| ნიუპორტი-იორკი | 2:1 |

**გერმანია**

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| მუნსტერი-ოსნაბრიუკი | 1:0 |

**რეგიონალლიგა (ჩრ)**

| | |
|---|---|
| მეპენი-კილი | 2:1 |

**რეგიონალლიგა (დას)**

| | |
|---|---|
| ობერჰაუზენი-ვიდენბრუკი | 2:1 |
| ელვერსბერგი-ვუპერტალი | 1:1 |

**ავსტრია**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| აუსტრია (ლ)-გრიოდიგი | 3:0 |
| ჰარტბერგი-ბლაუ ვაისი | 2:4 |
| ლინცერი-ლუშტენაუ | 1:1 |
| ვენა-ალტახი | 2:0 |

**სლოვაკეთი**

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-კოშიცე | 0:0 |
| შენიცა-ტრენჩინი | 4:0 |
| რუჟომბეროკი-ნიტრა | 1:1 |
| ტრნავა-ტატრანი | 1:0 |
| ჟილინა-სლოვანი | 3:0 |
| მორავცე-დ. სტრედა | 3:2 |

**პოლონეთის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| რუხი-ვისლა | 3:1 |

**ხორვატიის თასი**

**1/2 ფინალი. I მატჩი**

| | |
|---|---|
| ოსიეკი-სლავენი | 3:0 |

**[illegible]**

| | |
|---|---|
| [illegible]-ტრიგლავი | 1:2 |
| პუბლიკუმი-ოლიმპია | 1:2 |

**აზია**

**ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ესტეგალი-ალ ჯაზირა | 1:2 |
| ალ რაიიანი-ნასაფი | 3:1 |
| სეპაჰანი-ლეხვია | 2:1 |
| ალ ნასრი-ალ აჰლი | 1:2 |
| გამბა-ბუნიოდკორი | 3:1 |
| პოჰანგი-ადელაიდა | 1:0 |
| სენტრალი-სეონგნამი | 1:1 |
| ტიანიინი-ნაგოია | 0:3 |

**კალათბურთი**

**საფრანგეთი**

| | |
|---|---|
| ორლეანი-დიჟონი | 82:55 |

**ესპანეთი**

| | |
|---|---|
| ესტუდიანტესი-ფუენლაბრადა | 72:76 |

**ჰოკეი**

**კჰლ**

| | |
|---|---|
| დინამო-სკა | 6:1 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ლიბერეცი-პარდუბიცე | 2:4 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| ბერნი-ციურიხი | 4:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| ბრიუნესი-ფერიესტადი | 4:2 |
| შელეფტეო-აიკ | 8:2 |

**ჩოგბურთი**

**WTA. ჩარლსტონი**

| | |
|---|---|
| ამანმურადოვა-**კრეიბასი** | 6:7, 6:7 |
| კინგი-**ვიკმაიერი** | 4:6, 3:6 |
| **ტატიშვილი**-რუსი | 1:6, 6:4, 6:4 |
| **შვედოვა**-პანოვა | 6:0, 6:4 |
| იაკიმოვა-**ლეპჩენკო** | 2:6, 7:5, 2:6 |
| ბენეშოვა-**ვ. უილიამსი** | 4:6, 3:6 |
| **პეტროვა**-დუკე მარინო | 6:1, 6:2 |
| **ერაკოვიჩი**-პლიშკოვა | 6:2, 6:4 |
| დანილიდუ-**პავლიუჩენკოვა** | 6:3, 4:6, 4:6 |
| **ზვონარევა**-კ. ბონდარენკო | 6:1, 6:1 |
| ჰემპტონი-**სტოსური** | 0:6, 5:7 |

TV პროგრამა

**4 აპრილი. ოთხშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXX ტურის მიმოხილვა.
**11:00** ინგლისის ჩემპიონატი. XXXI ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ჰერტა-ვოლფსბურგი.
**14:00** იტალიის ჩემპიონატი. XXX ტური. ინტერი-ჯენოა.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXX ტური. ლილი-ტულუზა.
**18:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXX ტურის მიმოხილვა.
**19:00** ესპანეთის ჩემპიონატი. XXX ტური. ოსასუნა-რეალი.
**21:00** იტალიის ჩემპიონატი. XXX ტურის მიმოხილვა.
**22:00** არგენტინის ჩემპიონატი. VIII ტური. ნიუელსი-რასინგი.
**00:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. XXX ტურის მიმოხილვა.
**01:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. XXVIII ტური. ვიტესი-ალკმაარი.

**GMG-სპორტი 1**

**10:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. პარმა-ლაციო.
**12:00** სპორტ-NEWS.
**12:15** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ფილადელფია.
**14:30** სუპერკოლაჟი.
**15:00** ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ჰერაკლესი.
**16:55** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. III წრე. მაიამი. აშშ.
**19:30** სპორტ-NEWS.
**20:00** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ნიურნბერგი-ბაიერნი.
**22:00** საკალათბურთო მიმოხილვა – ოვერტაიმი.
**23:00** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მაიამი-ფილადელფია.
**01:00** ყოველკვირეული მიმოხილვა - სპორტის სამყარო.

**GMG-სპორტი 2**

**10:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. III წრე. მაიამი. აშშ.
**13:00** სპორტ-NEWS.
**13:30** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. ოლიმპიაკოსი-მონტეპასკი.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. III წრე. მაიამი. აშშ.
**17:30** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. 1/4 ფინალი. ატლეტიკო-ჰანოვერი. I მატჩი.
**19:30** კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი. ინდიანა-კლიპერსი.
**21:30** საჩოგბურთო მიმოხილვა – მატჩპოინტი.
**22:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. III წრე. მაიამი. აშშ.

**I არხი**

**22:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).

**რუსთავი 2**

**22:45** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).

### ამინდის პროგნოზი

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 4 | 18 | (მზე) |
| ქუთაისი | 7 | 23 | (მზე) |
| ბათუმი | 8 | 22 | (მზე) |
| ფოთი | 6 | 22 | (მზე) |
| ზუგდიდი | 6 | 23 | (მზე) |
| გორი | 1 | 20 | (მზე) |
| თელავი | 5 | 17 | (მზე) |
| ბაკურიანი | -6 | 12 | (მზე) |
| გუდაური | -5 | 8 | (მზე) |
| მესტია | -2 | 15 | (მზე) |

### ვალუტის კურსი

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1918 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6434 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6355 |
| 100 რუსული რუბლი | 5.5997 |

ფორმულა 1



# ფეტელი იმედიანადაა

"რედ ბული" ახალი სეზონის წინ მთავარ ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ პირველმა რბოლებმა ავსტრიულ საჯინიბოს იმედგაცრუება მოუტანა: **სებასტიან ფეტელის** საუკეთესო შედეგად რჩება მეორე ადგილი ავსტრალიის გრანპრიზე, **მარკ უებერმა** კი ორივე რბოლა მეოთხე ადგილზე დაასრულა. მიუხედავად ამისა, მსოფლიოს ჩემპიონ გუნდს წარმატების სჯერა.

*"დარწმუნებული ვარ, მომდევნო ორ რბოლაში წარმატებით გამოვალთ, - ამბობს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი სებასტიან ფეტელი. – ავსტრალიაში საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დავტოვეთ, მალაიზიაში კი ძალიან ქაოსური რბოლა მივიღეთ. სამწუხაროა, რომ იქ ქულების მოპოვება ვერ შევძელით. წინ ბევრი ეტაპია, ასე რომ, კარგ ფორმაში ყოფნაა საჭირო.*

*გუშინ, რამდენიმე საათი სიმულატორზე ვიმუშავე ჩინეთისა და ბაჰრეინის ეტაპებისთვის უკეთ მოსამზადებლად – ახლა ჩვენი შესაძლებლობები ტრასაზე უნდა დავამტკიცოთ".*

■ ■ ■

ამასობაში, "რედ ბულის" მეორე პილოტი მარკ უებერი პირველი ავსტრალიელი სპორტსმენი გახდა, ვინც ქალაქ სიდნეიში მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების მუზეუმში შეიყვანეს.

*"როცა სიდნეის მუზეუმის კოლექციაში ჩემი შეყვანის წინადადებით მომმართეს, ძალიან მოვიხიბლე ამ იდეით. სამხიარულო იყო ლონდონში საკუთარ ასლზე მუშაობა. ჩემი აზრით, ეს ასლი დაუჯერებლად ზუსტი გამოვიდა. ბრწყინვალე ნამუშევარია და დღემდე შთაბეჭდილების ქვეშ ვარ იმით, როგორ ზედმიწევნით ზუსტად არის დაცული ყველა უმცირესი დეტალი, კერძოდ, თვალები", - ამბობს უებერი.*

ამბები

ველოსპორტი

## კანჩელარა ლონდონს მოასწრებს

შვეიცარიელი ველომრბოლი **ფაბიან კანჩელარა**, რომელმაც კვირას, ფლანდრიის ტურის დროს სერიოზული ტრავმა მიიღო, ლონდონის ოლიმპიადისთვის გამოჯანმრთელებას აპირებს. პეკინის თამაშების ჩემპიონმა ტრავმის მიღების დღეს წარმატებით გადაიტანა ოპერაცია.

*„პროფესიული სპორტი ტრავმებსაც ითვალისწინებს, - ამბობს კანჩელარა. - შესანიშნავ ფორმაში ვიყავი, მაგრამ მოხდა ის, რაც მოხდა. შეიძლება ამას მეორე მხრიდან შევხედოთ - ასეთ წაქცევას, შესაძლოა, უფრო მძიმე შედეგები ჰქონოდა. ახლა კიდევ უფრო მეტად მოტივირებული ვარ და ოლიმპიადისთვის მზადებას გავაგრძელებ. იმედია, მოვასწრებ გამოჯანმრთელებას".*

ოლიმპიზმი

## ავღანელი მოკრივე ქალი

17 წლის ავღანელი გოგონა **სადაფ რაჰიმი**, შესაძლოა, ლონდონის ოლიმპიადაზე გამოვიდეს და თუ ეს მოხდა, ის გახდება ისტორიაში მესამე ქალი ამ ქვეყნიდან, რომელიც ოლიმპიადებში მიიღებს მონაწილეობას.

მოკრივეს, რომელიც ქვეყნის ჩემპიონია, ჯერჯერობით არ ჰყავს სპონსორი და არც ვარჯიშისთვის საჭირო ნორმალური პირობები აქვს - ის მტვრით სავსე პატარა დარბაზში მეცადინეობს.

*„პირველად 11 წლის ასაკში მოვიქნიე მუშტი - საკუთარ სოფელში ჩემს ბიძაშვილს დავარტყი, - ამბობს რაჰიმი. - მან მითხრა, დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ აუცილებლად კრივზე უნდა შევსულიყავი. ასეც მოვიქეცი".*

კალათბურთი

## ვალანჩუნასი საუკეთესო ახალგაზრდაა

„ლეტუვოს რიტასის" ცენტრი **იონას ვალანჩუნასი** ევროპის თასის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშე გახდა - წერს ტურნირის ოფიციალური ვებგვერდი. 19 წლის ლიტველი 14 მატჩში საშუალოდ 24 წუთს ატარებდა მოედანზე და 11.3 ქულასა და 7.9 მოხსნას აგროვებდა.

შეგახსენებთ, რომ „ლეტუვოს რიტასი" ევროპის ლიგის „ოთხთა ფინალშია" გასული, სადაც ნახევარფინალში „ვალენსიას" შეხვდება.

წინა სეზონებში საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშის პრიზი მოგებული აქვთ: **მილან მაჩვანს** (2008-09), **ვიქტორ კლავერსა** (2009-10) და **დონატას მოტეიუნასს** (2010-11).

ველოსპორტი

# კონტადორი არ იჩივლებს

ესპანელმა ველომრბოლმა **ალბერტო კონტადორმა** გადაიფიქრა სპორტული საარბიტრაჟო სასამართლოს წინააღმდეგ აპელაციის შეტანა. შეგახსენებთ, რომ ამ ორგანიზაციამ ალბერტოს ორწლიანი დისკვალიფიკაცია მისცა დოპინგის გამოყენებისთვის.

აპელაციის შეტანის ვადა 2 აპრილს ამოიწურა. როგორც ესპანელმა განაცხადა, გადაწყვეტილების გაპროტესტების აზრს ვერ ხედავს, რადგან მთლიანად დაკარგა სპორტული სამართლიანობისადმი რწმენა. კონტადორის თქმით, მის აპელაციას მაინც სპორტული საარბიტრაჟო სასამართლო განიხილავდა.

ამ მკაცრი სასჯელის გამო, კონტადორს ჩამოართვეს 2010 წელს ტურ დე ფრანსზე მოპოვებული ტიტული. გარდა ამისა, ალბერტოს ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლის შანსი მოუსპეს.



ჩოგბურთი



ნოვაკ ჯოკოვიჩი

# ჯოკოვიჩი: საუკეთესო არ ვარ

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** აღიარა, რომ სულაც არ მიიჩნევს საკუთარ თავს საუკეთესო ჩოგბურთელად და მიაჩნია, რომ მისი და ტოპმოთამაშეების სათამაშო კლასი დაახლოებით თანაბარია.

*"ჩემსა და დანარჩენებს შორის არანაირი სხვაობა არ არსებობს. ყოველი ახალი ტურნირი – ეს არის თითოეული მოთამაშისთვის ტიტულის მოპოვების შანსი. აზრი არ აქვს რეიტინგზე დაკვირვებას. სხვადასხვა საფარზე და სხვადასხვა მეტეოროლოგიურ პირობებში ვმუშაობთ. ზოგიერთი საფარი ერთი ნაწილისთვის არის მისაღები, სხვებს სხვანაირი კორტები მოსწონთ. გრუნტზე ტრადიციულად წარმატებას აღწევს რაფაელ ნადალი, ესპანელი და ზოგიერთი სამხრეთამერიკელი ჩოგბურთელი. მაგრამ მე მჯერა, რომ დღეს ყველა თანდათან უმატებს სხვადასხვა საფარზე თამაშს. ეს რთულია. პირადად მე ყველა საფარზე კარგად ვთამაშობ. გასულ წელს მოვიგე უიმბლდონი და ეს დაუჯერებელი გრძნობა იყო. ის გამარჯვება ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის",* – ამბობს ჯოკოვიჩი Tennis.com-თან კომენტარში.

წელს ნოვაკს სამიდან ორი დიდი ტურნირი აქვს მოგებული – ავსტრალიის ღია პირველობა და მაიამის მასტერსი. ასევე ჯოკოვიჩის აქტივშია "დიდი სლემის" ბოლო ხუთიდან ოთხ ტურნირზე გამარჯვება და ბოლო 12 მასტერსიდან შვიდში ტრიუმფი.

■ ■ ■

მაიამის მასტერსის შემდეგ, რომლის ფინალში ნოვაკ ჯოკოვიჩმა **ენდი მიურეი** დაამარცხა, ATP-ის ოფიციალურმა ვებგვერდმა რამდენიმე საინტერესო სტატისტიკური ინფორმაცია გაავრცელა.

უკვე 40 კვირა გრძელდება ATP-ის რეიტინგში სერბი ჩოგბურთელის ლიდერობა. ამ მაჩვენებლით ჯოკოვიჩი დაეწია ლეგენდარულ რუმინელს **ილიე ნასტასეს**. ნოვაკის სერია ხანგრძლივობის მიხედვით მეცამეტეა ჩოგბურთის ისტორიაში.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი ის არის, რომ ზედიზედ მე-11 მასტერსი მოიგო რეიტინგის ტოპოთხეულის წარმომადგენელმა. საუკეთესო კვარტეტის მიღმა მყოფი ბოლო ჩოგბურთელი, რომელმაც ამ პრესტიჟული სერიის ტურნირის მოგება მოახერხა, შვედი **რობინ სიოდერლინგი** იყო - მან 2010 წელს პარიზის მასტერსზე მოიპოვა მთავარი პრიზი.

# სამი წელი სამსუნგთან

რუსმა ჩოგბურთელმა **მარია შარაპოვამ** კონტრაქტი გააფორმა კორეულ კომპანია "სამსუნგთან". როგორც პორტალი Bloomberg წერს, კონტრაქტის თანახმად, შარაპოვა 2012 წლის პირველი აპრილიდან უახლოესი სამი წლის განმავლობაში კომპანიის სახე გახდება.

შარაპოვა რეკლამას გაუწევს "სამსუნგის" პროდუქციას რუსეთისა და დსთ-ის ტერიტორიაზე, მათ შორის მობილურ ტელეფონებს, პლანშეტებსა და ტელევიზორებს. "სამსუნგის" გეგმით, მომავალი წლიდან სარეკლამო კამპანია მსოფლიო დონეზე გავა.

მარია შარაპოვა მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენია. ჟურნალ "ფორბსის" მონაცემებით, მისი წლიური შემოსავალი 25 მილიონ დოლარს უტოლდება.

ადრე რუსი ჩოგბურთელი თანამშრომლობდა ისეთ ბრენდებთან, როგორებიცაა Nike, მინერალური წყალი Evian, Tiffany & Co. და Tag Heuer, აგრეთვე მობილური მოწყობილობების მწარმოებელ კომპანიებთან – Motorola-სთან და Sony Ericsson-სთან. ოთხი წლის განმავლობაში მარია Sony Ericsson-ის სახე იყო. ამ ფირმასთან მის კონტრაქტს 2011 წლის ბოლოს გაუვიდა ვადა.

"სამსუნგთან" კონტრაქტის ღირებულება არ გახმაურებულა. ცნობისთვის, Nike-თან კონტრაქტისთვის ჩოგბურთელმა ჯამში 70 მილიონი დოლარი მიიღო.

იმავე Bloomberg-ის ინფორმაციით, ამ მომენტისთვის "სამსუნგი" ლიდერია მსოფლიოში ტელევიზორებისა და მეხსიერების ბარათების წარმოებით და მეორე კომპანია გახლავთ მობილური მოწყობილობების წარმოების მხრივ. Galaxy-ის სმარტფონებზე მოთხოვნის წყალობით, შარშან კომპანიამ სარეკორდო შემოსავალი მიიღო. 2007 წელს "სამსუნგმა" რიო-დე-ჟანეიროს 2016 წლის ოლიმპიადის ბოლომდე გაახანგრძლივა სპონსორული კონტრაქტი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან.



მარია შარაპოვა

# ვოზნიაცკის სიმღერა

დანიელმა ჩოგბურთელმა **კაროლინ ვოზნიაცკიმ**, რომელიც ამ კვირას არ იცავს ტიტულს ამერიკის ქალაქ ჩარლსტონში, მუსიკალური კომპოზიცია ჩაწერა. სინგლის სახელწოდებაა – Oxygen, რომლის რეალიზაციიდან შემოსული თანხა პოლონეთისა და დანიის პარალიმპური ნაკრებების დაფინანსებას მოხმარდება.

*„ორი დღე პოლონეთში ვიმყოფებოდი – ვიღებდი კლიპს საქველმოქმედო სიმღერაზე, რომელიც ამ დღეებში ჩავწერე",* - დაწერა თავის "ტვიტერზე" ჩოგბურთელმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი; მხატვრული რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: გია თვალაბეიშვილი
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:05
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 242 32 73, 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 237 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში გამოქვეყნება აკრძალულია